პალიტრა მედია

# ლელო

პირველი ქართული სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან

27 დეკემბერი **ხუთშაბათი** 2012 №307 (13 913) ფასი 80 თეთრი

# საუკეთესო ფეხბურთელი
# გურამ კაშია
# საუკეთესო ლეგიონერი



2

გურამ კაშია და ზვიად სიჭინავა

თამუნა ყულუმბეგაშვილის ფოტო



3

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

## ალექსანდრე იაშვილი
## მე და კობიაშვილს ეროვნული ნაკრები საკუთარი ნებით არ დაგვიტოვებია




5

## ინგლისური საგიჟეთი დაიწყო

ნიუკასლმა მანჩესტერი ანერვიულა, მაგრამ ბოლოს მაინც ეშმაკებმა მოიგეს

ქართული ფეხბურთი

წლის ნომინანტები

# კაშიას დუბლი



გურამ კაშიას პრიზი ზვიად სიჭინავამ გადასცა



ჩისკოს პრიზი ბუბა ტყავაძემ ალექსანდრე ჩივაძისგან ჩაიბარა



ნიკა ძალამიძე მურთაზ ხურცილავამ დააჯილდოვა

გუშინ "მიხეილ მესხის" სახელობის სტადიონის ახლადმოწყობილ სპორტ კაფეში ლაურეატთა დაჯილდოება გაიმართა, ღონისძიების ინიციატორი და მასპინძელი საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია იყო.

ფეხბურთის ფედერაციის მიერ დაწესებული ჯილდო "წლის საუკეთესო ფეხბურთელი 2012" არნემის "ვიტესის" და საქართველოს ნაკრების მცველს **გურამ კაშიას** ერგო, პრიზი მას ფედერაციის პრეზიდენტმა **ზვიად სიჭინავამ** გადასცა.

2012 წლის საუკეთესო ქართველი ლეგიონერი გულშემატკივართა ინტერნეტ გამოკითხვით – კაშია აქაც საუკეთესო აღმოჩნდა და ეს პრიზი მას **შოთა არველაძემ** უსახსოვრა. გამოკითხვაში 3300-ზე მეტი ქომაგი მონაწილეობდა.

საქართველოს ეროვნული ჩემპიონატის 2012 წლის საუკეთესო ფეხბურთელის გამოსავლენად ფეხბურთის ფედერაციამ სპეციალისტთა და ჟურნალისტთა გამოკითხვა მოაწყო - გამარჯვებული "დინამო თბილისის" ესპანელი შემტევი **ჩისკო** გახდა, მეორე ადგილზე მისი თანაგუნდელი **ჯაბა დვალი** გავიდა, მესამეზე ასევე დინამოელი, საქართველოს ნაკრების მეკარე **გიორგი ლორია** აღმოჩნდა.

წლის საუკეთესო ახალგაზრდა ფეხბურთელიც სპეციალისტებმა და ჟურნალისტებმა გამოავლინეს. პრიზი **ნიკა ძალამიძეს** შეხვდა, პოლონური "იაგელონიას" შემტევს. მეორე პოზიციაზე თბილისის "ლოკომოტივის" მცველი **ნიკა ჭანტურია** აღმოჩნდა, **ვასილ მაისურაძის** გაწვრთნილი 17-წლამდელთა ნაკრების ფეხბურთელი, რომელმაც ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე ითამაშა. მესამე ადგილი **ლუკა ზარანდიას** ერგო, 35-ე საფეხბურთო სკოლის აღზრდილს, **გიორგი დევდარიანის** გაწვრთნილი 17-წლამდელთა ნაკრების თავდამსხმელს.

**დავით თავართქილაძე**
თამუნა ყულუმბეგაშვილის ფოტოები



მარცხნიდან: რევაზ არველაძე, გურამ კაშია, ზვიად სიჭინავა, გია ფირცხალავა

საქართველოს თასი

# ჯერ სუპერთასი, შემდეგ თასი

## გუშინ მერვედფინალური წყვილები გაირკვა

რაკი მიმდინარე სეზონის პირველ ნახევარში უმაღლესი ლიგის 22-ტურიანი პირველი ეტაპი მთლიანად უნდა ჩატეულიყო, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის საშეჯიბრო კომიტეტმა გადაწყვიტა, თასის გათამაშების უმეტესი მატჩები 2013 წლისთვის დაენიშნა, 2012-ში კი მხოლოდ მეთექვსმეტედფინალური ეტაპი გაიმართა.

გუშინ მიხეილ მესხის სახელობის სტადიონის საკონფერენციო დარბაზში მერვედფინალის წილისყრა გაიმართა, რომელსაც ამ სტადიამდე მისული თითქმის ყველა კლუბის წარმომადგენელი დაესწრო. წილისყრის პროცედურის დაწყებამდე საშეჯიბრო კომიტეტის თავმჯდომარე **ნოდარ კაკულიამ** დამსწრეებს შეახსენა, რომ სეზონი 2013 წლის 22 თებერვალს, სუპერთასის მატჩით განახლდება, რასაც თასის მერვედფინალური მატჩები მოჰყვება. ჩემპიონატის მეორე ეტაპი კი ამის შემდეგ დაიწყება.

იშვიათი გამონაკლისების გარდა, საქართველოს თასის გათამაშებაზე ფინალამდე ყველა ეტაპი ორ მატჩად იმართება და ასეა ამ სეზონშიც. უცვლელად დარჩა განთესვის წესიც – ის კლუბები, რომლებიც ამ მომენტისთვის ჩემპიონატში რვა საუკეთესო ადგილს იკავებდნენ, წილისყრისას პირველ კალათაში მოხვდნენ, დანარჩენები კი მეორეში. ერთადერთი უმაღლესლიგელი, რომელმაც მერვედფინალამდე ვერ მიაღწია, მარტვილის "მერანია". შესაბამისად, ამ ეტაპზე ხუთი პირველლიგელი ითამაშებს.

მაშ ასე, მერვედფინალისტები ასე დაწყვილდნენ:

**დილა-სამტრედია**
**დინამო (ბთ)-მეტალურგი**
**ვიტ ჯორჯია-სპარტაკი**
**გურია-ზესტაფონი**
**ჩიხურა-შუქურა**
**სიონი-ზუგდიდი**
**ტორპედო-გაგრა**
**კოლხეთი-დინამო (თბ)**

განთესვიდან გამომდინარე, თავიდანვე გამორიცხული იყო, ძალიან დამაინტრიგებელი წყვილები მიგვეღო, მაგრამ რამდენიმე მათგანში მაინც უშელავათო ბრძოლაა მოსალოდნელი და იქ პროგნოზის გაკეთებაც შეუძლებელია. ასეთების კატეგორიას, მაგალითად, მიეკუთვნებიან "ვიტ ჯორჯია"-"სპარტაკი" და "სიონი"-"ზუგდიდი", დანარჩენ წყვილებს კი გამოკვეთილი ფავორიტები ჰყავს. თუმცა, ბუნებრივია, ბევრი რამ იმაზეც იქნება დამოკიდებული, თუ რა მოხდება ზამთრის შესვენებისას ამა თუ იმ კლუბის ბანაკში. ზოგან გაძლიერება არ უნდა გამოვრიცხოთ, მერვედფინალისტთა ნაწილის მომავალი კი ჯერაც ბურუსით არის მოცული და იმედია, მათ არსებობის პრობლემა არ გაუჩნდებათ.

პირველი მერვედფინალური შეხვედრები პირველად დასახელებული გუნდების მოედნებზე 26 თებერვალს გაიმართება, ხოლო საპასუხოები – 2 მარტს. საშიჯიბრო კომიტეტს სარეზერვო დღედ 25 თებერვალი და 3 მარტი ჰქონდა შერჩეული. ეს კონკრეტულად, ბათუმის "დინამოსა" და ქობულეთის "შუქურას" ეხებოდა, რომლებიც საზიარო სტადიონზე, ქობულეთის "ჩელე არენაზე" თამაშობენ. თუ წილისყრის მიხედვით, მათ საშინაო მატჩების ერთ დღეს ჩატარება მოუწევდათ, ერთ-ერთი მათგანი სარეზერვო დღეს ითამაშებდა, მაგრამ როგორც ხედავთ, წილისყრამ ამის საჭიროება არ წარმოშვა.

გთავაზობთ რამდენიმე კლუბის წარმომადგენლის კომენტარს:

**გიორგი ტყავაძე** (თბილისის "დინამოს" მმართველი დირექტორი): "ხელწამოსაკრავი მეტოქე ნამდვილად არ გვყავს, "კოლხეთი" ხომ უმაღლესი ლიგის ბინადარია. თუმცა, რა თქმა უნდა, მიზნად გამარჯვებას ვისახავთ".

**ზურაბ დალაქიშვილი** (გორის "დილას" დირექტორი): "სამტრედია" ხელოვნურსაფარიან მოედანზე თამაშობს და ეს ჩვენთვის დიდად სასურველი არ არის, მაგრამ ეს ჩვენს გეგმებს ვერ ცვლის, ეს ეტაპი აუცილებლად უნდა გადავლახოთ".

**ოთარ გაბელია** ("ზუგდიდის" მწვრთნელ-კონსულტანტი): "საკმაოდ რთული მეტოქე შეგხვდა, მაგრამ "სიონთან" ბრძოლისთვის მზად ვართ და ვიმედოვნებთ, რომ გამარჯვება ჩვენ დაგვრჩება".

ქართული სეზონის განახლებამდე თითქმის ორი თვე რჩება და იმედი დავიტოვოთ, რომ სეზონის მეორე ნახევარში უკომპრომისო და რაც მთავარია, პატიოსან ბრძოლებს ვიხილავთ და ჩემპიონიცა და თასის მფლობელიც არასკანდალურ ატმოსფეროში გამოვლინდებიან. წინა სეზონის ფინიში ხომ ორივე ფრონტზე მეტისმეტად ულამაზო იყო...

**ლევან ჯანეზაშვილი**

დილა

# ცვლილებები იქნება



მარცხნიდან: ზურაბ დალაქიშვილი, მამუკა ჯულელი

რა ხდება გორის "დილაში"? რატომ ტოვებს გუნდს მთავარი მწვრთნელი **გიორგი დარასელია**?

წინა ხელისუფლების პერიოდში "დილას" შინაგან საქმეთა სამინისტრო აფინანსებდა, ახლა კი სიტუაცია შეიცვალა და გასარკვევია, ვინ იქნება კლუბის სპონსორი და რა ბიუჯეტით შეეწევა "დილას".

გუშინ თბილისში, სასტუმრო "თორში" "დილას" კრება გაიმართა, სადაც კლუბის ერთ-ერთმა ხელმძღვანელმა **მამუკა ჯულელმა**, ფეხბურთელებმა და "დილას" სხვა თანამშრომლებმა მოიყარეს თავი.

ჯულელს უთქვამს, რთული იქნება, მაგრამ "დილამ" ჩემპიონობისთვის ბრძოლა უნდა გააგრძელოს, ყველა ღონეს ვიხმარ, გუნდი ბოლომდე შევინახო და თუ გორში ვინმეს ექნება იმის სურვილი, რომ კლუბის არსებობისთვის თანხა გაიღოს, ხელს არ შევუშლიო. ჯულელის თქმით, "დილას" მმართველ გუნდში ახალი სახეების გამოჩენას უნდა ველოდოთ. სეზონის მეორე ეტაპისთვის "დილა" ჯერ ქობულეთში მოემზადება 15 იანვრიდან, 1 თებერვალს კი თურქეთში გაემგზავრება.

კრების ბოლოს "დილა" გიორგი დარასელიას დაემშვიდობა, რომელიც სამწვრთნელო კარიერას რუსეთის პირველ დივიზიონში, ხაბაროვსკის "სკა ენერგიაში" გააგრძელებს.

**დავით თავართქილაძე**

აღიარება

# დავით კვირკველია დეკემბერში პირველია

გორის „დილას" ოფიციალური ვებგვერდის მიერ ჩატარებული გამოკითხვის შედეგად, კლუბის გულშემატკივრებმა დეკემბრის თვის საუკეთესო ფეხბურთელად **დავით კვირველია** დაასახელეს. გუნდის ფლანგელი მცველი და ვიცე-კაპიტანი გორელთა წამყვანი ფეხბურთელია და დეკემბერშიც „დილას" მიერ გამართულ ხუთივე მატჩში მიიღო მონაწილეობა, ერთხელ კი გატანილი გოლითაც გამოირჩა. თუმცა ბათუმის „დინამოს" კარში მის მიერ გატანილი ბურთი ჩვეულებრივი არ ყოფილა. იგი საიუბილეო, მე-700 გოლი იყო გორის „დილას" უმაღლეს ლიგაში ასპარეზობის მანძილზე. გამოკითხვაში კვირკველიამ სულ ხუთი ხმით აჯობა გორელთა შემტევ ნახევარმცველს **რომან ახალკაცს**. მესამე კი გუნდის ცენტრალური მცველი **ლაშა სალუქვაძე** გახლდათ. აღნიშნული გამოკითხვა კლუბის ოფიციალური ვებ-გვერდის მიერ სექტემბრის შემდეგ ხორციელდება. სექტემბერში საუკეთესოდ **გიორგი კახელიშვილი** დასახელდა, ოქტომბერში — **გიგა ბეჟვაია**, ნოემბერში — **მარინ სკენდერი**. ქომაგთა რჩეულს კლუბი ტრადიციულად სამახსოვრო საჩუქრით აჯილდოებს.

**ვასილ ბალახაძე**
გორიდან
ფოტო: fcdila.ge



დავით კვირკველია

ლეგიონერი



## ალექსანდრე იაშვილი:
# ადამიანს იმის მიხედვით ვაფასებ, რომ არ ნებდება

**ალექსანდრე იაშვილის** "ბოხუმი" მეორე ბუნდესლიგაში მოწინავე პოზიციებზე ვერ არის, ჩვენებურმა კი ამ სეზონის პირველი ეტაპი სტაბილურად ითამაშა და ახლა თბილისშია.

იაშვილი 35 წლის გახლავთ, ამ ასაკში ყველას როდი შეუძლია მთელი სეზონის სტაბილურად ჩატარება, მაგრამ იაშვილი ხომ **ფოლკერ ფინკეს** პრინციპით მოქმედებს – თუ გინდა, რომ კარგმა მანქანამ დიდხანს გაგიძლოს, მას სულ უმაღლესი ხარისხის საწვავი სჭირდება.

იაშვილის საქმეც ასეა, როგორც სპორტსმენი, საკუთარ თავს ნიადაგ უვლის, სასმელზე თუ მიდგება საქმე, ყველაფერს ვაშლის წვენი ურჩევნია.

როგორც უნდა იყოს, ასაკს თავისი მიაქვს და იაშვილიც უსასრულოდ ვერ ითამაშებს ფეხბურთს.

*"თუ ადრეულ წლებს მივიღებთ მხედველობაში, რა თქმა უნდა, განსხვავება არის, გაისად 36 წლის გავხდები, მაგრამ მაინც კარგად ვგრძნობ თავს, მიმდინარე სეზონის 21 მატჩიდან 18 ვითამაშე, აქედან 15 შეხვედრაში 90 წუთი. ვფიქრობ, ეს ცოტა არ არის ნებისმიერი ასაკის ფეხბურთელისთვის"* - გვითხრა იაშვილმა.

"ბოხუმი" თვრამეტგუნდა მეორე ბუნდესლიგაში ახლა მე-15 ადგილზეა, არადა, სეზონის წინ ბუნდესლიგაში ალზევების ერთ-ერთ კანდიდატად მიიჩნეოდა.

"თუ "ბოხუმის" ფეხბურთელებს გადავხედავთ, კარგ გუნდთან გვექნება საქმე, გერმანიის ნაკრებში ნათამაშები სამი ფეხბურთელი გვყავს: პაველ ფრაიერი, რომელსაც ოცი მატჩი აქვს ჩატარებული ნაკრებში; ლუკაშ სენკევიჩი, ვისაც სამჯერ უთამაშია ნაკრებში და მარსელ მალტრიცი. გვყავს კიდევ კრისტოფ დაბროვსკი, ამ ნახევარმცველს ბუნდესლიგაში, თუ არ ვცდები, სამასამდე მატჩი უთამაშია. ასეთი გუნდისგან ამ სეზონში ყველა გაცილებით მეტს ელოდა. პირველად მოხდა, რომ "ბოხუმი" ზედიზედ სამი სეზონი ვერ მოხვდა ბუნდესლიგაში და მისგან ზედა ლიგაში დაბრუნებას დაჟინებით მოითხოვენ, "ბოხუმის" გულშემატკივარი საკმაოდ პრეტენზიული და მომთხოვნია".

იაშვილს ამ სეზონის ბოლოს უმთავრდება კონტრაქტი "ბოხუმთან" და ცხადია, საინტერესოა, რას აპირებს ის ამის შემდეგ, სხვა გუნდში გადასვლას თუ ფეხბურთისთვის თავის დანებებას.

*"ამ კითხვით გერმანელი ჟურნალისტებიც მომმართავენ. ჯერჯერობით ყველა ვარჯიშზე და თამაშზე ისე გავდივარ, რომ ეს მსიამოვნებს და არ ვფიქრობ იმაზე, რომ ეს ჩემთვის ბოლო სეზონია თუ არა. "კიკერის" შეფასებებს თუ დავაჯამებთ და საშუალოს გამოვთვლით, "ბოხუმიდან" ყველაზე უკეთესი შედეგი მიმდინარე სეზონში მე მაქვს. ერთი სიტყვით, ვითამაშებ იქამდე, სანამ კონკურენტებს ვაჯობებ".*

ხშირად გაიგონებთ 30 წელს გადაცილებულ ფეხბურთელზე, რომ ის კლასის ხარჯზე თამაშობს, მაგრამ ამ ნათქვამში ყველაფერი დაზუსტებული არ არის – მაინც რას ნიშნავს კლასის ხარჯზე თამაში?

*"დღეს ისეთი ფეხბურთია, რომ თუ არ ირბინე, არ იბრძოლე და გუნდს არ დაეხმარე, სხვანაირად წარმოუდგენელია, რომ ითამაშო. გამოცდილებას რაც შეეხება, ეს დიდი პლუსია, რადგან გამოცდილი ფეხბურთელი უფრო იოლად პოულობს გამოსავალს რთული სიტუაციიდან. ზოგადად კი არსებობს კარგი და ცუდი ფეხბურთელი და ამის შეფასება ასაკის მიხედვით არ უნდა ხდებოდეს. "ბოხუმში" 17 წლის ლეონ გორეცკა თამაშობს, პირველი პროფესიული კონტრაქტი 1993 წელს გავაფორმე თბილისის "დინამოსთან" და ის მაშინ დაბადებულიც არ იყო, დღეს კი თანაგუნდელები ვართ"...*

იაშვილს **ნიკა გელაშვილზეც** ვკითხეთ, რომელიც საამსეზონოდ "ზესტაფონიდან" გადავიდა "ბოხუმში", კარგად დაიწყო გერმანული კარიერა, თუმცა მერე შედეგიანად ველარ გააგრძელა.

"საქართველოს ჩემპიონატსა და მეორე ბუნდესლიგას შორის დიდი განსხვავებაა. მას შეუძლია გერმანიაში კარგად თამაში, მაგრამ ამისთვის დროა საჭირო. ფეხბურთელს და საერთოდ ადამიანს იმის მიხედვით ვაფასებ, რომ არ ნებდება, არ იტყვის იმას, აქ არ გამომივიდა და სხვაგან წავალო. ნიკამაც ის გზა აირჩია, რომ უნდა იბრძოლოს."

გერმანიასა და საქართველოს შორის განსხვავება მართლაც მნიშვნელოვანია, იაშვილს იმაზეც ჩამოვუგდეთ სიტყვა, თუ როგორ არის დარეგულირებული ურთიერთობა გერმანიაში კლუბის ხელმძღვანელობასა და მწვრთნელ-ფეხბურთელებს შორის.

*"როცა ფეხბურთელი კონტრაქტს აფორმებს, კარგად უნდა იცოდეს, თუ რაზე აწერს ხელს, ამაში მას საკუთარი აგენტი ეხმარება. გერმანიაში ისეა ყველაფერი მოწყობილი, რომ გუნდის წარუმატებლობის შემთხვევაში ფეხბურთელებს ხელფასს ვერ უქვითავენ. ინფორმაცია კი აქვს იმაზე, თუ რა ფაქტები მოხდა ამ თემასთან დაკავშირებით საქართველოში, მაგრამ მე 1997 წლიდან არ მითამაშია საქართველოში და ჩემი მხრიდან რთულია ამ საკითხზე საუბარი. კლასის დაქვეითების გამო ხელფასის დაქვითვა – ასეთი რამე გერმანიაში არ არსებობს. გააცდინე ვარჯიშე, დროულად არ გამოცხადდი შეკრებაზე, არ შეასრულე მწვრთნელის მითითება – ასეთ დროს კლუბს შეუძლია ფეხბურთელის დაჯარიმება, ოღონდაც გერმანიაში გამორიცხულია, რომ კლუბის ხელმძღვანელობამ ასეთი გადაწყვეტილება მწვრთნელთან კონსულტაციის გარეშე მიიღოს".*

იაშვილს, ისევე როგორც **ლევან კობიაშვილს, თემურ ქეცბაია** ნაკრებში აღარ იწვევს. ამაზე ბევრჯერ ითქვა და დაიწერა და იაშვილს ამჯერად ის ვკითხეთ, აპირებს თუ არა კობიაშვილთან და **კახა კალაძესთან** ერთად ნაკრებში გამოსამშვიდობებელი მატჩის გამართვას.

*"ამაზე ჯერ არ მიფიქრია, რადგან მე და კობიაშვილს საკუთარი ნებით არ დაგვიტოვებია ეროვნული გუნდი"* – გვიპასუხა იაშვილმა.

**დავით თავართქილაძე**

სეზონის აღმოჩენა

## საბა ლომია:
# ზესტაფონში დამკვიდრების შანსი უნდა გამოვიყენო

**საბა ლომია** უმაღლეს ლიგაში პირველ სეზონს არ ატარებს, მაგრამ მაინც შეგვიძლია, ნამდვილ აღმოჩენად მივიჩნიოთ. 22 წლის თავდამსხმელზე, რომელიც "ზესტაფონის" საკუთრებაა, მარტვილის "მერანში" განათხოვრებამ ძალიან პოზიტიურად იმოქმედა – იქ ლომია "გაიხსნა" და 13 გოლით ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირებში გაერია.

ამით მან "ზესტაფონში" მორიგი შანსი დაიმსახურა – ფეროელებს ზამთრის შეკრებაზე გაჰყვება და იქ გადაწყდება, სეზონის მეორე ნახევარს საქართველოს მოქმედი ჩემპიონის რიგებში გაატარებს თუ "მერანთან" საიჯარო ხელშეკრულებას გააგრძელებს.

*"დიდი იმედი მაქვს, რომ "ზესტაფონში" ამჯერად მაინც შევძლებ თავის დამკვიდრებას. ყველაფერს გავაკეთებ იმისთვის, რომ ეს შანსი ამჯერად მაინც გამოვიყენო. აქამდე "ზესტაფონში" კონკურენციის დაძლევა მიჭირდა, მაგრამ ბოლო დროს საქმეს ადრინდელზე უფრო სერიოზულად ვუდგები და დიდი იმედი მაქვს, რომ ჩემი შრომა ნაყოფს გამოიღებს. ჩემი უახლოესი ოცნება ის არის, რომ "ზესტაფონში" თამაშის უფლება მოვიპოვო და იქ ისეთივე წარმატებით ვიასპარეზო, როგორც "მერანში" ვთამაშობდი"*, - გვითხრა ლომიამ.

მიმდინარე სეზონში თავის საუკეთესო მატჩად საბა "ზუგდიდთან" სტუმრად გამართულ შეხვედრას მიიჩნევს, სადაც, მართალია, "მერანი" 2:3 დამარცხდა, მაგრამ დუბლით გამოიჩინა თავი. მას ასევე განსაკუთრებულად ახსენდება "დილასა" და "ტორპედოს" კარში გატანილი გოლებიც.

წარმატებული მატჩები "ზესტაფონის" შემადგენლობაშიც ჩაუტარებია, საიდანაც ლომია ორს გამოარჩევს – წინა სეზონში "ტორპედოსთან" სათასო შეხვედრას, რომელიც "ზესტაფონმა" 2:1 მოიგო, და 2010-11 წლების სეზონში თბილისის "დინამოსთან" შინ 1:0 მოგებულ მატჩს, სადაც **გიორგი ჭანკოტაძემ** გამარჯვების გოლი მისი პასით გაიტანა. ეს შეხვედრა სეზონის მიწურულს გაიმართა და ამ გამარჯვებით "ზესტაფონმა" პირველი საჩემპიონო ტიტულისკენ გადამწყვეტი ნაბიჯი გადადგა.

ლომიას საკუთარ კოზირად სისწრაფე მიაჩნია, ყველაზე მეტს კი ტექნიკის გაუმჯობესებაზე მუშაობს. "ვიცი, რომ მაღალი დონის თავდამსხმელად ჩამოსაყალიბებლად კიდევ ბევრი შრომა მჭირდება და უკან არაფერზე დავიხევ, მზად ვარ, ფეხბურთს ყველაფერი შევწირო", - გვითხრა ლომიამ.

საბასთვის თავდამსხმელის ეტალონი ლეგენდარული ბრაზილიელი **რონალდოა**, თანამედროვე ქართველი ფორვარდებიდან კი ყველაზე მეტად **ჯაბა დვალს** აფასებს: "მოხარული ვარ, საკმაო ხნის განმავლობაში ჯაბას თანაგუნდელი რომ ვიყავი. მასთან ერთად ვარჯიშითა და თამაშით ბევრი რამ შევიძინე. ბევრი მისი თვისება ჩემთვის მისაბაძია. ჯაბას გარდა, ნიკა გელაშვილს გამოვარჩევდი, რომელმაც ასევე საკმაო გამოცდილება გამიზიარა".



"მერანში" გატარებულ პერიოდს კი, რა თქმა უნდა, თბილად იგონებს: "ეს ნახევარი სეზონი ჯერჯერობით, ჩემი კარიერის ყველაზე წარმატებული ეტაპია. ამისთვის "მერანის" სამწვრთნელო შტაბის, თანაგუნდელებისა და გულშემატკივრების მიმართ მადლობის მეტი არაფერი მეთქმის. "მერანში" შექმნილმა ატმოსფერომ საკუთარი შესაძლებლობების წარმოჩენისა და საკუთარი თავის რწმენის დაბრუნების საშუალება მომცა და ამას არასდროს დავივიწყებ".

საბა ლომია სენაკელია და ფეხბურთის თამაშიც იქ დაიწყო. შემდეგ მისი ბავშვობის მწვრთნელი **მურად კუპრეიშვილი** სამუშაოდ თბილისში, 35-ე საფეხბურთო სკოლაში გადმოვიდა და საბა და სხვა სენაკელი ბავშვებიც დედაქალაქში გადმოიყვანა. 35-ე სკოლიდან კი ლომია "ზესტაფონში" აღმოჩნდა, სადაც იმერელთა იმჟამინდელმა მთავარმა მწვრთნელმა **გია გეგუჩაძემ** გადაიყვანა.

"ზესტაფონთან" ერთად იგი ორჯერ გახდა საქართველოს ჩემპიონი, მაგრამ თამაში იშვიათად უწევდა და ამ ტიტულების მოპოვებაში საკუთარ წვლილს მოკრძალებულად აფასებს. სურს, ახლო მომავალში "ზესტაფონის" წარმატებებში უფრო მნიშვნელოვანი როლი ითამაშოს. მისი კარიერის ყველაზე დიდი ოცნება საქართველოს ეროვნულ ნაკრებში თამაშია, საკლუბო დონეზე კი გერმანიაში ისურვებდა ძალების მოსინჯვას.

**ლევან ჯანეზაშვილი**

სიტუაცია

# ხუბუტიამ რუმინეთი დატოვა
## მცველის მენეჯერს უჰრინი დაელაპარაკა



აკაკი ხუბუტია

მცირე ხნის წინათ ვწერდით, რომ თბილისის "დინამო" **აკაკი ხუბუტიას** ჩამოყვანით დაინტერესდა.

შევიტყვეთ, რომ თბილისელთა მთავარი მწვრთნელი **დუშან უჰრინი** ამ ტრანსფერის თაობაზე თანამემამულე მენეჯერს, რუმინული "გაზ-მეთანისა" და საქართველოს ეროვნული ნაკრების 26 წლის მცველის აგენტს, **დალიბორ ლასინას** ელაპარაკა.

ინფორმაცია თავად ფეხბურთელმა დაგვიდასტურა, მაგრამ დააზუსტა: *"თბილისური კლუბის ინტერესზე მეც შევიტყვე, მაგრამ პირადად "დინამო" არ დამლაპარაკებია და ვერ დაგიდასტურებთ, რომ გინდა თუ არა "დინამოში" ვითამაშებ. თუმცა, "გაზ-მეთანიდან" რომ მოვდივარ, ეს ფაქტია. ამავე დროს, არის ვარიანტები თურქეთში, რუსეთში, უკრაინაში. ყველაფერი უახლოეს პერიოდში გაირკვევა".*

**მერაბ მამულაშვილი**

● სამზადისი

# დინამო: პერსპექტიული ახალგაზრდები და...



ბუბა ტყავაძე ფოტო: fcdinamo.ge

**თბილისის "დინამოს" მმართველი დირექტორი ბუბა ტყავაძე გვიმხელს, რა ცვლილებებია მოსალოდნელი "დინამოში", სად გაივლის გუნდი მოსამზადებელ და ა.შ.**

- სანამ მოსამზადებელ ეტაპის ამბებზე ვილაპარაკებ, მინდა ვთქვა, რომ ჩემთვის ძალიან სასიამოვნოა, ფეხბურთის ფედერაციის დაჯილდოებაზე საქართველოს ჩემპიონატის საუკეთესო ფეხბურთელთა სამეულში სულ დინამოელები რომ დაასახელეს. ჩისკოს კი გამარჯვება მინდა მივულოცო.

**- ამტკიცებენ, რომ თბილისის "დინამო" გაძლიერებულად ეძებს მცველებს. ამას ადასტურებდა ის ფაქტიც, რომ სეზონის მსვლელობისას განელი მცველი გასინჯეთ.**

- ჩვენ ლეგიონერ მცველებზე უარს არ ვიტყვით, თუ ისინი ჩვენებზე ძლიერები იქნებიან. მაგრამ ვეძებთ არა მხოლოდ მცველებს. არაერთხელ ხაზგასმით მითქვამს, რომ გაძლიერება ყველა რგოლში გვჭირდება.

ორი ცვლილება უკვე ცნობილია: ურთიერთშეთანხმების საფუძველზე, კონტრაქტები გაუწყდათ ალბერტ იაგუესა და გოგიტა გოგუას. ეს უკანასკნელი გორის "დილაში" იჯარით იყო და მისი ტრანსფერი "დინამოს" ეკუთვნოდა.

**- ახალწვეულები უკვე გყავთ?**

- ჯერ არა, თუმცა ჩვენს გეგმაში რადენიმე ახალგაზრდა ფეხბურთელის დამატებაა, რომლებიც მომავალში "დინამოში" თავის ადგილს დაიკავებენ. სელექციას ვაგრძელებთ და ისეთ მოთამაშეებსაც ვეძებთ, რომლებიც გუნდს დღესვე გააძლიერებენ.

**- როგორც ჩანს, პირველი ლიგის საუკეთესო ბომბარდირი, "სასკოს" თავდამსხმელი გიორგი ქვილითაია თქვენთან არ ითამაშებს.**

- მის მიმართ ინტერესი მართლაც გვქონდა, მაგრამ ეს ისეთი ინტერესი იყო, როგორიც პირველი ლიგის ფეხბურთელს შეეფერებოდა. იმის თქმა, რომ ქვილითაიას მოყვანით წინა ხაზში ყველა პრობლემას გადავჭრიდით, არასწორი იქნებოდა. ის პერსპექტიული ფეხბურთელია, რომელიც თავის გამოვლენას მომავალში შეძლებდა.

**- ვინმე უკვე დაიმატეთ?**

- დავიმატეთ ახალგაზრდა თავდამსხმელი ლაშა შინდაგორიძე, რომელიც ჯერ "ორჰუსში", შემდეგ კი "ზესტაფონში" თამაშობდა. ასევე დიდი ალბათობით შემიძლია გითხრათ, რომ ჩვენთან ითამაშებს ბათუმის "დინამოს" 18 წლის ნახევარმცველი ნიკა დიასამიძე.

**- მომზადებას სად და როდის დაიწყებთ?**

- გუნდი 10 იანვარს შეიკრიბება და თბილისში ივარჯიშებს, 21 იანვარს კი ანთალიაში 10 დღით გაემგზავრება, 5 დღით დაბრუნდება და შემდეგ ისევ თურქეთში მოემზადება.

● ლეგიონერი

# დავით ჩაგელიშვილი ყაზახეთიდან წამოვიდა

25 წლის ქართველმა თავდამსხმელმა **დავით ჩაგელიშვილმა** კოკშეტაუს "ოკჟეტპესში" ერთი სეზონი ჩაატარა და ახლახან ეს ყაზახური კლუბი დატოვა.

*"თბილისში ვარ და ვისვენებ. "ოკჟეტპესში" გატარებული სეზონის შემდეგ ყაზახებმა კონტრაქტი კი შემომთავაზეს, მაგრამ კარგი პირობები აღარ იყო და რაც მთავარია, დარჩენის სტიმულიც აღარ მქონდა, რადგან გუნდი პირველ ლიგაში გავარდა. ჯერ სხვა ვარიანტი არც არის. საქართველოში არავინ დამკავშირებია, ეტყობა, უკვე ყველამ დამივიწყა, მაგრამ თავისუფალი აგენტი ვარ და იმედია, იანვარში რამე გამოჩნდება. გუნდთან კონტრაქტს ჩემი ძმაც აფორმებდა, მაგრამ ორი დღით ადრე კუნთი გაუწყდა და წამოვიდა. ახლა ის ბოლნისის "სიონთან" ვარჯიშობს"* – ამბობს ჩაგელიშვილი.

25 წლის ქართველმა თავდამსხმელმა ყაზახეთში გატარებული სეზონი გაიხსენა: *"გუნდის საუკეთესო ბომბარდირი ვიყავი და ბოლო ტურშიც გავიტანე. მართალია, სულ 6 გოლი დამიგროვდა, მაგრამ ყაზახეთის ჩემპიონატში განსაკუთრებული შედეგიანობით არც სხვა თავდამსხმელები გამოირჩეოდნენ. ბომბარდირი 14 გოლით "ირტიშის" თავდამსხმელი ბაკაევი გახდა, რომელმაც თამაშიდან ჩემზე მხოლოდ ერთით მეტი გაიტანა, დანარჩენები – პენალტებით. მე კი თერთმეტმეტრიანი არ დამირტყამს.*

*საერთოდ, მიუხედავად იმისა, რომ გუნდი ლიგიდან გავარდა, ყაზახეთში გატარებული სეზონით კმაყოფილი ვარ. საქართველოში თამაშს სჯობდა. ჩვენთვის საწყენია, მაგრამ იქ ბევრად უკეთესი პირობები და ოდნავ უკეთესი ჩემპიონატია. გამოცდილებაც შევიძინე და ფინანსურადაც არ მინანია. თანაც სეზონის დასრულების შემდეგ 10 საუკეთესო შეხვედრიდან "ოკჟეტპესის" ის მატჩი გამოარჩიეს, რომელშიც მე "ასტანას" ჰეთ-თრიქი შევუსრულე. ამან ძალიან გამახარა, რადგან ნაკრებებისა და ყაზახური კლუბების მნიშვნელოვანი ევრომატჩების გვერდით დააყენეს".*

ყაზახური Sports.kz ჩაგელიშვილს მართლაც კარგად ახასიათებს.

*ქართველ კილერს შეუკვეთეს?*

**ასტანა–ოკჟეტპესი 1:4**

*"ამ დაპირისპირებაში მასპინძლები რომ გაიმარჯვებდნენ, ეჭვი არავის ეპარებოდა, დავით ჩაგელიშვილის გარდა. კოკშეტაუელთა ქართველი თავდამსხმელი მოედანზე დაფრინავდა. "ასტანა" 1:0-ს იგებდა, მაგრამ მეორე ტაიმის 40 წუთში "ოკჟეტპესს" 4:1 მოაგებინა. ეს სეზონში გუნდის მიერ მოპოვებული პირველი 3 ქულა იყო, ჰეთ-თრიქის შემსრულებელმა ქართველმა თავდამსხმელმა ასტანელთა მთავარი მწვრთნელის, ოლეგ პროტასოვის კილერის როლი შეასრულა, რომელიც მატჩის შემდეგ პოსტიდან გადადგა".*



დავით ჩაგელიშვილი (მარჯვნივ)

● ლეგიონერი. ინტერვიუ


ეროვნული ბიბლიოთეკა

## დავით სირაძე:

# ნაკრებიდან ჩამოცილებამ უკან დამხია

**დავით სირაძე ნალჩიკის "სპარტაკს" რუსეთის პირველ ლიგაში ეხმარება და ცდილობს, გუნდი პრემიერლიგაში ხელახლა დააბრუნოს. თუმცა, წლეულს ამ პერსპექტივას ეჭვის თვალით უყურებს.**

**- რუსეთის პირველ ლიგაში თამაში არ გსურდა, მაგრამ იძულებული გახდი, ისევ "სპარტაკში" დაბრუნებულიყავი.**

- არ მინდოდა, მაგრამ საბოლოოდ მაინც იქ თამაში ვამჯობინე. ისე, ძალიან მძიმე ტურნირია. კარგია იმისთვის, ვისაც დიდი ფული და ამბიციები აქვს.

**- "სპარტაკს" დიდი მიზანი არ აქვს?**

- ფინანსურად ლიდერებს, "ტომს", "ურალს", ხაბაროვსკის "სკა-ენერგიასა" და "ნეფტეხიმიკს" ვერ შევედრებით. ხაბაროვსკში ახლა გიორგი დარასელია და ქართველი ბიჭები რომ მიდიან, მგონია, გუნდი ბევრად გაძლიერდება.

**- ხაბაროვსკელებს დიდი ფული აქვთ?**

- ფულიც ბევრი აქვთ და ამბიციაც. ერთადერთი, ამ გუნდს ხელს ის უშლის, რომ კონტინენტის მეორე ბოლოშია.

**- ახლა "სკა-ენერგიაში" მენეჯერად მამუკა ჯულელი ჩაიყვანეს. ნუთუ მართლა ისეთი გავლენიანი კაცია, როგორც ლაპარაკობენ?**

- კი, მართლა ასეა. მამუკა უკვე მერამდენედ მიჰყავთ იმ გუნდში, რომელსაც პრემიერლიგაში გადასვლა სურს. "ანჟისა" და "ვოლგაში" ეს მიზანი შეასრულა და ახლაც რამეს მოახერხებს. რუსებს იმხელა ფული აქვთ, ქართველი რაში დასჭირდებათ, უნარიანი რომ არ იყოს. ამბობენ, ფულით ყველაფერს გააკეთებო. ფულის გამოყენება სხვებსაც უცდიათ, მაგრამ არაფერი გამოსვლიათ. ნიჭი და ადამიანებთან ურთიერთობის უნარია საჭირო.

**- "სპარტაკს" დავუბრუნდეთ. შენი ნათქვამიდან უნდა დავასკვნათ, რომ გუნდის პრემიერლიგაში დაბრუნება არარეალურია?**

- საკმაოდ ძლიერი შემადგენლობა გვყავს, მაგრამ უფულო რომ ხარ, დაგვჩაგრავენ და ძალიან გაგვიჭირდება: ცალკე მეტოქეები აკეთებენ ჩვენი კონკურენტების საქმეს და ცალკე მსაჯები არ გვახარებენ. არადა, ლიდერებს ბევრითაც არ ჩამოვრჩებით და ამ სხვაობის გაბათილებაც შესაძლებელია.

**- ნალჩიკში დარჩენას როდემდე აპირებ?**

- კონტრაქტი სეზონის ბოლომდე მაქვს... ისე, ნაკრებში გამოუძახებლობამ უკან დამხია. დარწმუნებული ვარ, ახლაც რომ მეთამაშა, პრემიერლიგის რომელიმე კლუბში მოვხვდებოდი. ნაკრების წევრს მაინც სხვა თვალით უყურებენ. მას შემდეგ, რაც ქეცბაია აღარ მიწვევს, დამოკიდებულება კლუბშიც შეიცვალა. გული ამიტომაც მწყდება... სულ მაინტერესებს, რატომ ამითვალწუნა, მიზეზი მაინც ეთქვა, გაახალგაზრდავებას ვაპირებო ან მსგავსი... ლატვიასთან მატჩის შემდეგ საერთოდ დამივიწყა. მაგრამ რაც იყო, იყო, აღარ მინდა ამაზე ლაპარაკი.

**- გუნდში გუჯა რუხაიაც რჩება?**

- დიახ, მასაც ჩემსავით კონტრაქტი სეზონის ბოლოს უმთავრდება. ძალიან კარგი ფეხბურთელია და საწყენია, ყურადღებას რომ არ აქცევენ. სხვათა შორის, ადრე რუსეთის პირველ ლიგაში უფრო ბევრი ქართველი თამაშობდა. ახლა თითებზე ჩამოსათვლელები დავრჩით, რადგან "ხიმკიდან" ლევან გვაზავა, "კუზბასიდან" კი გიორგი ნავალოვსკი წავიდნენ. "ნეფტეხიმიკს" ორჯერ შევხვდით და საბა კვირკველია ორივეჯერ ძალიან მომეწონა. მიმაჩნია, რომ კარგი მცველი გვეზრდება.

სხვათა შორის, წლების წინ მეორე ბუნდესლიგაში ვთამაშობდი და რომ ვადარებ, დაახლოებით იგივე დონეა და წლიდან წლამდე უფრო მაღლდება, ხალხი სტადიონებზე დადის და მედიაც მოლენებს კარგად აშუქებს. გვაზავას "ხიმკი" ბოლო ადგილზეა, მაგრამ იცით, რა კარგი შემადგენლობა ჰყავს? ასეთი გუნდი საქართველოს ჩემპიონატში ბევრს მიაღწევდა.

**- პრემიერლიგას რომ ვერ შევედრებით, ეს ისედაც ცხადია, მაგრამ პირველი ლიგაც ჩვენზე ბევრად მაღალი დონის არის?**

- საქართველოს ჩემპიონატში თბილისის "დინამო" ყველაზე სოლიდური კლუბია. სხვა ამ დონის კლუბი გეგულებათ, რომელსაც ძალიან კარგი სტადიონი, ბაზა და ფინანსური პირობები აქვს? ძალიან მინდა, ჩვენი ფეხბურთი უკეთეს დღეში იყოს, მაგრამ თვალის დახუჭვით დონე არ გაიზრდება. მწარე რეალობა კი ასეთია. იქ რომ უკეთესი დონე და პირობები არ იყოს, საქართველოში არ დავრჩებოდი? გადახედეთ, რამდენ ქართულ კლუბს აქვს საკუთარი სტადიონი და ბაზა, აღარაფერს ვამბობ მინიმალურ ბიუჯეტზე – დადგენილია, რომ ლიგაში ვერ ითამაშებს 10 მილიონ დოლარზე ნაკლები ბიუჯეტის მქონე გუნდი. აბა, რომელ ქართულ კლუბს აქვს ამხელა ფული? რუსეთში ეს არავის უკვირს. თუმცა, მგონია, რომ ჩვენი უმაღლესი ლიგის ლიდერები რუსეთის პირველლიგელებს წინააღმდეგობას გაუწევენ. 2018 წლამდე რუსეთში ფეხბურთის დონის კიდევ უფრო გაზრდა აქვთ ჩაფიქრებული. ამბობენ, რომ მთავრობა ძალიან დიდი ფულის დაბანდებას აპირებს. ხომ იცით, ამბიციურები არიან და სურთ, მსოფლიოს ჩემპიონატის დაწყებამდე რუსული ფეხბურთის განვითარება ყველამ აღიაროს. რამდენიმე ახალი სტადიონი ააშენეს. მაგალითად, ეკატერინბურგში "ურალის" სტადიონი ვნახე და გაოცებული დავრჩი: 35 ათას მაყურებელს იტევს და თანამედროვე, ძალიან მაგარი არენაა, კომფორტული ტრიბუნებითა და კარგი საფარით... ევროპული დონისააო, ამბობენ, მაგრამ ეს ევროპულზე უკეთესი მგონია. სხვაგან უკეთესის აშენებას აპირებენ. ნეტავ, ამათი მეათედი ფული გვქონდეს, მაგარი ჩემპიონატი გვექნებოდა.

**- თუმცა ხუმრობით იმასაც ამბობენ, რუსეთის პირველ ლიგაში მოთამაშეები თვითმფრინავში ცხოვრობენო.**

- ეს მართლა სერიოზული პრობლემაა. ვერ ვიტყვი, რომ სულ ასეთ რეჟიმში ვართ, მაგრამ "სპარტაკს" იმის ფუფუნება არ აქვს, ხაბაროვსკში ჩარტერული რეისით გაემგზავროს და მოსკოვის გავლით ვიფრინეთ - გზაში 12 საათი ვიყავით. საშინელებაა, მაგრამ ადამიანი ყველაფერს ეჩვევა, ძილსაც ვასწრებთ, ტელევიზორის ყურებას და გაზეთების თუ ჟურნალების წაკითხვას. ეკატერინბურგსა და ტომსკში ასე ბევრი დრო არ გვჭირდება, 4-5 საათი მაქსიმუმ. მაგრამ ხანგრძლივ მგზავრობაზე მეტ სირთულეს ის გვიქმნის, რომ იგივე ხაბაროვსკისა და მოსკოვის დროებს შორის განსხვავება 7 საათია და ფაქტობრივად, ჩვენთვის ბუნებრივი დროის მიხედვით, დილის 11 საათზე ვთამაშობთ. გადაწყობა და აკლიმატიზაცია იმდენად ძნელია, რომ ეს "სკა-ენერგიას" დიდი უპირატესობას უქმნის. მაგრამ მათ გასვლაზე თავად უჭირთ გადაწყობა.

გვერდი მოამზადა
**მერაბ მამულაშვილმა**

## ინგლისი. პრემიერლიგა. XIX ტური



ნუხელ გარეთ ბეილმა ასტონ ვილას სამი გოლი გაუტანა

# იუნაიტედი ჩვეულ ამპლუაში

XIX ტურის ცენტრალური მატჩი "ოლდ ტრეფორდზე" გაიმართა. "ნიუკასლმა" მასპინძელს ბევრი სანერვიულო გაუჩინა. საბოლოოდ ყველაფერი მაინც "წითელი ეშმაკების" სასარგებლოდ დასრულდა, მაგრამ იქამდე მანკუნიანელთა ფანებს ერთი-ორი ჭაღარა კი შეემატებოდათ. "იუნაიტედმა" თამაში დაბალ ტემპში დაიწყო. სუსტი იყო **სქოულზი**, ვინც შეტევების ორგანიზებას ვერა და ვერ ახერხებდა. ოდესღაც უბადლო "დირიჟორს" სერიოზული წუნი ჰქონდა გადაცემებში. ანგარიში **კერიკის** მიერ ბურთის დაკარგვის შემდეგ გაიხსნა. **დე ხეამ ბას** დარტყმა **პერჩს** "გადააბარა" - 0:1. **ევანსს** გაუმართლა, როცა ანგარიში გაათანაბრა. მაგრამ ზუსტად ზუსტად 3 წუთში მასზე უბედურს მოედანზე ვერავის ნახავდით. ჩრდილოირლანდიელმა ბურთი საკუთარ კარში ჩაჭრა. ამ ეპიზოდში საეჭვოდ მოგვეჩვენა **სისეს** პასიური თამაშგარე. ჩვენი აზრით, არბიტრს გოლი არ უნდა ჩაეთვალა. მეორე ნახევარში "იუნაიტედმა" საქმეს სერიოზულად მოკიდა ხელი და სტუმარი საკუთარ ნახევარზე ჩაკეტა. მართალია, დაცვამ კიდევ ერთი მატჩი ჩააგდო, მაგრამ თავდასხმამ იყოჩაღა. **ერნანდესმა** და **ვან პერსიმ** "კაჭკაჭებზე" გამარჯვება დიდი მონდომებით გამოჭედეს.

"იუნაიტედის" ფანებისთვის ერთი სამწუხარო ინფორმაციაც გვაქვს: "ნიუკასლთან" მატჩამდე **უეინ რუნიმ** მუხლის ტრავმა მიიღო და როგორც გაირკვა, გუნდს უახლოესი 3 კვირის განმავლობაში ვერ დაეხმარება.

პარალელურად სანდერლენდის "სტედიუმ ოფ ლაითზე" "შავმა კატებმა" მოქმედი ჩემპიონები მიიღეს. "ქალაქელები" ამ არენაზე ზედიზედ მესამედ დამარცხდნენ და თანაქალაქელს პირველი წრის ჩემპიონის ტიტული ოფიციალურად გადაულოცეს. "სიტიმ" დამსახურებულად წააგო. **რობერტო მანჩინის** გუნდი მისმა ყოფილმა წევრმა **ადამ ჯონსონმა** შორეული დარტყმით დასაჯა. 100%-იანი მომენტი გაანიავა **სტეფან სესინიონმაც**. ჩემპიონებს კი შერჩათ ხახვივით მხოლოდ ტერიტორიული უპირატესობა.

მეორეადგილოსანთან სხვაობა შეამცირა "ჩელსიმ". "ნორვიჩმა" დაცვაში ძალიან კარგად ითამაშა, მაგრამ 38-ე წუთზე საჯარიმოს მისადგომებთან **ოსკარისა** და **ხუან მატას** მიერ გათამაშებული კომბინაცია მაინც გაეპარა. ესპანელმა ძლიერი დარტყმით დააშამათა **მარკ ბანი**.

"ვილა პარკზე" გვიან საღამოს დაიწყო "ტოტენჰემის" თამაში. ბირმინგემელები წინა ტურში მიღებული ფსიქოლოგიური შოკიდან აშკარად არ გამოსულან. საბოლოო ანგარიში სწორედ ამაზე მოწმობს. ლომის წილი **პოლ ლამბერტის** გუნდის გაუბედურებაში **გარეთ ბეილმა** დაიდო. უელსელის ანგარიშზე ჰეთთრიკია.

### მომდევნო ტური

**29 დეკემბერი:** სანდერლენდი-ტოტენჰემი, ასტონ ვილა-უიგანი, ფულჰემი-სუონსი, იუნაიტედი-ვესტ ბრომვიჩი, ნორვიჩი-სიტი, რედინგი-ვესტ ჰემი, სტოკ სიტი-საუთჰემპტონი, არსენალი-ნიუკასლი

**30 დეკემბერი:** ევერტონი-ჩელსი, ქუინზ პარკი-ლივერპული

## შოტლანდია

### პრემიერლიგა. XX ტური

| | |
|---|---|
| დანდი იუნ-სტ. ჯონსტონი | 1:1 |
| ჰიბერნიანი-როს ქაუნთი | 0:1 |
| ინვერნესი-სტ. მირენი | 2:2 |
| კილმარნოკი-ჰართსი | 1:0 |
| მოზერველი-აბერდინი | 4:1 |
| დანდი-სელტიკი | 0:2 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. სელტიკი | 19 | 12 | 4 | 3 | 39-14 | 40 |
| 2. ინვერნესი | 20 | 8 | 9 | 3 | 44-35 | 33 |
| 3. მოზერველი | 20 | 9 | 6 | 5 | 35-27 | 33 |
| 4. ჰიბერნიანი | 20 | 8 | 4 | 8 | 30-29 | 28 |
| 5. აბერდინი | 20 | 7 | 6 | 7 | 25-25 | 27 |
| 6. კილმარნოკი | 19 | 7 | 5 | 7 | 29-24 | 26 |
| 7. სტ. ჯონსტონი | 20 | 6 | 8 | 6 | 23-26 | 26 |
| 8. დანდი იუნ. | 19 | 6 | 7 | 6 | 28-28 | 25 |
| 9. ჰართსი | 20 | 6 | 7 | 7 | 20-22 | 25 |
| 10. სტ. მირენი | 20 | 5 | 6 | 9 | 25-34 | 21 |
| 11. როს ქაუნთი | 20 | 4 | 9 | 7 | 21-30 | 21 |
| 12. დანდი | 19 | 3 | 3 | 13 | 12-37 | 12 |

## ბელგია

### ჟუპილერლიგა. XXII ტური

| | |
|---|---|
| შარლერუა-მონსი | 1:2 |
| მეხელენი-გენტი | 1:0 |
| ლოკერენი-ს. ბრიუგე | 3:0 |
| ბევერენი-გენკი | 1:1 |
| ვარეგემი-ლუვენი | 2:1 |
| ბრიუგე-კორტრიიკი | 0:0 |

**დღეს:**

| | |
|---|---|
| სტანდარდი-ბეერსხოტი | 21:00 |
| ანდერლეხტი-ლიერსი | 23:00 |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ანდერლეხტი | 21 | 15 | 4 | 2 | 53-19 | 49 |
| 2. ვარეგემი | 22 | 13 | 5 | 4 | 36-23 | 44 |
| 3. ლოკერენი | 22 | 12 | 4 | 6 | 41-30 | 40 |
| 4. ბრიუგე | 22 | 11 | 6 | 5 | 51-34 | 39 |
| 5. გენკი | 22 | 9 | 9 | 4 | 43-33 | 36 |
| 6. სტანდარდი | 21 | 11 | 2 | 8 | 42-28 | 35 |
| 7. მონსი | 22 | 9 | 4 | 9 | 37-42 | 31 |
| 8. კორტრიიკი | 22 | 8 | 5 | 9 | 24-23 | 29 |
| 9. მეხელენი | 22 | 8 | 5 | 9 | 31-31 | 29 |
| 10. ლუვენი | 22 | 6 | 10 | 6 | 39-34 | 28 |
| 11. შარლერუა | 22 | 7 | 3 | 12 | 22-40 | 24 |
| 12. გენტი | 22 | 5 | 7 | 10 | 24-34 | 22 |
| 13. ბევერენი | 22 | 5 | 7 | 10 | 22-37 | 22 |
| 14. ბეერსხოტი | 21 | 5 | 3 | 13 | 23-42 | 18 |
| 15. ლიერსი | 21 | 3 | 9 | 9 | 22-39 | 18 |
| 16. ს. ბრიუგე | 22 | 3 | 5 | 14 | 26-47 | 14 |

### ევერტონი-უიგანი 2:1

**გოლები:** 1:0 ოსმანი (52), 2:0 იაგიელკა (77), 2:1 კონე (82)

**ევერტონი** (4-4-2): ჰოვარდი – ბეინსი, დისტენი, იაგიელკა, ნევილი – პიენაარი, გიბსონი (46. ნეისმიტი), ჰიტცლშპერგერი (70. ჰეიტინგა), ოსმანი – ანიჩებე (70. ოვიედო), იელავიჩი

**უიგანი** (4-4-2): ალ ჰაბსი – ბოისი, კოლდუელი, ფიგეროა, სტამი (79. გომესი) – მაკარტი, დ. ჯონსი (72. დი სანტო), მაკარტური, ბოსეჟური – მელონი, კონე

**გაფრთხილება:** იელავიჩი – ბოსეჟური, ფიგეროა, კოლდუელი

**კარში დარტყმა:** 10-6 (4-3) **კუთხური:** 11-2 **თამაშგარე:** 2-1 **ჯარიმა:** 10-12 **ბურთის ფლობა:** 53%-47%

**მაყურებელი:** 38 749

### ფულჰემი-საუთჰემპტონი 1:1

**გოლები:** 1:0 ბერბატოვი (9), 1:1 ლამბერტი (85)

**ფულჰემი** (4-4-1-1): შვარცერი - რიისე, ჰანგელანდი, სენდეროსი, რიტერი – კაჩანიკლიჩი (46. რუისი), სიდუელი, ბერდი, დეჟაგა (68. ფრეი) – როდალიეგა (78. კარაგუნისი) - ბერბატოვი

**საუთჰემპტონი** (4-3-3): კ. დევისი – კლაინი, ფონტე, იოშიდა, შოუ – შნაიდერლინი, ს. დევისი (78. როდრიგესი), კორკი – პანჩეონი, ლამბერტი, რაპირესი (90+3. დო პრადო)

**გაფრთხილება:** ბერბატოვი, რიისე, სენდეროსი -

**კარში დარტყმა:** 9-7 (1-3) **კუთხური:** 3-5 **თამაშგარე:** 2-3 **ჯარიმა:** 13-12 **ბურთის ფლობა:** 55%-45%

**მაყურებელი:** 25 700

### იუნაიტედი-ნიუკასლი 4:3

**გოლები:** 0:1 პერჩი (4), 1:1 ევანსი (25), 1:2 ევანსი (28-ს.კ-ში), 2:2 ევრა (58), 2:3 სისე (68), 3:3 ვან პერსი (71), 4:3 ერნანდესი (90)

**იუნაიტედი** (4-4-2): დე ხეა – ევრა, ევანსი, ფერდინანდი, სმოლინგი – გიგზი, სქოულზი (70. კლევერლი), კერიკი, ვალენსია – ერნანდესი (90+1. ფლეტჩერი), ვან პერსი

**ნიუკასლი** (4-4-2): კრული – სიმპსონი, უილიამსონი, კოლოჩინი, სანტონი – ანიტა, პერჩი, ბიგირიმანა (65. ობერტანი), მარვო – სისე (80. ს. ამეობი), ბა (72. შ. ამეობი)

**გაფრთხილება:** ევანსი, ერნანდესი, ვალენსია – უილიამსონი, სიმპსონი, სისე

**კარში დარტყმა:** 14-14 (9-11) **კუთხური:** 2-2 **თამაშგარე:** 3-1 **ჯარიმა:** 14-17 **ბურთის ფლობა:** 53%-47%

**მაყურებელი:** 75 596

### ნორვიჩი-ჩელსი 0:1

**გოლები:** 0:1 მატა (38)

**ნორვიჩი** (4-4-1-1): ბენი – გარიდო, ბასონგი, ტერნერი, მარტინი – პიკლინგტონი (79. მორისონი), ბ. ჯონსონი (81. ჰოუსონი), ტეტი, სნოდგრასი – ჰულაჰანი (89. ე. ბენეტი) - ჰოლტი

**ჩელსი** (4-2-3-1): ჩეხი – კოული, ივანოვიჩი, კეჰილი, ასპილიკუეტა – მიკელი (73. ლამპარდი), ლუისი – მატა (90. აკე), ოსკარი, მოზესი (79. აზარი) - ტორესი

**გაფრთხილება:** ბ. ჯონსონი - აზარი

**კარში დარტყმა:** 4-13 (1-5) **კუთხური:** 5-7 **თამაშგარე:** 4-1 **ჯარიმა:** 8-9 **ბურთის ფლობა:** 43%-57%

**მაყურებელი:** 26 831

### ქუინზ პარკი-ვესტ ბრომ. 1:2

**გოლები:** 0:1 ბრანტი (29), 0:2 გრინი (50-ს.კ-ში), 1:2 ჯ. სისე (69)

**ქუინზ პარკი** (4-2-3-1): გრინი – ტრაორე, ჰილი, ა. ფერდინანდი, ფაბიო (64. ჰოილეტი) – ფორლინი (64. დიაკიტე), მბია – რაიტ-ფილიპსი, მაკი, ტაარაბტი - სისე

**ვესტ ბრომვიჩი** (4-2-3-1): ფოსტერი – ჯონსი, მაკოლი, ოლსონი, პოპოვი (35. რიჯუელი) – მულუმბუ, მორისონი (86. ტამაში) – ფორჩუნი, გერა, ბრანტი - ლუკაკუ (76. ლონგი)

**გაფრთხილება:** მბია -

**კარში დარტყმა:** 16-10 (5-4) **კუთხური:** 14-9 **თამაშგარე:** 2-3 **ჯარიმა:** 9-13 **ბურთის ფლობა:** 54%-46%

**მაყურებელი:** 17 782

### რედინგი-სუონსი 0:0

**რედინგი** (4-3-2-1): ფედერიჩი – ჰარტი, მარიაპა, პირსი, განტერი – კარაჩანი, ლიგერტვუდი, გატრი – მაკანუფი (61. რობსონ-კანუ), კებე - პოგრებნიაკი (61. ლე ფონდრე)

**სუონსი** (4-2-3-1): ვორმი – ტიენდალი, ჩიკო, უილიამსი, ბ. დევისი – კი, ბრიტონი (68. აგუსტიენი) – დაიერი, რუტლეჯი, მიჩუ (80. შეხტერი) – მური (68. დე გუზმანი)

**გაფრთხილება:** პოგრებნიაკი, ლე ფონდრე - ტიენდალი

**კარში დარტყმა:** 1-8 (0-2) **კუთხური:** 6-4 **თამაშგარე:** 2-1 **ჯარიმა:** 17-16 **ბურთის ფლობა:** 45%-55%

**მაყურებელი:** 24 050

### სანდერლენდი-სიტი 1:0

**გოლები:** 1:0 ე. ჯონსონი (53)

**სანდერლენდი** (4-5-1): მინიოლე – როუზი (89. ბერდსლი), კილგალონი, კუელიარი, ლარსონი (79. ფ. კემპბელი) –სესინიონი, ა. ჯონსონი, კოლბეკი, გარდნერი, მაკლინი - ფლეტჩერი

**მანჩესტერ სიტი** (4-4-2): ჰარტი – საბალეტა, კომპანი, კ. ტურე, ნასტასიჩი – მილნერი, ხ. გარსია (89. ლესკოტი), ი. ტურე (87. ბერი), დ. სილვა – აგუერო, ტევესი (72. ჯეკო)

**გაფრთხილება:** კოლბეკი – კომპანი, ხ. გარსია, ნასტასიჩი

**კარში დარტყმა:** 10-14 (5-8) **კუთხური:** 3-7 **თამაშგარე:** 0-1 **ჯარიმა:** 15-16 **ბურთის ფლობა:** 33%-67%

**მაყურებელი:** 42 190

### ასტონ ვილა-ტოტენჰემი 0:4

**გოლები:** 0:1 დეფო (57), 0:2 ბეილი (61), 0:3 ბეილი (73), 0:4 ბეილი (84)

**ასტონ ვილა** (4-4-2): გუზანი – ბეიკერი (45. აირლანდი), კლარკი, ჰერდი, ლოუტონი – დელფი, ელ აჰმადი, ვესტვუდი (46. ოლბრაიტონი), ჯ. ბენეტი – ბენტეკე, ჰოლმენი

**ტოტენჰემი** (4-4-2): ლორისი – უოლკერი, გალასი, ვერტონგენი, ნაუტონი – დემბელე (67. პარკერი), სანდრო, ლენონი, ბეილი (85. თაუსენდი) – დეფო, ადებაიორი (79. სიგურდსონი)

**გაფრთხილება:** დელფი -

**კარში დარტყმა:** 4-12 (2-8) **კუთხური:** 2-16 **თამაშგარე:** 4-1 **ჯარიმა:** 11-7 **ბურთის ფლობა:** 38%-62%

**მაყურებელი:** 36 863

### სტოკ სიტი-ლივერპული 3:1

**გოლები:** 0:1 ჯერარდი (2), 1:1 უოლტერსი (5), 2:1 ჯ. ჯონსი (12), 3:1 უოლტერსი (49)

**სტოკ სიტი** (4-4-2): ბეგოვიჩი – უილკინსონი, შოუკროსი, ჰუთი, კემერონი – ეთერინგტონი (83. შოტონი), უელანი, ნზონზი, კაიტლი (70. უაიტჰედი) – უოლტერსი, კ. ჯონსი (78. კრაუჩი)

**ლივერპული** (4-2-3-1): რეინა – გ. ჯონსონი, აგერი, შკრტელი, ხ. ენრიკე – ჯერარდი, ლუკასი (59. ჰენდერსონი) – დაუნინგი (77. ჯ. კოული), შელვი, სუსო (46. სტერლინგი) - სუარესი

**გაფრთხილება:** შოუკროსი, კემერონი, უელანი - სუარესი

**კარში დარტყმა:** 10-7 (5-4) **კუთხური:** 3-3 **თამაშგარე:** 3-3 **ჯარიმა:** 18-11 **ბურთის ფლობა:** 52%-48%

**მაყურებელი:** 27 490

**არსენალი-ვესტ ჰემი** გადაიდო

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. იუნაიტედი | 19 | 15 | 1 | 3 | 48-28 | 46 |
| 2. სიტი | 19 | 11 | 6 | 2 | 34-16 | 39 |
| 3. ჩელსი | 18 | 10 | 5 | 3 | 37-17 | 35 |
| 4. ტოტენჰემი | 19 | 10 | 3 | 6 | 34-25 | 33 |
| 5. ევერტონი | 19 | 8 | 9 | 2 | 32-23 | 33 |
| 6. ვესტ ბრომვიჩი | 19 | 10 | 3 | 6 | 28-23 | 33 |
| 7. არსენალი | 18 | 8 | 6 | 4 | 32-18 | 30 |
| 8. სტოკ სიტი | 19 | 6 | 10 | 3 | 18-14 | 28 |
| 9. სუონსი | 19 | 6 | 7 | 6 | 27-23 | 25 |
| 10. ლივერპული | 19 | 6 | 7 | 3 | 28-26 | 25 |
| 11. ნორვიჩი | 19 | 6 | 7 | 6 | 20-28 | 25 |
| 12. ვესტ ჰემი | 18 | 6 | 5 | 7 | 22-22 | 23 |
| 13. სანდერლენდი | 19 | 5 | 7 | 7 | 20-24 | 22 |
| 14. ფულჰემი | 19 | 5 | 6 | 8 | 29-34 | 21 |
| 15. ნიუკასლი | 19 | 5 | 5 | 9 | 23-30 | 20 |
| 16. ასტონ ვილა | 19 | 4 | 6 | 9 | 15-36 | 18 |
| 17. საუთჰემპტონი | 18 | 4 | 4 | 10 | 23-34 | 16 |
| 18. უიგანი | 19 | 4 | 3 | 12 | 19-35 | 15 |
| 19. რედინგი | 19 | 1 | 7 | 11 | 21-37 | 10 |
| 20. ქუინზ პარკი | 19 | 1 | 7 | 11 | 16-33 | 10 |

**ბომბარდირები:** 13 - **მიგელ მიჩუ** (სუონსი), **რობინ ვან პერსი** (მანჩესტერ იუნაიტედი), 11 - **დემბა ბა** (ნიუკასლი), **ლუის სუარესი** (ლივერპული)

### ჩემპიონშიპი. XXIV ტური

**ნოტინგემი-ლიდსი 4:2**

**გოლები:** 0:1 გრინი (18), 1:1 შარპი (44-პენ), 2:1 შარპი (54), 3:1 ოსტინი (57-ს.კ-ში), 4:1 ბლეკსტოკი (61), 4:2 სომა (90)

**ჩარლტონი-იპსვიჩი 1:2**

**გოლები:** 0:1 კემპბელი (34), 0:2 მერფი (45), 1:2 ჰეინსი (72-პენ)

**ბარნსლი-ბირმინგემი 1:2**

**გოლები:** 0:1 კ. დევისი (35), 1:1 გრინინგი (38), 1:2 კ. დევისი (77)

**ბოლტონი-შეფილდ უენ. 0:1**

**გოლები:** 0:1 სიდიბე (25)

**ბარნლი-დერბი 2:0**

**გოლები:** 1:0 ჩ. ოსტინი (40), 2:0 დაფი (74)

**კარდიფი-კრისტ. პალასი 2:1**

**გოლები:** 0:1 ჟედინაკი (4), 1:1 ნუნი (44), 2:1 გუნარსონი (73)

**ჰადერსფ-ბლეკპული 1:1**

**გოლები:** 1:0 ჯერარდი (66), 1:1 დელფუნესო (90)

**ჰალ სიტი-ლესტერი 0:0**

**მიდლსბრო-ბლეკბერნი 1:0**

**გოლები:** 1:0 იუტკევიჩი (67)

**ვულვზი-პიტერბორო 0:3**

**გოლები:** 0:1 ტომლინი (17), 0:2 როუი (43), 0:3 გეილი (69)

**ბრისტოლ ს-უოტფორდი** გადაიდო

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. კარდიფი | 24 | 16 | 2 | 6 | 46-29 | 50 |
| 2. ჰალ სიტი | 24 | 14 | 3 | 7 | 35-27 | 45 |
| 3. მიდლსბრო | 24 | 14 | 2 | 8 | 41-31 | 44 |
| 4. კრ. პალასი | 24 | 12 | 7 | 5 | 45-31 | 43 |
| 5. ლესტერი | 24 | 11 | 5 | 8 | 37-22 | 38 |
| 6. უოტფორდი | 23 | 11 | 4 | 8 | 41-31 | 37 |
| 7. მილუოლი | 24 | 10 | 7 | 7 | 37-33 | 37 |
| 8. ნოტინგემი | 24 | 9 | 9 | 6 | 34-30 | 36 |
| 9. ლიდსი | 24 | 10 | 5 | 9 | 37-40 | 35 |
| 10. ბრაიტონი | 23 | 8 | 10 | 5 | 31-23 | 34 |
| 11. ბლეკპული | 24 | 8 | 9 | 7 | 41-34 | 33 |
| 12. დერბი | 24 | 9 | 6 | 9 | 36-36 | 33 |
| 13. ბარნლი | 24 | 9 | 6 | 9 | 38-39 | 33 |
| 14. ვულვზი | 24 | 9 | 4 | 11 | 31-33 | 31 |
| 15. ჰადერსფილდი | 24 | 8 | 7 | 9 | 30-37 | 31 |
| 16. ბოლტონი | 24 | 7 | 8 | 9 | 36-38 | 29 |
| 17. ბლეკბერნი | 23 | 7 | 8 | 8 | 29-32 | 29 |
| 18. ჩარლტონი | 24 | 7 | 8 | 9 | 29-32 | 29 |
| 19. ბირმინგემი | 24 | 7 | 8 | 9 | 32-38 | 29 |
| 20. იპსვიჩი | 24 | 7 | 6 | 11 | 25-45 | 27 |
| 21. შეფილდ უენ. | 24 | 7 | 3 | 14 | 28-40 | 24 |
| 22. პიტერბორო | 24 | 7 | 1 | 16 | 33-44 | 22 |
| 23. ბარნსლი | 24 | 5 | 6 | 13 | 24-38 | 21 |
| 24. ბრისტოლ ს. | 23 | 5 | 4 | 14 | 33-46 | 19 |

**ბომბარდირები:** 20 – **ჩარლი ოსტინი** (ბარნლი), **გლენ მარი** (კრისტალ პალასი), 14 - **ლუჩანო ბეკიო** (ლიდსი)

### ლიგა ერთი. XXIV

ბორნმუთი-იოვილი 3:0, კარლაისლი-ჰარტლპული 3:0, კოლჩესტერი-ბრენტფორდი 1:3, მილტონი-უოლსოლი 2:4, ოლდჰემი-დონკასტერი 1:2, პორტსმუთი-ქროული 1:2, პრესტონი-ბერი 0:0, შეფილდ იუნ-სკანტორპი 3:0, შროუსბერი-ნოთს ქაუნთი 2:2, სტივენეიჯი-ქოვენთრი 1:3, ტრანმერი-ქრიუ 2:1

*ლეიტონი-სუინდონი გადაიდო*

### ლიგა ორი. XXIV

დაგენჰემი-საუთენდი 0:3, ჯილინგემი-ბარნეტი 0:1, პლიმუთი-ტორკი 1:1, ალდერშოტი-ბრისტოლ რ. 2:2, ბრედფორდი-აკრინგტონი 2:1, ბარტონი-როჩდეილი 3:2, ჩელტენჰემი-უიკომბი 4:0, ჩესტერფილდი-იორკი 3:0, ექსეტერი-ოქსფორდი 1:3, ფლიტვუდი-მორკემბი 1:0, როტერჰემი-პორტ ვეილი 1:2

*უიმბლდონი-ნორთჰემპტონი გადაიდო*

## ამბები



### უბერებელი ამერიკელი

მართალია, "ტოტენჰემის" 41 წლის ამერიკელი გოლკიპერი **ბრედ ფრიდელი** 25 წლის ფრანგ კოლეგა **უგო ლორისთან** კონკურენციაში დამარცხდა და ახლა დროის უმეტესი ნაწილის გატარება სკამზე უწევს, მაგრამ მას ეს არ აშინებს. "გალათასარაის", "ლივერპულის", "ასტონ ვილასა" და "ბლექბერნის" კარის ყოფილმა მეკარემ ჩრდილოლონდონურ კლუბთან ხელშეკრულება 2014 წლის 30 ივნისამდე გაახანგრძლივა. აღნიშნული პერიოდისთვის ამერიკელი უკვე 43 წლის იქნება და ალბათ მას მერე მაინც იფიქრებს ფეხბურთიდან წასვლაზე. "ფრიდელი დიდებული მეკარეა. ის დღემდე ახერხებს კარგი სათამაშო კონდიციების შენარჩუნებას. მის კოლოსალურ გამოცდილებაზე უკვე აღარაფერს ვამბობთ," – ამბობენ "ტოტენჰემის" წარმომადგენლები. სწორედ ამერიკელი მეკარე ფლობს პრემიერლიგის ყველა დროის რეკორდს ზედიზედ ჩატარებული მატჩების რაოდენობით. ამა წლის მაისში "ქუინზ პარკთან" მან მე-300 შეხვედრა დაიწყო პაუზის გარეშე. სულ ეს სერია 310 მატჩამდე გაგრძელდა და 7 ოქტომბერს "ასტონ ვილასთან" დასრულდა. **ანდრე ვილაშ ბოაშმა** ის სათადარიგოთა შორის დასვა. რეკორდისთვის მას Barclays Merit Award–ის სპეციალური პრიზი გადაეცა.

### არსენალი ნიუკასლს შეუთანხმდა

ფრანგული "კანალ პლუსის" მტკიცებით, "არსენალმა" და "ნიუკასლმა" **დემბა ბას** ტრანსფერზე შეთანხმებას მიაღწიეს. იანვრიდან 27 წლის სენეგალელი კარიერას "ემირეიტსზე" გააგრძელებს. "მეთოფეებს", როგორც ეს ფეხბურთელის კონტრაქტით არის გათვალისწინებული, კომპენსაციის სახით 7 მილიონი ფუნტის გადახდა მოუწევთ. რაც შეეხება უშუალოდ ბას ანაზღაურებას, ჩრდილოლონდონელები თავდამსხმელს კვირაში 100 ათას ფუნტს გადაუხდიან. ტელეკომპანიის ინფორმაციით, "კაჭკაჭების" მთავარმა მწვრთნელმა **ალან პარდიუმ** ყველაფერი გააკეთა, რომ ინფორმაციას იანვრამდე არ გაეჟონა, მაგრამ ყოვლის შემძლე პრესის წინააღმდეგ ვერაფერს გახდა. ბედის ირონიით, ბას ბოლო მატჩის ჩატარება ჯორდების შემადგენლობაში მომავალი კლუბის წინააღმდეგ მოუწევს.

### ფერდინანდი პენსიაზე ჯერ არ ფიქრობს

"მანჩესტერ იუნაიტედის" 34 წლის ცენტრალური მცველი **რიო ფერდინანდი** სეზონის დასრულების შემდეგ ფეხბურთიდან წასვლას არ აპირებს, განცხადება ფეხბურთელმა "გარდიანთან" ინტერვიუში გააკეთა. "ნამდვილად ვერ ვხვდები ვინ იგონებს ასეთ ამბებს. მსოფლიოს ერთ-ერთ საუკეთესო კლუბში ვთამაშობ და მინდა ეს სიამოვნება რაც შეიძლება დიდხანს გაგრძელდეს," – აცხადებს რიო.

**გვერდი მოამზადა ლევან ბიბილაშვილმა**

წლის მიმოხილვა

# 2012 წლის 12 მომენტი

ფეხბურთის პოპულარობის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი, მისი ემოციური და დრამატული ნაწილია. 2012 წელი ნელ-ნელა დასასრულს უახლოვდება და მოდი, ერთად გავიხსენოთ წლის ყველაზე დასამახსოვრებელი მომენტები...

## ზამბიას სევდიანი გამარჯვება

12 თებერვალი

წლის ერთ-ერთი მთავარი სენსაცია, აფრიკის ერთა თასზე ზამბიის გამარჯვება იყო. ის ფაქტი, რომ ზამბიელებმა ფინალში უპირობო ფავორიტი, კოტ დივუარი დაამარცხეს, ამ მოვლენას კიდევ უფრო მოულოდნელს ხდის, თუმცა ფინალური შეხვედრის ყველაზე მნიშვნელოვანი მომენტი შემდეგ გახლდათ: ეს იყო ზამბიის ნაკრების პირველი თამაში ლიბრევილში 1993 წლის ავიაკატასტროფის შემდეგ. მაშინ, სენეგალისკენ მიმავალი ზამბიის ეროვნული გუნდის თვითმფრინავი, გაბონის დედაქალაქში საწვავის დასამატებლად დაჯდა, აფრენიდან რამდენიმე წუთის შემდეგ კი ძრავის პრობლემების გამო, ატლანტიკის ოკეანეში ჩავარდა. ამ ყველაფრის გამო, ზამბიის მიერ ლიბრევილში აფრიკის ერთა თასის მოგება, წლის ყველაზე ემოციურად დატვირთული გამარჯვება იყო.



კალუშა ბვალია აფრიკის ერთა თასით ხელში

## მუამბას სასწაული

17 თებერვალი

რამდენიმე დღის შემდეგ, ცრემლი სულ სხვა მიზეზით დაილვარა. მილიონობით ადამიანი, პირდაპირ ეთერში ადევნებდა თვალს იმას, თუ როგორ იბრძოდა "უაით ჰართ ლეინის" მინდორზე **ფაბრის მუამბა** საკუთარი სიცოცხლისთვის. ძალიან მალე, ყველასთვის გასაგები გახდა, რომ კონგოში დაბადებულ "ბოლტონის" ნახევარმცველს გულის შეტევა მოუვიდა. მიუხედავად იმისა, რომ მუამბას გული 78 წუთის განმავლობაში არ მუშაობდა, ფეხბურთელი არა მხოლოდ გადარჩა, არამედ სწრაფადაც გამოჯანმრთელდა და საკუთარი გამოცდილების შესახებ წიგნიც კი დაწერა.

## ბოლო წამების დრამა

13 მაისი

ინგლისის ჩემპიონობისთვის ბრძოლა, სეზონის ბოლო მატჩის, ბოლო წუთამდე გაგრძელდა. მეტიც, "ქუინზ პარკ რეინჯერსთან" შეხვედრაში, არბიტრის მიერ დამატებული წუთები მიდიოდა, სანდერლენდში კონკურენტი "იუნაიტედის" თამაში კი უკვე დასრულებული იყო, როდესაც **სერხიო აგუერომ** გაიტანა გოლი, რომელმაც "მანჩესტერ სიტის" ბოლო 44 წლის განმავლობაში პირველი საჩემპიონო ტიტული მოუტანა.

## დროგბას ფინალური აკორდი

19 მაისი

ადგილი "ჩელსის" ყველა დროის საუკეთესო ფეხბურთელებს შორის, **დიდიე დროგბას** ჩემპიონთა ლიგის ფინალამდეც გარანტირებული ჰქონდა. სწორედ კოტდივუარელმა გაათანაბრა ფინალურ შეხვედრაში ანგარიში, პენალტების სერიაში კი, გამარჯვების მომტანი 11-მეტრიანი გაიტანა და "ჩელსის" ისტორიაში პირველი ჩემპიონთა თასი, ამ გუნდის მაისურში, ბურთთან უკანასკნელი შეხებით მოაგებინა.

## მოულოდნელი გამარჯვებული

10 ივნისი

2012 წლამდე, ოკეანეთის ერთა თასი ავსტრალიის და ახალი ზელანდიის გარდა არავის მოეგო, მაგრამ წლევანდელ გათამაშებაში ნამდვილი სენსაცია მოხდა. მოგეხსენებათ, ავსტრალია უკვე აზიის ფედერაციის ეგიდით ასპარეზობს, ახალმა ზელანდიამ კი შესარჩევი ეტაპი ვერ გადალახა. ტურნირის ფინალში ერთმანეთს ტაიტის და ახალი კალედონიის გუნდები შეხვდნენ. გამარჯვება ტაიტის, **სტივი ჩონგ ჰუს** ერთადერთი გოლის წყალობით დარჩა და პოლინეზიელებმა 2013 წლის კონფედერაციის თასის საგზური მოიპოვეს.



ანდრეა პირლოს ცნობილი პენალტი

## რეინჯერსი ჩაიძირა

14 ივნისი

საიდუმლოს არავისთვის წარმოადგენდა ის, რომ გლაზგოს "რეინჯერსი" მძიმე ფინანსურ მდგომარეობაში იყო, თუმცა 140-წლიანი ისტორიის და სარეკორდო 54 საჩემპიონო ტიტულის მოგების შემდეგ, გუნდის ლიკვიდაცია, ყველასთვის შოკისმომგვრელი ინფორმაცია აღმოჩნდა. საბოლოოდ, თავიდან შექმნილი "რეინჯერსი" შოტლანდიის მესამე დივიზიონში (რიგით მეოთხე ლიგა) დაუშვეს, სადაც გუნდი ამჟამად 9-ქულიანი უპირატესობით ლიდერობს.

## პირლოს პანენკა

24 ივნისი

ევრო 2012-ის მეოთხედფინალში, იტალიის ნაკრები, **რიკარდო მონტოლივოს** გაფუჭებული 11-მეტრიანი შემდეგ, ინგლისთან პენალტების სერიაში 2:1-ს აგებდა, როდესაც ბურთთან **ანდრეა პირლო** მივიდა. სწორედ მის მიერ, **ანტონინ პანენკას** სტილში შესრულებულმა პენალტმა შეიტანა გადრატეხა ამ სერიაში, რომელიც საბოლოოდ იტალიის გამარჯვებით (4:2) დასრულდა.

## ესპანეთის მორიგი ტრიუმფი

1 ივლისი

ესპანეთის ნაკრებს, მთელი ევროპის ჩემპიონატის განმავლობაში, უამრავი კრიტიკოსი ჰყავდა. "ფურია როხას" ფეხბურთელებმა, ამ ადამიანებს საკადრისი პასუხი ფინალში გასცეს, როდესაც იტალიის ნაკრები 4-ბურთიანი სხვაობით დაამარცხეს და ევროპის ჩემპიონის ტიტული შეინარჩუნეს. ესპანეთის ეროვნული გუნდი, გახდა პირველი ევროპული ნაკრები, რომელმაც ზედიზედ სამი დიდი ტურნირი მოიგო.



ზლატან იბრაჰიმოვიჩის ოთხიდან ერთ-ერთი გოლი ინგლისის ნაკრების კარში

## თრილერი ოცნებების თეატრში

6 აგვისტო

"ოლდ ტრაფორდს" ბევრი შესანიშნავი მატჩი ახსოვს, მაგრამ ცოტა თუ ყოფილა ისეთი დრამატული, როგორიც აშშ-ის და კანადის ქალთა ნაკრების შეხვედრა იყო. ოლიმპიადის 1/2 ფინალში მაყურებელმა ყველაფერი იხილა, მათ შორის **ალექს მორგანის** მიერ დამატებული დროის ბოლო წამებზე გატანილი გოლი, რომელმაც გამარჯვება აშშ-ს მოუტანა (4:3).

## იბრას ოთხი

14 ნოემბერი

სტოკჰოლმში ახლად გახსნილმა "ფრენდს არენამ" საფეხბურთო შეხვედრას პირველად უმასპინძლა და მიუხედავად ამისა, საეჭვოა ამ სტადიონზე ოდესმე გაიბრწყინოს ვინმემ ისე, როგორც ამ დღეს **ზლატან იბრაჰიმოვიჩმა**. იბრა გახდა პირველი ფეხბურთელი, ვინც ინგლისის ნაკრებს (915 შეხვედრაში) 4 გოლი გაუტანა, ხოლო მისი მეოთხე ბურთი, რომელიც შვედმა დაახლოებით 30 მეტრიდან "მაკრატელა" დარტყმით გაიტანა, არა მარტო დღის, არამედ წლის მშვენება გახლდათ.

## მესიმ გაასწრო მიულერს

9 დეკემბერი

*"ჩემმა რეკორდმა 40 წელი გაძლო, ახლა კი ის მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელმა დაამხო, რასაც მას მთელი გულით ვულოცავ"* – განაცხადა **გერდ მიიულერმა**, მას შემდეგ, რაც **ლიონელ მესიმ** 2012 წელს თავისი 85-ე და 86-ე გოლები გაიტანა. მიულერმა 1972 წელს 85 ბურთის გატანა შეძლო, მესიმ კი საბოლოოდ წელი 91 გოლით დაასრულა.

## კორინთიანსმა მსოფლიო დაიპყრო

16 დეკემბერი

წლის ბოლო მნიშვნელოვანი ტიტული ბრაზილიურმა "კორინთიანსმა" მოიგო, რომელმაც მსოფლიოს საკლუბო ჩემპიონატის ფინალში "ჩელსი" დაამარცხა. შეხვედრის ერთადერთი გოლი პერუელმა **პაოლო გერერომ** გაიტანა და ამ ტურნირზე ევროპელთა დომინაციას წერტილი დაუსვა.

ტრანსფერი

## იუვენტუსმა დორია შეიძინა



**ლუსიოს** ბრაზილიაში დაბრუნების შემდეგ, ტურინის "იუვენტუსმა" მისი შემცვლელი მალე მონახა. "ბებერმა ქალბატონმა" "ბოტაფოგოდან" 18 წლის **დორია** შეიძინა. ტანმაღალი (1.88 მ) ცენტრალური მცველი გუნდს უკვე იანვარში შეუერთდება და 4,5-წლიან კონტრაქტს გააფორმებს, მისი ყოფილი კლუბი კი 6 მილიონ ევროს მიიღებს.

დორიას შეძენა ტურინელებს ზაფხულშიც სურდათ, მაგრამ ტრანსფერი მხოლოდ ახლა განხორციელდა. თინეიჯერმა ფეხბურთელმა ბრაზილიის ახლად დასრულებულ ჩემპიონატში თავი საკმაოდ კარგად წარმოაჩინა და დებიუტანტის კვალობაზე მშვენივრად გაისარჯა. სულ დორიამ სერია A-ში 20 მატჩში ითამაშა და 1 გოლი გაიტანა.

აფრიკის თასი

## მაროკოს შემადგენლობა ცნობილია

მოგეხსენებათ, 2013 წლის 19 იანვარს, სამხრეთ აფრიკაში სტარტს აფრიკის თასის 29-ე გათამაშება აიღებს. 16 ნაკრები, რომელმაც ფინალური ეტაპის საგზური მოიპოვა, ნელ-ნელა ტურნირისთვის მზადებას იწყებს. ერთ-ერთი პირველი გუნდი, რომლის 24-კაციანი განაცხადიც ცნობილი გახდა, მაროკოს ეროვნული ნაკრები გახლავთ. საინტერესოა, რომ გუნდის განაცხადში ვერ მოხვდა **ჰუსეინ ხარჯა**. ასევე არ არის **ადელ ტაარაბტი**, თუმცა "ქუინზ პარკის" ფეხბურთელმა, ტურნირის გამოტოვება თავად მოისურვა, მწვრთნელი **რაშიდ ტაუსი** კი შეგირდის სურვილს გაგებით მოეკიდა.

გასაკვირი ნამდვილად არ არის ის, რომ გუნდში ვერც **მარუან შამახს** ვხედავთ – მას ხომ თითქმის წელიწადია ნორმალურად არ უთამაშია. მიუხედავად ცნობილი სახეების დანაკლისისა, მაროკოს მაინც საკმაოდ ძლიერი შემადგენლობა ჰყავს და წესით, ეს გუნდი ტურნირის ერთ-ერთი ფავორიტი უნდა იყოს.

**მეკარეები:** *ხალიდ ასკრი (RCA), ნადირ ლამიაგრი (ვიდად კასაბლანკა), ანას ზნიტი (მაღრები).*

**მცველები:** *იუნეს ბელახდარი (FAR), აბდერაჰიმ აშაკირი (FAR რაბატი), ზაკარია ბერდიში (ლანსი), აბდელჰამიდ ელ კაუტარი (მონპელიე), მეჰდი ბენატია (უდინეზე), ისამ ელ ადვა (გიმარაეში), აჰმედ კანტარი (ბრესტი).*

**ნახევარმცველები:** *ადილ ჰერმაში (ალ ჰილალი), კარიმ ელ აჰამადი (ასტონ ვილა), იუნეს ბელჰანდა (მონპელიე), მეჰდი ნამლი (მაღრები), კამილ შაფნი (ბრესტი), შაჰირ ბელგაზუანი (აიაჩო), ჰამზა ჰაფიდი (RCA).*

**თავდამსხმელები:** *ოსამა ასაიდი (ლივერპული), ნორდინ ამრაბატი (გალათასარაი), აბდელრაზაკ ჰამდალა (საფი), აბდელაზიზ ბარადა (ხეტაფე), იუსეფ ელ არაბი (გრანადა), მუნირ ელ ჰამდაუი (ფიორენტინა), იუსეფ ელ კადიუი (FAR რაბატი).*

გვერდი მოამზადა
**ტატო ბაციკაძემ**



ტაარაბტი აფრიკის თასს გამოტოვებს

ინტერი

# კასანო: რა დროს ლიგაა?

## ანტონიოს სკუდეტო სურს



ანტონიო კასანო

**ანტონიო კასანო** ამბიციების ნაკლებობას არასდროს უჩიოდა, რაც გუშინ კიდევ ერთხელ დაადასტურა. "ინტერის" 30 წლის შემტევი ჟურნალისტებს გაესაუბრა და განაცხადა, რომ მისი გუნდი მიმდინარე სეზონში სკუდეტოს მოსაგებად იბრძოლებს. პრესის წარმომადგენელმა მას ასეთი კითხვა დაუსვა: "შეძლებს "ინტერი" ჩემპიონთა ლიგის საგზურის მოპოვებას?" – აი კასანოს პასუხიც:

*"სიმართლე გითხრათ, ჩემპიონთა ლიგაზე მეტად, მე სკუდეტოზე ვფიქრობ. დიახ, ჩემი ღრმა რწმენით, ჩვენ შეგვწევს იმის უნარი, რომ პირველობისთვის ვიბრძოლოთ. რთული პერიოდი გვიდგას, რამდენიმე მნიშვნელოვან შეხვედრაში მოგვეცარა ხელი, მაგრამ პესიმიზმში ჩავარდნა არაფრად ივარგებს. "ინტერს" ბევრად უკეთ შეუძლია თამაში და ეს მიმდინარე სეზონშიც დავამტკიცეთ, როდესაც ხანგრძლივი წაუგებელი სერია გვქონდა. თანაც, ზამთრის სატრანსფერო ფანჯრისას კლუბის მესვეურები რამდენიმე ახალი ფეხბურთელის შეძენას აპირებენ. როგორც ვიცი, ერთი აუცილებლად მაღალკვალიფიციური ფორვარდი იქნება. ახალი თავდამსხმელის მოსვლას მხოლოდ მივესალმები, რადგან რაც უფრო მეტი ჩემპიონი იქნება გუნდში, მით უფრო გაიზრდება ჩვენი შანსები".*

აქვე, შეგახსენებთ, რომ "ინტერი" თვრამეტი ტურის შემდეგ სატურნირო ცხრილში მეოთხე ადგილზეა, 35 ქულა აქვს და მთელი 9 ქულით ჩამორჩება ჩემპიონატის ლიდერს. მომდევნო ტურში "ნერაძური" "უდინეზეს" ესტუმრება, სადაც მილანური გრანდის საკუთრებაში მყოფი **დავიდე ფარაონი** ირიცხება. იტალიურ სპორტულ პრესაში გაჟღერდა, რომ ზამთარში ფარაონი შესაძლოა "ინტერში" დაბრუნდეს, თუმცა თავად ფეხბურთელი ამ ცნობას არ ადასტურებს: *"ჯერ მხოლოდ 21 წლის ვარ და ჩემთვის მთავარი სათამაშო პრაქტიკაა. ამიტომ, სავარაუდოდ, "უდინეზეში" დავრჩები, სადაც სასტარტოში დამკვიდრების გაცილებით მეტი შანსი მაქვს. "ინტერს" ბავშვობიდან ვქომაგობ და იმედი მაქვს, რომ ოდესმე მილანურ გრანდში კიდევ ვითამაშებ. ეს ჩემი ერთ-ერთი მიზანია, თუმცა იქამდე უდინურ გუნდში უნდა გამოვიჩინო თავი. მომდევნო შეხვედრამდე ორ კვირაზე მეტია დარჩენილი, თუმცა ამ ჯახს აქედანვე მოუთმენლად ველი".*

ფიორენტინა

# იოვეტიჩი სიტიზე არ ფიქრობს

**ვინჩენცო მონტელას** ხელში „ფიორენტინა" მართლაც შთამბეჭდავად ათამაშდა და სეზონის აღმოჩენად იქცა. ფლორენციელები გასვლაზე თუ სახლში სტაბილურად აგროვებენ ქულებს და სატურნირო ცხრილში მესამე ადგილი უკავიათ. "ვიოლა" ჩემპიონთა ლიგის საგზურისთვის იბრძვის, ასეთი მაღალი მიზანი კი გუნდს ბოლოს **ჩეზარე პრანდელის** მწვრთნელობისას ჰქონდა. წესით, კლუბის მესვეურებმა ზამთრის სატრანსფერო ფანჯრისას წამყვანი ფეხბურთელების გაყიდვაზე უარი უნდა თქვან და პირიქით, გაძლიერებაზე იფიქრონ. საქმე იმაშია, რომ რაც დრო გადის, სულ უფრო და უფრო ხშირად საუბრობენ 23 წლის **სტევან იოვეტიჩის** „მანჩესტერ სიტიში" შესაძლო გადასვლის შესახებ. გუშინ, ამ საკითხზე თავად ჩერნოგორიელმა ფორვარდმა ისაუბრა და შემდეგი განაცხადა:



სტევან იოვეტიჩი

*„ძალიან სასიამოვნოა, როდესაც შენით ასეთი დიდი ამბიციების გუნდი ინტერესდება. არა მგონია, რომ არსებობდეს ფეხბურთელი, რომელიც „სიტიში" გადასვლაზე უარს იტყვის. თუმცა, დღეს „ფიორენტინას" მოთამაშე ვარ და მთლიანად ამ გუნდზე ვარ კონცენტრირებული. „მანჩესტერ სიტი" რომ დაინტერესებულია ჩემით, ვიცი, მაგრამ ამის იქით საქმე არ წასულა. ამიტომ, ჯერჯერობით არსად გადასვლაზე არ ვფიქრობ და მსურს, ფლორენციულ კლუბთან ერთად წარმატებებს მივაღწიოთ. საბედნიეროდ, ბოლო შეხვედრები უმაღლეს დონეზე ჩავატარეთ, რამაც ჩვენს მოტივაციაზე დადებითად იმოქმედა. სეზონის განახლებას მოუთმენლად ველოდებით".*

მილანი

# აბიატი იმედოვნებს



კრისტიან აბიატი

სეზონის სტარტზე „მილანის" კარს **კრისტიან აბიატი** იცავდა, თუმცა შემდეგ ტრავმა მიიღო და ადგილი **მარკო ამელიას** დაუთმო. ეს უკანასკნელი საკმაოდ კარგად ათამაშდა და მას შემდეგაც არ თმობს ადგილს, რაც აბიატი გამოჯანმრთელდა და ვრთნებს დაუბრუნდა. ბევრისთვის მოულოდნელად, მარკომ პირველი კიპერის როლი შესანიშნავად მოირგო და 35 წლის აბიატი ოფსაიდში დატოვა. იტალიური პრესის ცნობით, კრისტიან აბიატი უკმაყოფილოა არსებული ყოფით და დიდი იმედი აქვს, რომ უკვე მომდევნო ტურში მოედანზე გასვლა მოუწევს:

*„ტრავმა სრულად მოვიშუშე და ვარჯიშებზე ბოლომდე ვიხარჯები. მინდა, რომ ფორმა რაც შეიძლება მალე აღვიდგინო და ძირითად შემადგენლობას დავუბრუნდე. ვგრძნობ, რომ კარგად ვარ და წვრთნებისას აღარ ვიღლები. ვითამაშებ თუ არა „სიენას" წინააღმდეგ? - აბა რა გითხრათ, ეს მხოლოდ და მხოლოდ მთავარ მწვრთნელზეა დამოკიდებული. იქამდე ოპტიმალურ ფორმაში ჩავდგები და დიდი იმედი მაქვს, რომ მასიმილიანო ალეგრი არჩევანს ჩემზე შეაჩერებს".*

ბლიც-ინტერვიუ ზვონიმირ ბობანი




# ჩავხედოთ სიმართლეს თვალებში

## მილანის კრიზისი სუსტი მენეჯმენტის ბრალია

თავის დროზე, ზვონიმირ ბობანი "მილანში" ბრწყინავდა

**ზვონიმირ ბობანი ყველას გვახსოვს, ვეტერანი ხორვატი ფეხბურთელი, რომელმაც კარიერის საუკეთესო წლები "მილანში" გაატარა. ზვონომირი გამორჩეული იყო არა მარტო მოედანზე, მის მილმაც. უყვარდა ხისტი გამონათქვამები, კრიტიკა და როგორც ჩანს, ასეთია დღემდე. იტალიურ სპორტულ პრესაში 44 წლის ბობანის ბლიც-ინტერვიუ გამოქვეყნდა, რომელიც მთლიანად მის ყოფილ გუნდს, "მილანს" დაეთმო...**

**- რას იტყვით „მილანის" კრიზისზე და რაში ხედავთ გამოსავალს?**

- "მილანის" მესვეურებს უდიდეს პატივს ვცემ, მაგრამ მგონია, რომ ბოლო წლებში მათ ბევრი შეცდომა დაუშვეს. ეს კრიზისიც დიდწილად ამ პოლიტიკის ბრალია და სიმართლეს თვალებში უნდა ჩავხედოთ. ამ საკითხზე ადრეც მისაუბრია და კიდევ ვიტყვი, რომ არ შეიძლება ერთ ზაფხულს ყველა წამყვანი ფეხბურთელი გაუშვა. როდესაც ზლატან იბრაჰიმოვიჩს ყიდი, საინტერესოა, რას, ან ვის ყიდულობ მასზე უკეთესს. მწვრთნელმაც დაუშვა რამდენიმე ფუნდამენტური შეცდომა და თავისი წილი პასუხისმგებლობა მანაც უნდა აიღოს. სეზონი თითქმის ჩავარდნილია და უკვე გვიანია კიდეც გამოსავალზე საუბარი. მთავარია, გუნდი ჩემპიონთა ლიგის ზონაში მოხვდეს, დღეს სწორედ ასე დგას საკითხი.

**- ანუ, „მილანი" სკუდეტოს დაემშვიდობა?**

- დიახ, დაემშვიდობა და არა მგონია, რომ რაიმე გასაოცარს ვამბობდე. გუნდი მეშვიდე ადგილზეა და უკვე საგრძნობლად ჩამორჩება ლიდერს. „იუვენტუსი" ამხელა ფორას არ დათმობს, ეს ცხადზე უცხადესია. ასე რომ, „როსონერის" ისღა დარჩენია, ჩემპიონთა ლიგის საგზურისთვის იბრძოლოს. თუმცა, ესეც ურთულესი მისაღწევი იქნება, რადგან მასიმილიანო ალეგრის გუნდი სამეულსაც საგრძნობად ჩამორჩება. მოკლედ, "მილანი" ურთულეს მდგომარეობაშია.

**- იზიარებთ იმ აზრს, რომ ალეგრიმ პოსტი უნდა დატოვოს?**

- ჩემი აზრით, მხოლოდ ალეგრის წასვლით, ვითარება კარდინალურად არ შეიცვლება. მოვა ახალი მწვრთნელი და შეიძლება გუნდმა რამდენიმე შეხვედრა მოიგოს, მაგრამ მალე ისიც კრიტიკის ქარცეცხლში გაეხვევა. ბოლო წლებში, „მილანს" მენეჯმენტი არ უვარგა და ძირეული ცვლილებებია მოსახდენი. ისე კი, ალეგრის თავისი წილი პასუხისმგებლობა აქვს და ამის შესახებ ზემოთაც ვთქვი... მრჩება შთაბეჭდილება, რომ მასიმილიანოს ერთადერთი მიზანია, ერქვას "როსონერის" მთავარი მწვრთნელი - ხვალ რომ სტეფან ელ შაარავიც გაუყიდონ, ხმას არ ამოიღებს, ოღონდ "როსონერის" ედგას სათავეში. თუმცა, იმას ვერ ხვდება, რომ პოსტის შესანარჩუნებლად ძლიერი შემადგენლობა სჭირდება.

**- ჩემპიონთა ლიგის მერვედფინალურ ეტაპზე, "მილანი" "ბარსელონას" გადაეყარა. რა შანსები აქვს თქვენს ყოფილ გუნდს?**

- შანსი ერთადერთ შემთხვევაში ექნება: თუ მილანური კლუბის მესვეურები სატრანსფერო პერიოდს ნაყოფიერად გამოიყენებენ. მაგალითად, თუ თავდასხმა დიდიე დროგბათი გაძლიერდება, დაცვაში ალესანდრო ნესტა დაბრუნდება, ნახევარდაცვას კი ორი-სამი მაღალი კლასის ფეხბურთელი შეემატება. რადგან ეს უტოპიაა, "მილანის" შანსები მიზერულია. სამწუხაროდ, რეალობა ასეთია.

ლაციო

# ლედესმა არსად არ მიდის



კრისტიან ლედესმა

**კრისტიან ლედესმას** შესახებ იტალიურ პრესაში ურთიერთგამომრიცხავი ინფორმაციები ვრცელდება. ხშირად წერენ, რომ 30 წლის არგენტინული წარმოშობის იტალიელს კლუბის გამოცვლა სურს და ამის გაკეთებას ამ ზამთარსვე აპირებს. თავად ფეხბურთელმა ეს ინფორმაცია უარყო და განაცხადა, რომ „ლაციოში" ბედნიერია და არსად წასვლას არ აპირებს:

*„არ დავმალავ, სეზონის წინ კლუბის გამოცვლაზე დავფიქრდი და წინადადებების განხილვაც დავიწყე. მაგრამ, შემდეგ მივხვდი, რომ ჩემი ადგილი „ლაციოშია". აქ თავს ბედნიერად ვგრძნობ, ყველაფერი მაკმაყოფილებს და რატომ უნდა შევიცვალო ნავსაყუდელი? ამიტომ, არსად წასვლას აღარ ვაპირებ. გავახანგრძლივებ თუ არა კონტრაქტს? - რადგან ვამბობ, რომ არსად წასვლას არ ვაპირებ, ე.ი. ახალი ხელშეკრულება აუცილებლად გაფორმდება".*

ლედესმა რომ „ლაციოში" საჭირო ფეხბურთელია, ამაზე **ვლადიმირ პეტკოვიჩის** სიტყვებიც მეტყველებს: *„თუ გვინდა, რომ ვიყოთ კონკურენტუნარიანნი, ლედესმა არ უნდა გავყიდოთ".*

გვერდი მოამზადა
**ლაშა წიკლაურმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

გერმანია. ბუნდესლიგა. პირველი წრის შეჯამება

# ბაიერნის ჰეგემონიის ფონზე

## ალექს მაიერი მეორედ დაიბადა, მაგათი დაეცა, შტრაიხი აღმოცენდა, ლაბადია გაცოფდა, ვუკჩევიჩი გადარჩა, ადლერი დაბრუნდა, არანგო კი ბრწყინვალე გოლებით გვანებივრებდა

**საფეხბურთო** გერმანია ისვენებს, ამ დღეებში ახალი არაფერი ხდება და ვფიქრობ, ეს საუკეთესო მომენტია იმისათვის, რომ გერმანიის ჩემპიონატის პირველი წრე შევაჯამოთ. ბუნდესლიგის 50-ე სეზონის პირველმა ნახევარმა მიუნხენის „ბაიერნის“ მოსალოდნელი დომინირებით ჩაიარა - რეკორდმაისტერი შემოდგომის ჩემპიონი 9-ქულიანი უპირატესობით გახდა, მაგრამ ბუნდესლიგა მაინც არაა მოსაწყენი. პირველ წრეში იყო აბსურდული და ქაოტური მოვლენები, სასიხარულო და სამწუხარო ამბები, იყო სენსაციებიც და, რა თქმა უნდა, ნერვებისმომშლელი დებატებიც. მაშ ასე:



ფელიქს მაგათი, რენე ადლერი, კრისტიან შტრაიხი, ხუან არანგო

I წრის საუკეთესო ფეხბურთელი

### ფრანკ რიბერი (ბაიერნი)

„ბაიერნის“ ფრანგი გარემარბი კარიერის პიკშია. **რიბერიმ** ბუნდესლიგის პირველი წრე უმაღლეს დონეზე ჩაატარა და რეკორდმაისტერის ყველა მატჩში გამორჩეული ფეხბურთელი იყო. მართალია, ფრანგმა პირველი წრის ჩვიდმეტივე მატჩში ვერ ითამაშა, მაგრამ 12 მატჩიც ეყო იმისათვის, რომ საუკეთესოდ დაგვესახელებინა - მის ანგარიშზე 4 გოლი და 7 საგოლე პასია, რაც გრანდიოზული შედეგი შეიძლება არ არის, მაგრამ რიბომ ამ გოლებისა და პასების მიღმა ძალიან ბევრი იშრომა, რაზეც ის ფაქტი მეტყველებს, რომ „კიკერის“ შეფასებებში პირველ ადგილზეა 2.08 ბალით საშუალოდ ერთ მატჩში. ამ ყველაფერსაც რომ თავი დავანებოთ, რიბერიმ პირველი წრის 12 მატჩში ითამაშა და 3-ჯერ დავასახელეთ ტურის გმირად, ტურის სიმბოლურ ნაკრებში კი სულაც 6-ჯერ შევიყვანეთ!

I წრის მეორე საუკეთესო ფეხბურთელი

### ალექსანდერ მაიერი (აინტრახტი)

იანვარში **ალექს მაიერი** 30 წლის ხდება და იმედია, გერმანიაში ამის შემდეგ მაინც აღარ მოიხსენიებენ იმედისმომცემ ფეხბურთელად. ფაქტია ისიც, რომ ალექსი ვეღარც გერმანიის ნაკრებში მოახერხებს თავის დამკვიდრებას - ეს, შეიძლება, მხოლოდ იმ შემთხვევაში მოხდეს, თუ ზაფხულში **იოახიმ ლიოვი** ამერიკულ ტურნეზე „ბაიერნის“ და „დორტმუნდის“ ვერც ერთ ფეხბურთელს ვერ წაიყვანს.

მიუხედავად ასეთი პერსპექტივებისა, ფრანკფურტის „აინტრახტის“ ძირძველი ლიდერი რიბერისთან ერთად ბუნდესლიგის პირველ წრეში საუკეთესო იყო! მის ანგარიშზე 11 გოლი და 2 საგოლე გადაცემაა, რაც ნახევარმცველისთვის შესანიშნავი მიღწევაა. ასე განსაჯეთ, მაიერზე მეტი გოლი პირველ წრეში მხოლოდ „ლევერკუზენის“ ფორვარდმა **შტეფან კისლინგმა** გაიტანა (12). როგორც ჩანს, ალექსს მეტოქეების მცველები ჯერ კიდევ არ უყურებენ სერიოზულად და თუ მეორე წრეშიც ასე იქნება, „აინტრახტის“ კარზე დაგეშილი ნახევარმცველი შეიძლება მართლაც გახდეს ბუნდესლიგის საუკეთესო ბომბარდირი!

I წრის იმედგაცრუება

### ფელიქს მაგათი (ვოლფსბურგი)

„ვოლფსბურგის“ ბოსებმა **ფელიქს მაგათი** დააბრუნეს და დარწმუნებულები იყვნენ იმაში, რომ რასაც და ვისაც „დესპოტი ფელიქსი“ ხელს მოჰკიდებს, ყველაფერი ოქროდ უნდა გადაიქცეს. „მგლების“ ბოსებმა მაგათს ისევ სრული ძალაუფლება და ბევრი ფული მისცეს და ფელიქსმაც დაიწყო ყველასათვის უცნობი, ან უკვე ჩამოწერილი ფეხბურთელების შეგროვება. შემოდგომაზე „ვოლფსბურგს“ პირველ გუნდში 36 მოთამაშე ჰყავდა! ფეხბურთელების ერთ მესამედს კი არც ხეირიანი და არც უხეირო, მოკლედ არაფერი გაუკეთებია. ან, იქნებ ვინმეს გახსოვთ, რომ „ვოლფსბურგში“ რამე გააკეთეს **პრვოია ჩალემ, სოტირიოს კირიაკოსმა, ფერჰან ჰასანიმ, მატეუშ კლიხმა** და **სლობოდან მედოიევიჩმა?**

ვოლფსბურგში გვიანღა მიხვდნენ, რომ მაგათის მოდელი ყოველთვის ვერ იფუნქციონირებს და როცა ფელიქსი გაათავისუფლეს, „ვოლფსბურგი“ ბოლო ადგილზე იყო. არადა, გუნდს ისეთი შემადგენლობა ჰყავს, რომ მინიმუმ ევროპალიგის საგზურისთვის უნდა იბრძოდეს. ვნახოთ, როგორ გაართმევენ თავს ამ ამოცანას ახალი სპორტული დირექტორი **კლაუს ალოფსი** და ახალთახალი მწვრთნელი **დიტერ ჰეკინგი,** რომელიც ვოლფსბურგელებმა „ნიურნბერგს“ წაართვეს.

I წრის საუკეთესო მწვრთნელი

### კრისტიან შტრაიხი (ფრაიბურგი)

აქ „ბაიერნის“ მწვრთნელს ელოდით? **იუპ ჰაინკესის** შესაძლებლობებში ეჭვი ნამდვილად არ გვეპარება, მაგრამ ისიც ვაღიაროთ, რომ „დონ იუპი“ ბუნდესლიგაში ყველაზე პრივილეგირებული მწვრთნელია. ბუნდესლიგა 2012/20113-ის პირველი ნახევრის საუკეთესო სპეციალისტად „ფრაიბურგის“ თავკაც **კრისტიან შტრაიხს** ვასახელებთ!

გერმანიაში ეს უკანასკნელი ბევრს არ ეხატება გულზე - იმიტომ, რომ სათქმელს ყოველთვის პირდაპირ, ყოველგვარი მიკიბვ-მოკიბვის გარეშე ამბობს, მაგრამ რაც ყველაზე მთავარია, საქმეს იდეალურად აკეთებს! ზუსტად ერთი წელი გავიდა მას მერე, რაც შტრაიხი „ფრაის“ მთავარ მწვრთნელად დანიშნეს და ამ სპეციალისტმა ყოვლად უსიცოცხლო და უიმედო გუნდისგან მებრძოლი კოლექტივი ჩამოაყალიბა - „ფრაი“ ჯერ მეორე ბუნდესლიგაში გავარდნისგან იხსნა, ამ სეზონში კი, ბრაისგაუელებმა პირველი წრე ევროზონაში, მეხუთე ადგილზე დაასრულეს!

„ფრაიბურგს“ არ აქვს ფული და არ ჰყავს ვარსკვლავები, რაც შტრაიხს ალტერნატიული ტექნოლოგიების პოვნას აიძულებდა და იპოვა კიდეც: ჰყავს ბრძოლისუნარიანი, ერთ მუშტად შეკრული და საკმაოდ მოქნილი გუნდი. სხვათა შორის, თავის დროზე სწორედ ასე დაიწყო მოღვაწეობა **იურგენ კლოპმაც** (მაინცში)...

I წრის გუნდი აღმოჩენა

### ფრანკფურტის აინტრახტი

ბუნდესლიგის 50-წლიან ისტორიას მხოლოდ ორი ისეთი გუნდი ახსოვს, რომელმაც ელიტაში აღზევების შემდეგ პირველი წრე იმაზე უკეთ ჩაატარა, ვიდრე ფრანკფურტის „აინტრახტმა“ წელს - „კაიზერსლაუტერნს“ და „ჰოფენჰაიმს“ ვგულისხმობთ. ფრანკფურტელებმა პირველი მარცხი მხოლოდ მეშვიდე ტურში განიცადეს, მანამდე კი ხუთი მოგება და ერთი ფრე ჰქონდათ. მწვრთნელ **არმინ ფეეს** ახალწვეულებმა **ტრაპმა, ინუიმ** და **აიგნერმა** იმედები ასი პროცენტით გაუმართლეს და გარდა ამისა, გუნდი ტექნიკურად სრულყოფილ, შემტევ ფეხბურთს თამაშობს. რაც მთავარია, ფრანკფურტელებმა საკუთარ შეცდომებზე ისწავლეს: ორი წლის წინ „აინტრახტმა“ პირველი წრე 26 ქულით დაასრულა და ზამთრის შესვენებაზე ფრანკფურტში უეფას თასზე საუბრობდნენ. იმ სეზონში გუნდი მეორე ბუნდესლიგაში გავარდა! დღეს „აინტრახტში“ ევროსარბიელზე არავინ საუბრობს - მიუხედავად იმისა, რომ გუნდმა პირველი წრე 30 ქულით მეოთხე ადგილზე, ანუ, ჩემპიონთა ლიგის ზონაში დაამთავრა.

I წრის ყველაზე ემოციური მომენტი

### ჟაბოლჩ ჰუშტი (ჰანოვერი)

„ჰანოვერისა“ და „ვერდერის“ მატჩი ჰოლივუდურ თრილერს ჰგავდა - ბოლო წამამდე (პირდაპირი გაგებით) 2:2 იყო და ბოლო წამზე ჰანოვერელთა შემტევმა ნახევარმცველმა **ჟაბოლჩ ჰუშტიმ** ულამაზესი და რაც მთავარია, სუფთა მაკრატელათი „წითლებს“ გამარჯვება მოუტანა. უნგრელი სიხარულისგან კინაღამ ჭკუიდან შეიშალა - მაისურა გაიძრო და მუშტების ქნევით გაიქცა ფანებისკენ, მერე კი დამცავ ღობეზე აძვრა და უკანასკნელ ხმაზე ღრიალებდა.

„ლელოს“ ერთგულ მკითხველებს გეხსომებათ, რომ პირველად მაშინ დავწერეთ იმ კანონის აბსურდულობისა და სულელურობის შესახებ, რომლის მიხედვითაც ფეხბურთელს, გოლით გამოწვეული სიხარულის მაისურის გახდით აღნიშვნის გამო, ყვითელი ბარათი ეკუთვნის. მსაჯმა **დენიზ აითექინმა** ჰუშტის სწორედ ამის გამო მისცა გაფრთხილება, მერე კი მეორე ყვითელიც აუფრიალა იმის გამო, რომ ეს უკანასკნელი ღობეზე აძვრა.

I წრის გადასარევი კომენტარი

### ბრუნო ლაბადია (შტუტგარტის მწვრთნელი)

*„რაღაც-რაღაცები ჩემთვის მიუღებელია. მაგალითად ის, რომ მწვრთნელს ისე გამოაჭენებენ, თითქოს უკანასკნელი იდიოტი იყოს და ფეხბურთში არაფერი გაეგებოდეს. მაყურებლები უმეტესად აზრზე არ არიან, რა ხდება სინამდვილეში. ჰოლცჰოიზერი რომ შევცვალე, მთელმა სტადიონმა სტვენა ამიტეხა, არადა, მე რომ არ ვყოფილიყავი, ეს ბიჭი „შტუტგარტიდან“ დიდი ხნის გაშვებული იქნებოდა. მის ტრანსფერს ვეტო სწორედ მე დავადე! გეუბნებით, მწვრთნელები სანაგვე ყუთები არ ვართ! მორჩა, მეტის მოთმენა აღარ შემიძლია! აქ მუშაობა 22 თვის წინ დავიწყე. მაშინ მხოლოდ 12 ქულა გვქონდა და მე ეს გუნდი ევროპალიგაში გავიყვანე. ახლა უკვე ნაღდად აღარ მიკვირს, „შტუტგარტში“ მწვრთნელები ასე ხშირად რომ იცვლებიან ხოლმე. ასეთ დროს ნორმალური მწვრთნელი უნდა დაფიქრდეს, გაჰყვეს ამ გზას, თუ თქვას, მაკოცეთ უკანალზეო და წავიდეს.“*

*P.S.* **ლაბადიამ** *პირველი აირჩია. „შტუტგარტი“ 25 ქულით მე-9 ადგილზეა.*

I წრის დრამა

### ბორის ვუკჩევიჩი (ჰოფენჰაიმი)

28 სექტემბერს „ჰოფენჰაიმის“ ფეხბურთელი **ბორის ვუკჩევიჩი** მძიმე ავარიაში მოყვა. 22 წლის მოთამაშეს წლებია, პირველი ტიპის დიაბეტი აქვს - ავარიის მიზეზად კონცენტრაციის დაქვეითება დასახელდა. ორი კვირის განმავლობაში ვუკჩევიჩის სიცოცხლეს საფრთხე ემუქრებოდა, ავარიიდან შვიდი კვირის შემდეგ კი კომიდან გამოვიდა და ახლა სტაციონალურ მკურნალობაზე გადაიყვანეს. ამას წინათ, ბორისმა პირველი განცხადებაც გააკეთა და მთელ საფეხბურთო გერმანიას მადლობა გადაუხადა თანადგომისთვის. ჯერჯერობით უცნობია, შეძლებს თუ არა ვუკჩევიჩი ფეხბურთის თამაშის გაგრძელებას, მაგრამ, რაც მთავარია, მის სიცოცხლეს საფრთხე აღარ ემუქრება.

I წრის რეკორდების მაძიებელი

### მიუნხენის ბაიერნი

საწყისი რვა მატჩი ბუნდესლიგაში აქამდე არავის მოეგო და საწყის ხუთ გასვლით მატჩში კარის მშრალად შენახვაც პირველად სწორედ „ბაიერნმა“ შეძლო. მიუნხენურმა გრანდმა შემოდგომის ჩემპიონობა მე-14 ტურში



ტურის სიმბოლური ნაკრების ყველაზე ხშირი სტუმრები: ფრანკ რიბერი (6) და დანტე (5)

გაინაღდა, რაც ბუნდესლიგისთვის ასევე რეკორდია და 17 ტურში 42 ქულის აღებაც საუკეთესო და რთულად გასამეორებელი მიღწევა გახლავთ.

თუ ასე გააგრძელებენ, ბავარიელებს დორტმუნდის „ბორუსიას“ აბსოლუტური რეკორდის დამხობაც შეეძლებათ (ჩემპიონობა 81 ქულით) და რეკორდმაისტერის მეკარე **მანუელ ნოიერსაც** აქვს სუპერრეკორდის დამყარების შანსი - მანუმ პირველ წრეში 7 გოლი გაუშვა. მეკარეების რეკორდი ლეგენდარულ **ოლივერ კანს** ეკუთვნის, რომელმაც სარეკორდო სეზონში მხოლოდ 21 გოლი გაუშვა.

I წრის ისტერია

### რაფაელ ვან დერ ვაარტი (ჰამბურგი)

ჰოლანდიელი ნახევარმცველი ჰამბურგში ჯერ ჩასულიც არ იყო, როცა მთელი ქალაქი მასზე საუბრობდა. მერე, „ტოტენჰემიდან“ „ჰამბურგში“ მართლაც დაბრუნდა და ჩრდილოგერმანული კლუბის ფანები ბედნიერების ისტერიკაში ჩავარდნენ. ბოლოს „ჰამბურგში“ ასეთი ეიფორია 30 წლის წინ **კევინ კიგანმა** გამოიწვია. **ვან დერ ვაარტი** გუნდის ლიდერიც უნდა იყოს, მთავარი ვარსკვლავიც, გოლებიც უნდა გაიტანოს და საგოლე პასებიც უნდა არიგოს. თუმცა ეს არც ისე ადვილია, რაც პირველ წრეში დადასტურდა: ჰოლანდიელმა ბუნდესლიგის 11 მატჩში ითამაშა - მის ანგარიშზე მხოლოდ ერთი გოლი და ხუთი საგოლე პასია („კიკერის“ საშუალო შეფასება: 3.64).

I წრის დაბრუნება

### რენე ადლერი (ჰამბურგი)

„ჰამბურგი“ გასავარდნ ზონაში რომ არ არის, ეს პირველ რიგში მეკარე **რენე ადლერის** დამსახურებაა, რომელიც HSV-მ „ლევერკუზენიდან“ 3.5 მილიონ ევროდ იყიდა. ერთ დროს გერმანიის ნაკრების პირველ მეკარედ აღიარებული რენე ბევრს ჩამოწერილი ჰყავდა, მაგრამ ამ სეზონში ჯერ მხოლოდ 26 წლის ადლერი ისე ათამაშდა, როგორც საუკეთესო დროს (4-ჯერ შევიყვანეთ სიმბოლურ ნაკრებში) და იმდენი მოახერხა, რომ გერმანელი ექსპერტები ბუნდესმწვრთნელ ლიოვს რენეს ნაკრებში დაბრუნებას მოუწოდებენ.

I წრის ხელოვანი

### ხუან არანგო (გლადბახი)

უბრალო გოლების გატანა ყველას შეუძლია, განსაკუთრებული გოლები კი ხელოვანი ფეხბურთელების ხვედრია. მიონხენგლადბახის „ბორუსიას“ ლიდერმა **ხუან არანგომ** პირველ წრეში ხუთი გოლი გაიტანა და მოდით, ხუთივე გავიხსენოთ: პირველ ტურში, „ჰოფენჰაიმის“ მეკარე ტიმ ვიზეს მან გოლი 18 მეტრიდან, საჯარიმო დარტყმით გაუტანა; „აინტრახტთან“ არანგომ გოლი 35 მეტრიდან შეაგდო - რა თქმა უნდა, ისევ კუთხეში; „ჰანოვერის“ კარში გატანილი მოხდენილი, ჩახვეული გოლით მან თამაში „გლადბახის“ სასარგებლოდ შეატრიალა; „ვოლფსბურგთან“ გრძელი პასი ჰაერში გაკეთებული ბრუნით აქცია გოლად - ბურთი **დიეგო ბენალიოს** კარის შორეულ კუთხეში გადაგზავნა; „მაინცთან“ მატჩში ბურთი მეკარე **ჰაინც მიულერის** უილბლო საქციელის შემდეგ მიიღო და 44 მეტრიდან პირდაპირ მის კარში ჩააგდო.

*„რთული გოლების გატანა მიყვარს,“* - ამბობს არანგო. გვჯერა!

**გოტფრიდ ლენცი**

ტური გმირები I წრეში

| ტ | გმირი | კლუბი |
|---|---|---|
| I | დანი შაჰინი | ფორტუნა |
| II | ჟაბოლჩ ჰუშტი | ჰანოვერი |
| III | ჰიროში კიოტაკე | ნიურნბერგი |
| IV | სებასტიან როდე | აინტრახტი |
| V | ბას. შვაინშტაიგერი | ბაიერნი |
| VI | მარკო როისი | ბორუსია (დ) |
| VII | ფრანკ რიბერი | ბაიერნი |
| VIII | ფრანკ რიბერი | ბაიერნი |
| IX | ადამ სალაი | მაინცი |
| X | ფრანკ რიბერი | ბაიერნი |
| XI | დიეგო | ვოლფსბურგი |
| XII | ალექს მაიერი | აინტრახტი |
| XIII | ტონი კროოსი | ბაიერნი |
| XIV | გონსალო კასტრო | ლევერკუზ. |
| XV | მარკო არნაუტოვიჩი | ვერდერი |
| XVI | ვედად იბიშევიჩი | შტუტგარტი |
| XVII | მ. ანდ ტერ შტეგენი | ბორუსია (მ) |

ტურის სიმბოლურ ნაკრებში ყველაზე ხშირად მოხვდნენ:

**6** - ფრანკ რიბერი (ბაიერნი)

**5** - დანტე (ბაიერნი)

**4** - თომას მიულერი (ბაიერნი), დანიელ კარვახალი (ლევერკუზენი), რენე ადლერი (ჰამბურგი), მარიო გიოტცე (ბორუსია /დ/), მარტინ შტრანცლი (ბორუსია /მ/).

**3** - ტიმ კლოზე (ნიურნბერგი), მარკო როისი (ბორუსია /დ/), ხუან არანგო (ბორუსია /მ/), ჟაბოლჩ ჰუშტი (ჰანოვერი), კევინ ტრაპი (აინტრახტი), ტონი კროოსი (ბაიერნი), ნიკოლჩე ნოველსკი (მაინცი), ჰაიკო ვესტერმანი (ჰამბურგი), ვედად იბიშევიჩი (შტუტგარტი), შტეფან კისლინგი (ლევერკუზენი), მარკო არნაუტოვიჩი (ვერდერი), სიმონ კიაერი (ვოლფსბურგი), დიეგო (ვოლფსბურგი), დავიდ ალაბა (ბაიერნი), რობერტ ლევანდოვსკი (ბორუსია /დ/).

ესპანური ამბები



ვილია და ტორესი ჩელსიში ერთად?

## საით, ვილია?

„ვოს მარკეტინგის" გენერალურმა დირექტორმა **ვიქტორ ონატემ** განაცხადა, რომ **დავიდ ვილიას** მომავალი მთლიანად „ბარსელონას" ხელშია. „ვოს მარკეტინგის" კლიენტი მრავალ ფეხბურთელთაგან „ელ გუახეცაა". *„დავიდის შესახებ ბევრ ჭორს გაიგებთ. გასაკვირი სულაც არ არის - ის ხომ შესანიშნავი ფორვარდია. მისი მომავალი „ბარსელონას" ხელშია, რადგან ამ კლუბთან მას მოქმედი კონტრაქტი აკავშირებს"*, - განაცხადა 31 წლის ფეხბურთელის წარმომადგენელმა. შეგახსენებთ, „ბარსას" სპორტულმა დირექტორმა **ანდონი სუბისარეტამ** განაცხადა, რომ ვილიას ტრანსფერზე არ აყენებენ, პრესაში გავრცელებული ხმები სიმართლეს არ შეეფერება.

ამ ყველაფრის მიუხედავად, მედია აგრძელებს მორიგ სპეკულაციებს ვილიას თემაზე. „ელ გუახეს" მომსახურებით ინგლისში „არსენალი", „ჩელსი" და „ლივერპული" არიან დაინტერესებულნი. რაფა ბენიტესს ძალიან უნდა შეტევაში ფერნანდო ტორესის და დავიდ ვილიას წყვილი იხილოს, საამისოდ ლონდონელები 14 მილიონ ევროს იხდიან ესპანეთის ნაკრების ყველა დროის ბომბარდირში.

## პეპეს მონანიება

მადრიდის „რეალის" პორტუგალიელი მცველი **პეპე** მისთვის ყველაზე უსიამოვნო ეპიზოდს შეეხო კარიერაში - 2008/09 წლების სეზონში „ხეტაფეს" წინააღმდეგ მატჩში პეპემ კონტროლი დაკარგა საკუთარ თავზე და მეტოქე, **ხავიერ კასკერო** ფაქტობრივად, ჩანიხლა მეტოქე. პეპემ 10-მატჩიანი დისკვალიფიკაცია მიიღო.

*„ამ ეპიზოდის შემდეგ, მსოფლიოში რეპუტაცია შემელახა. მე ახლაც კი „მკვლელს" მეძახიან. მაშინ ყველაზე მეტად ფეხბურთიდან წასვლა მინდოდა, იმდენად განვიცდიდი ჩადენილს. დასამალავი არაა, რომ ესპანეთში პორტუგალიელი ფეხბურთელები განსაკუთრებულ წნეხში ვართ"*, - განაცხადა პეპემ.

## კატალონიიდან თათრეთში?

29 წლის **ჟოან ვერდიუ** „ესპანიოლის" ერთ-ერთი ლიდერია. ცნობილია, რომ მისით ყაზანის „რუბინია" დაინტერესებული. ფეხბურთელის აგენტის, **ხავიერ დიასის** თქმით, „რუბინი" ჯერ კიდევ 2011 წელს დაინტერესდა ვერდიუთი. მაშინ ვერდიუს ტრანსფერს ხელი ხელშეკრულებაში ჩადებულმა პუნქტმა, ფეხბურთელის სანაცვლოდ 20 მილიონი ევროს გადახდამ, შეუშალა. ვერდიუ სეზონის ბოლოს თავისუფალი აგენტი ხდება, „ესპანიოლმა" კი უნდა მიიღოს რაიმე გადაწყვეტილება, თორემ ნახევარმცველს უსასყიდლოდ დაკარგავს.



ჟოან ვერდიუ

## მესი: არგენტინელთა სიყვარული მხოლოდ 2012-ში ვიგრძენი



მესი ეროვნულ ნაკრებშიც მაგარია

არგენტინის ნაკრების ფორვარდი, 25 წლის **ლიონელ მესი** მიიჩნევს, რომ, როგორც იქნა, მოიპოვა არგენტინელი გულშემატკივარის სიყვარული. აქამდე „ალბისელესტეს" გულშემატკივრები ხშირად აკრიტიკებდნენ ბარსელონელის თამაშს ეროვნულ გუნდში. *„ერთადერთი, რაც 2012 წელს ხინჯად დამრჩება მოგონებებში, „ჩელსისთან" მარცხია ჩემპიონთა ლიგაზე. სხვა მხრივ, დიდებული წელიწადი იყო, რაც მთავარია, ჩემი თანამემამულეების სიყვარული მოვიპოვე, როგორც იქნა"*, - განაცხადა სამშობლოში ჩასულმა ლეომ.

## მარსელოს იანვრის ბოლო დათქვა

მადრიდის „რეალის" ბრაზილიელი მცველი **მარსელო ჟუნიორი** იმედოვნებს, რომ მწყობრში იანვრის ბოლოსთვის ჩადგება. 24 წლის ფეხბურთელმა ოქტომბერში, ეროვნული ნაკრების ვარჯიშისას, ფეხი მოიტეხა და დიდხანს მოუწია დასვენებამ. მარსელომ ოპერაცია ამსტერდამში გაიკეთა, დეკემბრის შუაში მას თაბაშირი მოხსნეს. ექიმებმა, მას უკვე დართეს ნება, ტრენაჟორების დარბაზში მსუბუქად დაიტვირთოს.

## ფლორენტინოს ბოლო გაფრთხილება

მადრიდის „რეალის" პრეზიდენტმა **ფლორენტინო პერესმა** შვებულებაში გასვლის წინ გუნდის თავკაც **ჟოზე მოურინიოს** სთხოვა, გაზეთების პირველ გვერდებზე მოხვდეს არა სკანდალების გამო, არამედ, გუნდის ბრწყინვალე თამაშის წყალობით. „მარკას" მტკიცებით, პერესმა აღნიშნული გაზეთის ჟურნალისტ **მარკ მეანასთან** კონფლიქტი იგულისხმა, როცა მოურინიომ ჟურნალისტს სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა.



მოურინიო და პერესი

თავად მოურინიო ოპტიმისტურად არის განწყობილი და იმედოვნებს, რომ 2013-ში „რეალს" სხვანაირად აათამაშებს: *„ჩვენ შევცლით იმ სიტუაციას, რომელიც გუნდში ბოლო დროს შეიქმნა"*, - ფიქრობს პორტუგალიელი.

უკრაინის ნაკრები

## გურიას ყოფილი თავკაცი უკრაინის მწვრთნელია



მიხაილ ფომენკო

უკრაინის დედაქალაქში, „ფეხბურთის სახლში" ფედერაციის აღმასკომის სხდომა გაიმართა, რომელზეც გამოაცხადეს ეროვნული და ახალგაზრდული ნაკრებების ახალი მწვრთნელები. ერთ-ერთი კანდიდატი **სვენ-გორან ერიქსონი** კიევში საერთოდ არ ჩავიდა. ამიტომაც, უკრაინის ნაკრების თავკაცად ერთხმად ადგილობრივი სპეციალისტი, **მიხაილ ფომენკო** აირჩიეს. კონტრაქტი 1+2 წელი სისტემით გაფორმდა. ახალგაზრდულ ნაკრებში **სერგეი კოვალეცი** დაამტკიცეს. 64 წლის ფომენკო 1987-1989 წლებში ლანჩხუთის „გურიას" წვრთნიდა. ბოლოს კი ის რუსულ „სალიუტში" მუშაობდა.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ჩვენ გჩუქნით წიგნებს!

ელვა.ჯი პრესისა და წიგნების გავრცელების სააგენტო www.elva.ge

ეს წიგნები მაღაზიებში 35 ლარამდე ღირს

იჩქარეთ, მხოლოდ 31 დეკემბრამდე!

გამოიწერეთ 1 წლით გაზეთი „ლელო" და „პალიტრა მედიის" კიდევ ერთი გამოცემა და აირჩიეთ საჩუქრად გამომცემლობა „პალიტრა L"-ის წიგნი ბესტსელერები:

„მოგზაურობათა დიდი ილუსტრირებული ატლასი"
„დავით აღმაშენებელი" - კონსტანტინე გამსახურდია (2 წიგნად)
„ვეფხისტყაოსანი" (3 D)




| მედია "პალიტრის" გამოცემები | 1 ეგზ. ფასი | ერთეულის რაოდენობა 1 წლის მანძილზე | 1 წლის ფასი |
|---|---|---|---|
| კვირის პალიტრა | 1 | 52 | 52 |
| არსენალი | 2 | 26 | 52 |
| ბომონდი | 5 | 12 | 60 |
| გზა | 1 | 52 | 52 |
| და... ქალი | 2 | 12 | 24 |
| ისტორიანი | 2 | 12 | 24 |
| კარიბჭე | 1 | 26 | 26 |
| კარუსელი | 0.80 | 52 | 41.60 |
| ლელო | 0.80 | 312 | 249.60 |
| ლიტ. პალიტრა | 2 | 12 | 24 |
| ოჯახის მკურნალი | 1 | 26 | 26 |
| რეიტინგი | 1.50 | 52 | 78 |
| საბავშვო კარუსელი | 1 | 52 | 52 |
| სიტყვა და საქმე | 1 | 260 | 260 |
| სიტყვა და საქმე (კატალოგი) | 2 | 52 | 104 |
| ყველა სიახლე | 1 | 52 | 52 |
| Georgian Journal | 2 | 52 | 104 |

დაგვიკავშირდით, პრესისა და წიგნების გავრცელების სააგენტო ელვა.ჯი ტელ.: 238 26 73; 238 26 74; 238 26 76 www.elva.ge

# უცხოური ფეხბურთი

ლა ლიგა. თავისუფალი აგენტები



სიის ყველაზე ვარსკვლავური წევრი ფერნანდო ლორენტეა

## ესპანური ბოსმანის სია

ლა ლიგის ფეხბურთელთა სია, რომლებიც 30 ივნისს „თავისუფალი აგენტები“ ხდებიან

**ატლეტიკო**

დომინგო სისმა (30 წლ), მც.
ტიაგო მენდეში (31), ნახ.
პედრო მარტინი (20), თავ.

**ბარსელონა**

ერიკ აბიდალი (33), მც.
მარკ მუნიესა (20), მც.

**ბეტისი**

ადრიანი (26), მეკ.
კასტრო ესპინოსა (30), მეკ.
მარიო ალვარესი (30), მც.
ხოსე დორადო (30), მც.
ანხელ ლოპესი (31), მც.
ნაჩო (32), მც.
ნელსონი (29), მც.
ხოსე კანიასი (27), ნახ.
ხუან კარლოსი (22), ნახ.
ალეხანდრო პოსუელო (21), ნახ.

**ბილბაო**

ჩაბიერ კასტილიო (29), მც.
იგორ მარტინესი (23), ნახ.
ხონას რამალიო (19), მც.
ინიგო რუისი (19), ნახ.
ფერნანდო ლორენტე (27), თავ.

**გრანადა**

რობერტო ფერნანდესი (33), მეკ.
ინიგო ლოპესი (30), მც.
მანუელ ლუსენა (30), ნახ.
მოისეს ურტადო (31), ნახ.

**დეპორტივო**

დანიელ არანსუბია (33), მეკ.
ხერმან ლუქსი (30), მეკ.
ზე კაშტრო (29), მც.
კარლოს მარჩენა (33), მც.
მანუელ პაბლო (36), მც.
დიეგო სეოანე (24), მც.
ალექს ბერგანტინიოსი (27), ნახ.
ხესუს ვასკესი (32), ნახ.
საული (27), ნახ.
ხუან კარლოს ვალერონი (37), ნახ.
რიკი (32), თავ.
როდოლფო ბოდიპო (35), თავ.

**ესპანიოლი**

კრისტიან ალვარესი (27), მეკ.
ედგარ ბადია (20), მეკ.
ხუან ფორლინი (24), მც.
ხოან კაპდევილა (35), მც.
ერნესტო გალანი (26), მც.
რაულ ბაენა (23), ნახ.
ჟოან ვერდიუ (29), ნახ.
რუი ფონტე (22), თავ.

**ვალენსია**

დავიდ ალბელდა (35), ნახ.

**ვალიადოლიდი**

ხაიმე ხიმენესი (31), მეკ.
დანი ერნანდესი (27), მეკ.
კარლოს პენა (29), მც.
ხავიერ ბარახა (31), მც.
ალვარო რუბიო (33), ნახ.
ოსკარ გონსალესი (30), ნახ.
ლოლო (19), თავ.

**ლევანტე**

გუსტავო მუნუა (35), მეკ.
დავიდ ნავარო (33), მც.
სერხიო ბალესტეროსი (37), მც.
ხუანფრანი (36), მც.
პედრო რიოსი (31) ნახ.
ნაბილ ელ-ჟარი (26), ნახ.
ოსკარ სერანო (31), ნახ.
ხუანლუ (33), ნახ.

**მალაგა**

ველიგტონი (33), მც.
მანუელ იტურა (28), ნახ.
ხოაკინი (31), ნახ.
ხავიერ სავიოლა (31), თავ.

**მალიორკა**

ხუან კალატაიუდი (33), მეკ.
დუდუ ავატე (35), მეკ.
ანდერსონ კონსეისაო (23), მც.
ნუნიეში (35), მც.
ხოსეპ მარტი (37), ნახ.
მარკ ფერნანდესი (22), ნახ.
ხავიერ არისმენდი (28), თავ.

**ოსასუნა**

იმანოლ ელიასი (22), მეკ.
რუბენ გონსალესი (30), მც.
პაჩი პუნიალი (35), ნახ.
მასუდ შოჯაეი (28), ნახ.
ნინო (33), თავ.

**რაიო ვალეკანო**

რუბენი (28), მეკ.
დავიდ კობენიო (30), მეკ.
დანიელ ხიმენესი (29), მეკ.
მიკელ ლაბაკა (33), მც.
ხოსე კასადო (26), მხ.
სუელიტონ პერეირა (26), მც.
რობერტო ტრაშორასი (31), ნახ.
ხავი ფუეგო (28), ნახ.
პიტი (31), ნახ.
ალეხანდრო დომინგესი (31), თავ.
ანდრია დელიბაშიჩი (31), თავ.

**რეალი**

ხესუს ფერნანდესი (24), მეკ.
რიკარდო კარვალიო (34), მც.

**რეალ სოსიედადი**

ენაუტ ზუბიკარაი (28), მეკ.
ხავი რიოსი (22), მეკ.

**სარაგოსა**

ლეო ფრანკო (35), მეკ.
ტონი დობლასი (32), მეკ.
კრისტიან სეპუნარუ (28), მც.
მაურიციო ლანძარო (30), მც.
ხოსე მოვილია (37), ნახ.
ვიქტორ როდრიგესი (23), თავ.
კარლოს არანდა (31), თავ.ს

**სევილია**

ანდრეს პალოპი (39), მეკ.

**სელტა**

კარლოს ბელვისი (27), მც.
ბორხა ოუბინია (30), ნახ.
ნაჩო ინსა (26), ნახ.
ენრიკე დე ლუკასი (34), ნახ.
მარიო ბერმეხო (34), ნახ.

**ხეტაფე**

ხორდი კოდინა (30), მეკ.
რაფა ლოპესი (27), მც.
მანე (31), მც.
მიჩელი (27), ნახ.
ხაიმე გავილანი (27), ნახ.
უგო ფრაილე (25), თავ.

# ქართული სპორტი

ძიუდო. მარიან ჰეპკა

## ჰეპკამ მსაჯობა დაგვიწუნა

### სამაგიეროდ, ჩემპიონატი შეგვიფასა ულტრამაღალ ხარისხში

საქართველოს ძიუდოს ფედერაცია ერთ-ერთი პირველი ნოვატორი იყო, რომელმაც შიდა ჩემპიონატში უცხოელი მსაჯების მოწვევის პრაქტიკა დანერგა.

დასამალი არაა, რომ ქართული სპორტი ამ მხრივაც ძალიან ჩამორჩა - მაღალკვალიფიციური მსაჯი თითოოროლა გვყავს, რასაც ოლიმპიური სტატისტიკაც ადასტურებს. იქნებ პლანეტის ამ უპირველეს სპორტულ ღონისძიებაზე არბიტრთა დიდი წარმომადგენლობა არასოდეს გვყოლია, მაგრამ წინა წლებთან შედარებით რეგრესს განვიცდით და ლონდონში ერთადერთი მსაჯის იმედად დავრჩით. ამ ვითარებაში ქვეყნის ჩემპიონატში უცხოელთა მოწვევა გამართლებული გვგონია თუნდაც იმიტომ, რომ ადგილობრივი მწვრთნელ-ქომაგი მოწვეულს იმდენს ვერ უბედავს, რასაც - თუნდაც იმ თითო-ოროლა ადგილობრივ მაღალკვალიფიციურ არბიტრს. ბუნებრივია, ეს ყველა პრობლემას ვერ გადაჭრის, მაგრამ მსაჯთა ტვირთს მნიშვნელოვნად კი ამსუბუქებს. დასამალი არც ისაა, რომ ბევრს არ მოეწონა მსგავსი ტრადიცია და ამბობდნენ, განა რა გაუჭირდა ქართულ ძიუდოს ისეთი, ადგილობრივ მსაჯებს რომ არ ვენდობითო. თუმცა ფაქტია - უცხოელთა მოწვევის შემდეგ აღარ მომხდარა ის გაწევ-გამოწევა და მსაჯზე ძალადობა, რაც მანამდე სისტემატურად ხდებოდა თუნდაც იმ ჩვენი საერთაშორისო კატეგორიის და მართლაც მაღალი კვალიფიკაციის არბიტრთა მუშაობის პირობებში.

ძიუდოში ამ რთულ მისიას იმთავითვე სლოვაკი **მარიან ჰეპკა** ასრულებდა, რომელიც ევროპული ფედერაციის მსაჯთა კომისიის წევრია და მისი კანდიდატურაც ამ გაერთიანებასთან შეთანხმებით შეარჩიეს. ჰეპკა ქვეყნის წლევანდელ პირველობასაც სჯიდა და ქვემორე ინტერვიუში საგულისხმო ფრაზებიც გვითხრა. ქართველი მსაჯების მისამართით გაკეთებული მისი განცხადებები ფრიად სამწუხაროა და ნათლად მიგვანიშნებს, არბიტრთა კვალიფიკაციის ასამაღლებლად ფედერაციას რამდენად დიდი მუშაობა მართებს. ისიც აღსანიშნავია, რომ სლოვაკმა თავად ტურნირი სპორტული თვალსაზრისით მაღალ დონეზე შეაფასა, მაგრამ ორგანიზაციულ მხარეს და არბიტრებს დაბალი შეფასება მისცა. ამასთან, მან, ვფიქრობთ, ზუსტად დაგვისახა მსაჯობის დონის ამაღლების გზებიც... ჰეპკასთან საუბრისას დროში შეზღუდულები ვიყავით - შეხვედრებს შორის შესვენებისას დაველაპარაკეთ, თორემ ვეჭვობთ, თავის კოლეგებზე გაცილებით ბევრ ნაკლოვანებას აღნიშნავდა.

**- ჩემპიონატის საერთო დონეს როგორ შეაფასებთ?**

- ალალად გეტყვით, რომ ძალიან მაღალი დონეა. თამამად შეიძლება ითქვას, რომ მსოფლიოში ერთ-ერთი უძლიერესი ჩემპიონატია. ასეთი ძლიერი ტურნირი სხვაგან იშვიათად მინახავს. თქვენ მაღალი კლასის საკმაოდ ბევრი ფალავანი გყავთ და არც მიკვირს, ძლიერი შეჯიბრება რომ ტარდება, მაგრამ მსაჯობა და ორგანიზაციული მხარე სპორტულის შესაბამისი არაა.

**- სამსაჯოდ რთული შეჯიბრებაა? ვგულისხმობ კამათს, პროტესტს - სხვა ანალოგიურ შეჯიბრებებთან შედარებით ჩვენთან უფრო ხშირი ხომ არაა ეს ყველაფერი?**

- თქვენ თვითონაც ნახეთ, რომ ადგილობრივ მსაჯებს ძალიან ბევრ მომენტში სჭირდებოდათ დახმარება. ეს ძირითადად იმითაა გამოწვეული, რომ მათ უჭირთ დამოუკიდებლად გადაწყვეტილებების მიღება. ფედერაციამ რაღაც გზები უნდა გამონახოს მათი კვალიფიკაციის ასამაღლებლად, იქნება ეს საზღვარგარეთ ტურნირებზე გაგზავნა, სემინარები თუ სხვა... ისინი არ უნდა იყვნენ დამოკიდებულნი არც საკუთარ ფედერაციაზე და არც - ქომაგზე.

**- ვფიქრობთ, საუკეთესო გამოსავალი მაინც უცხოეთში გაგზავნაა - ასე უფრო მეტ თავდაჯერებულობას შეიძენენ.**

- ზოგიერთმა მსაჯმა ელემენტარული წესები არ იცოდა. თქვენი მსაჯები ტრიბუნებსაც დიდ ანგარიშს უწევენ, რაც დაუშვებელია, მათ ბევრად მეტი დამოუკიდებლობა სჭირდებათ. ყოყმანსა და მსაჯთა მაგიდისკენ გახედვას, აჯობებს, თვითონ მიიღონ გადაწყვეტილება. ისე, სხვაგან არც ის მინახავს არსად, რომ დარბაზში პოლიცია იყოს წესრიგის დასაცავად, თუმცა მესმის, ეს ქართული ხასიათიდან მომდინარეობს. დარბაზში ხომ ყველა ერთმანეთს იცნობს, თან მაყურებელი კარგად ერკვევა ძიუდოს სპეციფიკაში.

ერთი სიტყვით, მსაჯობის დონე აუცილებლად უნდა აამაღლოთ.

**ირაკლი თავაძე**



მარცხნიდან: ამირან ტოტიკაშვილი, მარიან ჰეპკა, ვლადიმერ ნუცუბიძე

ჩოგბურთი

## კარგად დაიწყეს

ინდურ პუნესა და თურქულ სტამბოლში დაიწყო ჩოგბურთელ ქალთა საერთაშორისო ტურნირები, რომელთა საპრიზო ფონდი, შესაბამისად, 25.000 და 10.000 დოლარია.

ინდოეთში **ოქსანა კალაშნიკოვა** ასპარეზობს. ძირითადი ბადის სტარტზე თბილისელმა ჩოგბურთელმა მასპინძელ ნატაშა პალიას სძლია 6:0, 7:5 და მეორე წრეში თურქ ბასაკ ერაიდინს დაუპირისპირდება. ამ უკანასკნელმა მე-5 ნომრად განთესილი შვეიცარიელი კონი პურინი ჩამოიშორა გზიდან - 4:6, 6:4, 6:2.

სტამბოლში წარმატებით აიღეს სტარტი **სოფიო ქვაცაბაიამ** და **ეკატერინე გორგოძემ**. მე-3 ნომრად განთესილმა ქვაცაბაიამ პირველ წრეში რუმინელ ქრისტინა ადამესკუს დააყრევინა ფარ-ხმალი - 6:1, 6:1, ხოლო გორგოძემ თურქ მელის ბაირაქტაროგლუს აჯობა - 6:2, 6:2, მეორე წრეში კი მის თანამემამულე იპეკ სოილუსთან (ამ უკანასკნელმა სტარტზე ნათია გეგია დაჯაბნა - 5:7, 6:3, 6:3) წააგო - 3:6, 1:6, ქვაცაბაიამ კი მეორე ბარიერიც წარმატებით დაძლია - ვივიან ზლატოვას (ბულგარეთი) მოუგო - 7:5, 6:4. წყვილებში ქვაცაბაია-გორგოძის დუეტმა ჰონიგოვა (ჩეხეთი) - ლეიკინას (რუსეთი) ინტერნაციონალური ტანდემი ჩამოაშორა კვარცხლბეკისკენ მიმავალ გზას - 6:1, 6:4.

**ვაჟა დანელია**



ოქსანა კალაშნიკოვა



სოფიო ქვაცაბაია



ეკატერინე გორგოძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავისუფალი ჭიდაობა. თურქეთის საერთაშორისო ტურნირი

# გენოსეული ოქროს ალიყური

**ამ დღეებში ქართველ ფალავანთა გუნდმა წარმატებით იასპარეზა თურქეთის ქალქ ტოკატში თავისუფალ ჭიდაობაში გამართულ საერთაშორისო ტურნირში. მასპინძლების გარდა მონაწილეობდნენ აზერბაიჯანის, უკრაინის, ბულგარეთის, მაკედონიისა და საქართველოს გუნდები. ტურნირი თურქი მსოფლიოს ჩემპიონის ჰუსეინ აკბასის სახელობისაა. შვიდი წონითი კატეგორიიდან სამ-სამ წონაში ქართველი და თურქი სპორტსმენები გავიდნენ პირველ ადგილზე, ერთ წონაში - უკრაინელი.**

ქართველთაგან კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე დადგნენ **გიორგი ბალიაშვილი** (60 კგ), **ზვიად მეტრეველი** (96 კგ) და **გენო პეტრიაშვილი** (მძიმე), მეორე ადგილზე გავიდა **გოჩა ლომთათიძე** (84), მესამეზე - **ბექა ბუჯიაშვილი** (55), **მალხაზ მახარობლიძე** (60), **გიორგი ლასურაშვილი** (მძიმე).

აღსანიშნავია ახლახან გამართული საქართველოს ჩემპიონატის 18 წლის ტრიუმფატორის გენო პეტრიაშვილის მორიგი წარმატება. საშინაო შეჯიბრებებში მაღალი მიღწევების მერე მისთვის ეს პირველი გამოცდა იყო უცხოეთის არენაზე, რომელიც გორელმა ფალავანმა ბრწყინვალედ ჩააბარა. „პაექრობაში მეოთხედფინალიდან ჩავერთე და ფინალის ჩათვლით სამ მოწინააღმდეგეს ვძლიე. ყველა მეტოქე თურქი იყო. პირველ მათგანს ჭიდაობის დასაწყისშივე ლავიწი გაუტყდა. მეორეს 4:1, 1:0 ვაჯობე. ფინალის პირველი რაუნდი 5 : 0 მოვიგე, მაგრამ მეორის დასაწყისშივე პროვოკაციაზე წამოვიდა მეტოქე და შეფარულად სახეში გამარტყა. გამწარებულმა კინაღამ სამაგიეროს გადახდა დავაპირე, რაც გაფრთხილებად და მარცხად დამიჯდებოდა. საბედნიეროდ, ხალიჩასთან მყოფი თანაგუნდელების მოწოდებამ, რომ ჯობდა მოგებით გადამეხადა სამაგიერო, ორთაბრძოლა ნორმალურ ფარგლებში გამაგრძელებინა და მართლაც, ანგარიში მეორე პერიოდშიც ჩემს სასარგებლოდ 6 : 0 დაფიქსირდა" - გვითხრა გენო პეტრიაშვილმა.

დამაჯერებელი გამარჯვებებით მივიდნენ ოქროს მედლებამდე ბალიაშვილი და მეტრეველი. პირველი მათგანი პეტრიაშვილის დარად გორის თავისუფალი ჭიდაობის დარბაზის აღზრდილია, მეორე კი რაჭის სოფელ ღებიდანაა და თბილისში ფალავანთა კლუბში ვარჯიშობს.

**ვასილ ბალახაძე**



გენო პეტრიაშვილი (ზემოდან)

ხრიდოლი



# ჩვენი გუნდი ხელჩართულ ბრძოლაში მსოფლიო თასის მფლობელია

თურქეთის ქალაქ ტრაპიზონში, საბრძოლო ხელოვნებათა მსოფლიო კონფედერაციის ორგანიზებით ამ დღეებში ჩატარდა მსოფლიო თასის გათამაშება საბრძოლო ხელოვნების რამდენიმე სახეობაში. მსოფლიოს 15 ქვეყნიდან იასპარეზეს კარატეს, აიკიდოს, ჯიუჯიცუს, კიქბოქსინგის, სანდასა და ხელჩართული ბრძოლის ოსტატებმა. განსაკუთრებით მძიმე ბრძოლები ხელჩართულ ბრძოლასა და სანდაში გაიმართა, რადგან აქ დარტყმის ტექნიკასთან ერთად დასაშვებია ჭიდაობის ფანდების გამოყენება. ხელჩართულ ბრძოლაში შეხვედრები წარიმართა როგორც დგომში, ისე ჩოქბჯენში. კარატეში საქართველოს ღირსებას შოტოკანის ქართველი წარმომადგენლები იცავდნენ. ხელჩართულ ბრძოლაში საქართველო ორი ნაკრებით - ხრიდოლის ეროვნული ფედერაციისა და შერეული ორთაბრძოლების ფედერაციის გუნდებით იყო წარმოდგენილი. ამასთან, ხრიდოლის ფედერაციამ სამივე ასაკობრივ ჯგუფში გამოიყვანა მონაწილეები. ხელჩართულის გარდა ხრიდოლის რამდენიმე მებრძოლმა სანდას და კიქბოქსინგის ჩემპიონატშიც იასპარეზა.

ხელჩართულ ბრძოლაში უფროსებს შორის პირველი ადგილები დაიკავეს **გიგა გელაშვლიმა** და **ზურაბ ჯოჯუამ** (იგი ჯერ მხოლოდ 17 წლისაა). ზურაბმა სანდას წესებითაც იჩხუბა და 18 წლამდე ასაკის მებრძოლებს შორის თასს ამ სახეობაშიც დაეუფლა. წლეულს ამ სპორტსმენმა უფროსებს შორის საქართველოს ჩემპიონობა კონტაქტურ კარატეშიც მოიპოვა. ბოლო სამი წლის განმავლობაში საქართველოს ჩემპიონი, საქართველოსა და ევრაზიის თასის მფლობელი, საერთაშორისო ტურნირების გამარჯვებულია სანდასა და კიბოქსინგში. არის აგრეთვე კავკასიისა და ევრაზიის თასის მფლობელი ხელჩართულ ბრძოლაში.

ხელჩართულ ბრძოლაში ხრიდოლის გუნდიდან 18 წლამდე მებრძოლებს შორის გამარჯვებულები არიან: **გოგიტა ბარბაქაძე, ნიკა ჭიკაიძე, ვალერი ლოლიჯაშვილი, ბექა გოგალაძე.** 16 წლამდელებში: **ნიკოლოზ ბუჩუკური, პაპუნა ნეფარიძე, ვაჟა წიპტაური, გიორგი ნატროშვილი, ოთარ ლუარსაბიშვილი, ვეფხვია ჭინჭარაული.** ხრიდოლში დიდებს შორის მეორე ადგილი დაიკავა **ბადრი შუბითიძემ**, ჭაბუკებში - **გიორგი როსტიაშვილმა.**

სანდას ხალიჩაზე მსოფლიო თასისთვის იბრძოლა შვიდმა ხრიდოლიონმა. უფროსებს შორის **ომარ ნაროზაულმა**, მიუხედავად იმისა, რომ სიცხიანმა იასპარეზა, ნახევარფინალში აშკარა უპირატესობით დაამარცხა ირანელი მეტოქე, ფინალში კი საჯარიმო ქულით დამარცხდა აზერბაიჯანელ მებრძოლთან და მეორე ადგილს დასჯერდა. მესამე ადგილი დაიკავა **ბადრი შუბითიძემ.** ჭაბუკებში თავიანთ წონებში იპირველეს აგრეთვე **ბექა გოგალაძემ** და **რომან ხუნდაძემ.** ეს 16 წლის სპორტსმენი ყველაზე ტიტულოვანია ხრიდოლის ისტორიაში. თურქულ ხალიჩაზე ის მსოფლიო თასის მოპოვებამდე თითქმის ყოველწლიურად იმარჯვებდა ეროვნულ ჩემპიონატში. გარდა ამისა, ხუთჯერ გახდა სანდაში საქართველოს ჩემპიონი და ორჯერ თასის მფლობელი, ორჯერ მოიპოვა ევრაზიის თასი სანდაში და ერთხელ ხელჩართულ ბრძოლაში. ასევე ხელჩართულ ბრძოლაში ოთხჯერ მოიპოვა კავკასიის ჩემპიონის ტიტული. გაიმარჯვა კიბოქსინგში შინ თუ საერთაშორისო ტურნირებში. შარშან სტამბულში ევრაზიის საბრძოლო ხელოვნებათა ოლიმპიადაზეც ჩემპიონი გახდა. არის თბილისის პრიზიორი ძიუდოში და სამწუხაროდ, ორგანიზატორთა შეცდომის გამო ვერ მოახერხა ეჭიდავა საქართველოს პირველობაში.



ტრაპიზონის ხალიჩაზე სანდას ჩემპიონტში საპრიზო მეორე ადგილი დაიკავა **გოგიტა ბარბაქაძემ**, მესამე — **ნიკოლოზ გუმბერიძემ.**

ხრიდოლის ერთმა მებრძოლმა **ვეფხვია ჭინჭარაულმა** ხელჩართულის გარდა K-1 წესებითაც იჩხუბა და აქაც პირველი ადგილი დაიკვა.

საბოლოო ჯამში საქართველოს ხრიდოლის გუნდმა საუკეთესო შედეგი აჩვენა და მსოფლიო თასს ღირსეულად დაეუფლა.

**გიორგი ავსაჯანიშვილი**

ჭადრაკი

# გოგონები ბიჭებს გოლს არ უდებენ



თბილისის ჭადრაკის სასახლეში გრძელდება თეიმურაზ ლომაიას ტრადიციული ხსოვნის ტურნირი, რომელშიც 8-16 წლის მოჭადრაკე გოგო?იჭები მონაწილეობენ. განსაკუთრებით დაძაბულია პაექრობები თოთხმეტ-თექვსმეტწლიანებში, სადაც შერეული ტურნირია. გუშინ მე-3 ტურში წლევანდელი მსოფლიო პირველობის მე-2 პრიზიორმა **ნინო ხომერიკმა** თეთრი ფიგურებით **ვასილ დათიაშვილი** დაამარცხა. ასევე, იყოჩაღა **დეა გოგიშვილმა,** რომელმაც კამო ამბარიანს გააჩერებინა საათი, **თეკლა მაჭარაშვილი საბა ამირიძეს** დაუზავდა, **მარიამ ვალიშვილმა** კი **ალექსანდრე ებრალიძესთან** წააგო. ამდენად, ამ ასაკში 33 ქულით ხომერიკი, გოგიშვილი, კელეპტრიშვილი, ებრალიძე და საბა ბიბიჩაზე მეწინავეობენ. ექვსი მოჭადრაკე მათ ნახევარ-ნახევარი ქულით ჩამორჩება. დღეს მე-4 ტურში ითამაშებენ: კელეპტრიშვილი-ხომერიკი, ებრალიძე-გოგიშვილი, ბიბიჩაძე-ბოსიკაშვილი, მაჭარაშვი-არჯევანიძე, თავზარაშვილი-ამირიძე, ხოსიტაშვილი-ჭელიძე.

რვაწლიან ბიჭებში ფავორიტია წლევანდელი ევროპის თასის მფლობელი და კონტინენტის პირველობის ვერცხლის პრიზიორი ნიკოლოზ კაჭარავა. გუშინ მან გათამაშების ცხრილში მესამე გამარჯვება ჩაიწერა. მასთან ერთად უდანაკარგოდ განაგრძობენ ლიდერობას გიგა გოდერძიშვილი, ირაკლი კემულარია, დათო სიბაშვილი, საბა ლომსაძე, ირაკლი სანოძე, ლაშა ბაბაკიშვილი და გიორგი შოშიაშვილი (სულ 8-წლიანებში 90 მონაწილეა). გოგონებში მხოლოდ ორი სამოსანია ნინი ქოიავა და ეთერ ხებრელაშვილი. ნახევარ-ნახევარი ქულით ნაკლები მოაგროვეს, ასევე, ევროპის თასის მფლობელმა დიანა ლომაიმ და სალომე ბეიტრიშვილმა.

საგულისხმოა, რომ ლომაია 10-წლიანებშიც მონაწილეობს და 3 შესაძლებლიდან ორ ქულას მოუყარა თავი. აქ 3 ქულით ერთპიროვნული ლიდერია ანასტასია სიდამონიძე. 2,5 ქულით მეორე ადგილზეა ლალი გარსიაშვილი. ბიჭებში ხუთმა მოჭადრაკემ შეძლო 33 ქულის მოგროვება. გუშინდელი გამარჯვების შემდეგ ლიდერებში ადგილები მარლენ გუნიამ, მათე თოდაშვილმა, ანტონ ნადირაძემ, შოთა ხოდაშნელმა და გიორგი ელაშვილმა შეინარჩუნეს. 0,5 ქულით ნაკლები აქვს ლუკა ობოლაძეს, რომელიც ორი წლით უფროსებში 3 ქულით ერთპიროვნულად ლიდერობს შვიდ უახლოეს მდევარს ნახევარ-ნახევარი ქულით უსწრებს. გოგონებში ეკატერინე ცომაია და სალომე ხუცურაული არიან სამოსნები.

დღეს ლომაიას მემორიალზე მე-4 ტურის შეხვედრები გაიმართება.

**ვაჟა დანელია**

-ს
ხელმომწერთა საყურადღებოდ!
ხელმოწერის გამარტივებული პროცესი, დროული და გარანტირებული მიწოდება.
დარეკეთ: 238 26 73; 238 26 74.
კვირის გარდა.

## თარიღები და მოვლენები

**27. XII. 1910 წ.** დაიბადა **ლევ კაპიტონოვი** - ბ/რ ჭიდაობა, მწვრთნელი. გარდაიცვალა 1993 წელს.

**27. 1912 წ.** დაიბადა **ნესტორ ჩხატარაშვილი** - ფეხბურთი. გარდაიცვალა 2005 წელს.

**27. XII. 1952 წ.** დაიბადა **ამბერკი ტაბიძე** - ხელბურთი.

**27. XII. 1972 წ.** ზუსტად 40 წლის წინათ გორის „დილას" და რუსთავის „მეტალურგის" მატჩით დასრულდა ფეხბურთში შ. შავგულიძის სახელობის პრიზის გათამაშება II ლიგის გუნდებს შორის. ამ შეხვედრაში, რომელიც გორში გაიმართა, მასპინძლებმა სტუმრებს 5 უპასუხო გოლი გაუტანეს. „მეტალურგი" საბოლოოდ მესამე პრიზიორი მაინც გახდა, გორის დილას მეოთხე ადგილი ხვდა წილად. პრიზი „მერცხალმა" მოიპოვა. მეორე იყო „გურია".

ეროვნული ბიბლიოთეკა



● პრეზენტაცია



# წლის წიგნი

ბოლო დროს საკალათბურთო საიტების რაოდენობამ იმატა და ნებისმიერ სპორტსმენს, სპეციალისტსა თუ გულშემატკივარს საშუალება აქვს დეტალურად მიადევნოს თვალი სხვადასხვა ასაკის ჩემპიონატის მიმდინარეობას. შესაძლოა, უახლოეს მომავალში ვირტუალურმა გამოცემებმა ჩვენს ცხოვრებაში მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავოს, მაგრამ სადღეისოდ ბეჭდვით პროდუქციას მაინც სხვა ფასი აქვს. სწორედ ამიტომ, მისასალმებელია კალათბურთის ფედერაციის ინიციატივა, რომელმაც ყოველწლიური ალმანახის გამოცემას ჩაუყარა საფუძველი.

„წლის წიგნი 2011-12“ - ასე ჰქვია გამოცემას, რომელშიც გასული სეზონის მნიშვნელოვანი საკალათბურთო მოვლენები დეტალურადაა აღწერილი.

- კრებულში შესულია ათასზე მეტი თამაში, რომელთა ორგანიზატორიც საქართველოს კალათბურთის ფედერაცია იყო. თითოეულ შეხვედრაში სრულყოფილი სტატისტიკის ჩაწერა სამსაჯო კავშირმა უზრუნველყო, რისთვისაც მის წევრებს მადლობა მინდა გადავუხადო, - აღნიშნა სუპერლიგის გენერალურმა დირექტორმა **გიორგი ზაბახიძემ**.

ღონისძიებას ჟურნალისტების გარდა მწვრთნელები და კალათბურთელებიც ესწრებოდნენ. გათამაშდა სხვადასხვა სახის პრიზი, რომლებიც კალათბურთის ფედერაციის სპონსორებმა დააწესეს.

გვერდი მოამზადა
**ვაჟა სიმონიშვილმა**

● საქართველოს 16-წლამდელთა ჩემპიონატი

**ქუთაისი 2–რუსთავი 56:108**

**7:37, 18:25, 21:24, 10:22**

**ქუთაისი 2:** გუბაევი (15ქ, 5მ, 4პ), მამასახლისი, ბერეკაშვილი, შარვაშიძე (2ქ), შავგულიძე, ფურცხვანიძე (17ქ, 13მ, 4პ, 4ჩ), ზარქუა (2ქ), გაგოშიძე (10ქ, 7მ), ჭოლაძე, გორგასლიძე (2ქ), მერკვილაძე (4ქ, 11მ), ლალიძე (4ქ).

**რუსთავი:** ქავთარაძე (8ქ, 7პ, 7ჩ), ჩხაიძე (2ქ), ცაგურია (6ქ, 3პ, 3ჩ), ნიქარიშვილი (15ქ, 13მ, 7პ, 3ჩ), ბიწაძე (13ქ, 7მ, 11ჩ, 5პ), ტურძელიძე (25ქ), გოგობერიშვილი (27ქ, 6მ, 9პ, 5ჩ), ზარიძე (2ქ), ალავერდაშვილი (10ქ, 7მ, 3პ, 5ჩ).

**რუსთავი 3–კაქტუსი 67:65**

**21:16, 9:19, 15:18, 22:12**

**რუსთავი 3:** ლაკლაკიშვილი, აბაიშვილი (26ქ, 3პ, 3ჩ), შავერდაშვილი (12ქ, 11მ), ტატუნაშვილი, დარჩიაშვილი (2ქ), ცერცვაძე (1ქ), ჩიხრაძე (2ქ, 17მ, 3პ, 3დ, 7ჩ), გრიგორაშვილი (24ქ, 10მ), საბიაშვილი.

**კაქტუსი:** პაქსაშვილი (4ქ, 4ჩ), შველიძე (6ქ, 7მ), ერაძე (19ქ, 7პ, 6მ), ხითარიშვილი (2ქ), ელიკაშვილი, ესართია (14ქ, 6მ, 3პ), შერმადინი (20ქ, 21მ, 3ჩ).

**ბათუმი–რუსთავი 2 70:49**

**23:6, 21:20, 15:9, 11:14**

**ბათუმი:** დევაძე (4ქ), ანანიძე (2ქ, 7მ), იაკობიძე (2ქ, 8ჩ, 8მ, 3პ), მორჩაძე (2ქ), გარბანელიძე, ნაკაშიძე (8ქ), ჩავლეიშვილი (9ქ, 5პ, 3ჩ), დიასამიძე (30ქ, 3ჩ), ცინცაძე (9ქ, 17მ, 5ჩ), ვარშალომიძე, ფევაძე (4ქ, 7ჩ).

**რუსთავი 2:** კორძახია (1ქ, 3პ, 4ჩ), ნიქარიშვილი, ლვედაშვილი (2ქ, 9მ), პაპუაშვილი (6ქ, 3ჩ), პატაშური (30ქ, 13მ, 6ჩ), ბეგაძე (4ქ, 6მ, 3ჩ), ბაქრაძე, მირიანაშვილი, გვიმრაძე (2ქ), ტატაშიძე, გეგეჭკორი (1ქ), ქეშელაშვილი (3ქ, 5მ, 3პ, 3ჩ).

**A ჯგუფი**

| გუნდი | თ | მ | წ | სხ | ქ |
|---|---|---|---|---|---|
| 1. ქუთაისი 2 | 7 | 6 | 1 | 596/379 | 13 |
| 2. სოხუმი | 7 | 6 | 1 | 388/328 | 13 |
| 3. შსს აკადემია | 6 | 6 | 0 | 716/169 | 12 |
| 4. რუსთავი 1 | 6 | 6 | 0 | 594/235 | 12 |
| 5. ჰიუნდაი | 7 | 4 | 3 | 433/367 | 11 |
| 6. მართვე-3 | 7 | 3 | 4 | 369/466 | 10 |
| 7. მართვე | 7 | 2 | 5 | 380/548 | 9 |
| 8. კაქტუსი | 7 | 2 | 5 | 313/526 | 9 |
| 9. აკადემია 2 | 7 | 2 | 5 | 318/456 | 9 |
| 10. რუსთავი 3 | 6 | 2 | 4 | 309/523 | 8 |
| 11. კარდინალები-2 | 7 | 0 | 7 | 254/536 | 7 |
| 12. მარნეული | 6 | 1 | 5 | 225/362 | 7 |

**B ჯგუფი**

| გუნდი | თ | მ | წ | სხ | ქ |
|---|---|---|---|---|---|
| 1. კარდინალები | 6 | 6 | 0 | 453/267 | 12 |
| 2. მართვე 2 | 6 | 6 | 0 | 645/279 | 12 |
| 3. ლომები | 7 | 4 | 3 | 416/332 | 11 |
| 4. დინამო | 7 | 3 | 4 | 488/440 | 10 |
| 5. აკადემია | 5 | 5 | 0 | 487/187 | 10 |
| 6. ქუთაისი | 6 | 4 | 2 | 500/354 | 10 |
| 7. იმედი | 7 | 2 | 5 | 380/578 | 9 |
| 8. მართვე-4 | 7 | 2 | 5 | 333/541 | 9 |
| 9. ბათუმი | 5 | 4 | 1 | 364/284 | 9 |
| 10. AXE | 7 | 1 | 6 | 300/571 | 8 |
| 11. რუსთავი 2 | 6 | 1 | 5 | 311/477 | 7 |
| 12. TBC-თბილისი | 7 | 0 | 7 | 249/616 | 7 |



● ქართველი NBA-ში

# ლარი დრიუ: ფაჩულიასგან ერთს ვითხოვ – ითამაშოს როგორც ზაზამ!

„ატლანტა ჰოქსის“ ოფიციალურ ვებ-საიტზე გამოქვეყნდა ვრცელი სტატია **ზაზა ფაჩულიას** შესახებ. მისი სათაურია „რაც გჭირდებათ, მწვრთნელო“... პუბლიკაცია, რომლის ავტორია **ჯონ კუპერი**, ქართველ ქომაგსაც დააინტერესებს.




„საკალათბურთო წრეებში რომ ამბობენ - ენერგიული ბიჭიო, სწორედ ესაა ზაზა ფაჩულია. არა აქვს მნიშვნელობა, იგი სასტარტო ხუთეულშია, მეექვსეა თუ მეშვიდე - თანაგუნდელებს ყოველთვის ენერგას მატებს. ეს კომპონენტი სტატისტიკურ ოქმში ცალკე გრაფაში არ ფიქსირდება, თუმცალა, როგორც თავად ფაჩულია ამბობს, სტატისტიკის დიდი მოყვარულია. ჯორჯიული გუნდის მწვრთნელი, **ლარი დრიუც** კმაყოფილია, რომ ჰყავს კალათბურთელი, რომელიც ისეთივე სასარგებლოა სათადარიგოთა სკამიდან, როგორც სასტარტო ხუთეულში თამაშისას:

- რაც მთავარია, ზაზა პროფესიონალია. იგი მზადაა შეასრულოს თავისი საქმე და არა აქვს მნიშვნელობა, რომელ წუთზე ჩაერთვება თამაშში. იგი თავს კომფორტულად გრძნობს როგორც ხუთეულში თამაშისას, ისევე სათადარიგოთა სკამიდან მოედანზე გასვლისას. სწორედ ეს არის ნამდვილი პროფესიონალის თვისება. იგი ასრულებს ყველაფერს, რასაც დავავალებ. მატჩისთვის ყოველთვის სათანადოდაა მომზადებული.

ფაჩულია მწვრთნელმა, შესაძლოა, რომელიმე მატჩში შეცვალოს, მაგრამ მისი სათამაშო სტილის შეცვლა შეუძლებელია და ამიტომაცაა, ზაზა NBA-ში მეათე სეზონს რომ ატარებს. აქედან 8 წელი მან „ატლანტა ჰოქსში“ გაატარა. ყოველ წუთს, რომელიც 28 წლის ქართველ ცენტრს ამა თუ იმ მატჩში ეძლევა, იგი მაქსიმალურად იყენებს - ცდილობს, გუნდს რაც შეიძლება მეტი პოზიტივი შესძინოს.

- ატლანტელთა შემადგენლობაში არაერთი სეზონი გავატარე და სხვადასხვა შემადგენლობასთან მომიწია თამაშმა, - ამბობს ფაჩულია, რომელიც სტაჟის მხრივ „ჰოქსში“ მეორეა (**ჯოშ სმიტის** შემდეგ), - გუნდში რომ ჩავირიცხე, სასტარტო ხუთეულში მიწევდა თამაში. დროც საკმარისად მქონდა. შემდეგ სიტუაცია შეიცვალა და სათადარიგოთა სკამზე გადავინაცვლე, თუმცა 2011-12 წლების სეზონში კვლავ ხუთეულის წევრად ვიქეცი. ასე რომ, საკმარისი გამოცდილება მაქვს როგორც ხუთეულში თამაშის, ასევე სათადარიგოობისა. ახალწვეული რომ ვიყო, შესაძლოა სხვანაირად განვიცადო ყველაფერი, მაგრამ დიდი ხანია, ატლანტელი ვარ, კალათბურთელებსაც კარგად ვიცნობ, მწვრთნელებსაც და სიტუაციასაც სათანადოდ ვაანალიზებ, რაშიც აქამდე მიღებული გამოცდილება მეხმარება.

სხვათა შორის, ფაჩულია თანაგუნდელებსაც ძალიან ეხმარება, რაც იოლი ნამდვილად არ არის - იგი თამაშისას სიტუაციიდან თავის იოლად დაძვრენას არასოდეს ცდილობს, უმეტესად შავ სამუშაოს ასრულებს, ბოლომდე იბრძვის და როცა მოედანზეა, პირველი ატლანტელია, რომელიც მეტოქეებს არც სიტყვიერად უთმობს რამეს.

მიმდინარე სეზონში ზაზა „ჰოქსის“ მესამე მომხსნელია **ელ ჰორფორდისა** და ჯოშ სმიტის შემდეგ. რაც შეეხება შავ სამუშაოებში ყველაზე შავს - შეტევით მოხსნებს, ამ კომპონენტში ქართველმა ცენტრმა „ატლანტას“ ისტორიაში უკვე ღირსეული ადგილი დაიკავა. მან შეტევაში მოხსნების საერთო რაოდენობის მიხედვით გადაასწრო **ალან ჰენდერსონს, კლიფ ლევინგსტონს, დიკემბე მუტომბოს** და მეშვიდე პოზიციაზეა. ზაზას ანგარიშზე სადღეისოდ 1383 შეტევითი მოხსნაა. მან ჰენდერსონს „ოკლაჰომასთან“ 19 დეკემბრის მატჩში გადაასწრო, რომლის ერთ ეპიზოდში ბურთი მეტოქის ფარიდან მოხსნა, თუმცა დამატებაზე არაზუსტი იყო. მეორედაც მოხსნა, მეორედაც არაზუსტად ისროლა, მესამედ... მოკლედ, ფაჩულიამ მანამ იბრძოლა, ვიდრე ბურთი „ოკლაჰომას“ კალათში არ მოათავსა.

ცხადია, წარმატებისთვის ქულებსაც დიდი მნიშვნელობა აქვს, მაგრამ ზაზა ფაჩულიას აზრით, ამა თუ იმ მატჩზე მოხსნებიც დიდ გავლენას ახდენს:

- მოწინააღმდეგის ფარქვეშ დაჯაბვნა და მოხსნებში უპირატესობის დაბევება, როგორც წესი, გამარჯვების საწინდრად იქცევა ხოლმე. სტატისტიკა იშვიათად იტყუება.

სტატისტიკა იმასაც ამბობს, რომ ზაზა ატლანტელ ტანმაღლებში საჯარიმო ტყორცნების რეალიზების მიხედვით ერთ-ერთი გამორჩეულია. ისიც უნდა ითქვას, რომ მასზე ხშირად ჯარიმდებიან, თუმცა სწორედ ამ დროს კარგი სანახავია მწვრთნელი, რომელმაც იცის, რომ ზაზა გუნდს არ დაალალატებს.

მოვუსმინოთ „ჰოქსის“ თავკაც ლარი დრიუს:

- ზაზა ფაჩულია ბრძოლას თავს არასოდეს არიდებს. მეტოქეს არ უფრთხის, ფარქვეშ თამამად მიიწევს. ამიტომ მის წინააღმდეგ ხშირად ჯარიმდებიან. როგორც ვთქვი, ფაჩულია პროფესიონალია და ყველაფრისთვის მზადაა, იცის რას ვითხოვ მისგან და როგორ შეასრულოს დაკისრებული ფუნქცია. გაინტერესებთ, რას ვითხოვ უმთავრესად? - იყოს ისეთივე ზაზა, როგორსაც „ატლანტას“ გულშემატკივარი იცნობს.

ფაჩულიას მონდომება ლარი დრიუსაც ახარებს, რადგან ეს გადამდებია და დანარჩენი ატლანტელებისთვისაც სასარგებლოა. ბოლოს ისევ ქართველ კალათბურთელს მოვუსმინოთ:

- „ჰოქსში“ მნიშვნელოვანი ფუნქცია მაქვს. მომწონს, როცა სხვა კალათბურთელებიც თავის საქმეს პირნათლად ასრულებენ და ამას შედეგი მოაქვს. მსგავს სიტუაციაში თამაში ყოველთვის სასიამოვნოა. „ატლანტას“ თითოეული კალათბურთელი ხომ ერთი მიზნისთვის ილწვის და ერთმანეთის გვერდით თამაში სიხარულს ანიჭებს. ეს შესანიშნავი სანახავია.“

**ვაჟა სიმონიშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინტერვიუ გიორგი ნიჟარაძესთან

# ერთა თასის მძიმე გათამაშება გველის

## ტანა უმაგა შესაძლოა დაბრუნდეს

**სარაგბო სეზონი ორ კვირაზე მეტია დასრულდა, თუმცა წლეულს ტრადიციული დაჯილდოების ცერემონიალი და სხვადასხვა ნომინაციაში საუკეთესო მორაგბეების გამოვლენა არ გაიმართება. მიზეზი ძალიან მარტივია. საქართველოს ჩემპიონატი უწინდელისგან განსხვავებული ფორმატით, შემოდგომა-გაზაფხულის პრინციპით მიმდინარეობს და სარაგბო სეზონიც გაისად მაისში მთავრდება. გამარჯვებულებს და საუკეთესოებსაც სწორედ მაშინ გამოავლენენ.**



ჯერ კიდევ მიმდინარე წლის შეფასება საქართველოს რაგბის კავშირის პრეზიდენტმა გიორგი ნიჟარაძემ ორიოდ კვირის წინათ გააკეთა. ამჯერად კი, ქვეყანაში ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული სპორტის სახეობის ხელმძღვანელთან, მომავალის წლის გეგმებზე ვისაუბრეთ. ცხადია, პირველი თემა შინაური ჩემპიონატი და მასში მოასპარეზე კლუბების, მდგომარეობა იყო.

- ქართული რაგბის ყველაზე დიდი პრობლემა კლუბების მოუწესრიგებელი მატერიალურ-ტექნიკური ბაზაა, რომლის გაუმჯობესებაზე რაგბის კავშირი მომავალი წლიდან გაათკეცებული ენერგიით აპირებს მუშაობას. უნდა დავეხმაროთ კლუბებს რათა სპონსორები მოძებნონ.

მოგვწონს თუ არა, რაგბი საქართველოში პროფესიული ხდება. მოთამაშეებს კლუბებმა უნდა გადაუხადონ ხელფასი, შეუძინონ ეკიპირება, უზრუნველყონ მატჩზე ტრანსპორტირება. წელიწადში საშუალოდ 200-ათასლარიანი ბიუჯეტით ამის სრულფასოვნად განხორციელება შეუძლებელია. თანაც ისიც გასათვალისწინებელია, რომ ამ თანხას გუნდები სახელმწიფოს რაგბის განვითარების პროგრამით გათვალისწინებული დაფინანსებიდან იღებენ.

ზემოაღნიშნული ბიუჯეტი მით უფრო არ არის საკმარისი, თუ გუნდებს განვითარების პროგრამის განხორციელებას მოვთხოვთ. ამ შემთხვევაში მათ უნდა მოიძიონ დამატებითი ფული, რათა დააფინანსონ სპეციალისტების განათლება, შეიძინონ სპეციალური თანამედროვე პროგრამები, ასევე შესაბამისი სპოტული ინვენტარი და სხვა.

**- თუ მდგომარეობის გამოსწორება ვერ მოხერხდა, როგორ ფიქრობთ, რა უარყოფითი დაღი შეიძლება დაასვას ამან ქართულ რაგბის?**

- ამ შემთხვევაში მივიღებთ ემიგრაციის კიდევ ერთ დიდ ტალღას. ბევრ კარგ მოთამაშეს, შესაძლოა, ნაკლებად განვითარებულ სარაგბო ქვეყანაში მოუწიოს წასვლამ. ისინი ნაკრებისთვის დაკარგულნი იქნებიან. ეს არავითარ შემთხვევაში არ უნდა დავუშვათ. სპონსორების პოვნა ძალიან ძნელია. ამ საკითხის მოსაგვარებლად კი უწინარესად აუცილებელია ვიზრუნოთ მატჩების სატელევიზიო დაფარვისა და გაშუქების გაუმჯობესებაზე. თუ ტელეეთერით სულ ცოტა კვირაში ერთხელ მაინც არ გავიდა სიუჟეტი ქართულ რაგბიში მიმდინარე მოვლენებზე, საქართველოს ჩემპიონატზე და ასე შემდეგ, რომელ სპონსორობაზეა ლაპარაკი. ეს პრობლემა დროულადაა მოსაგვარებელი და ის არა მარტო რაგბის აწუხებს, ზოგადად ქართული სპორტის პრობლემაა.

**- ფინანსური მოტივაციის გარდა, საკმაოდ მნიშვნელოვანია წმინდა სპორტული ინტერესი. დიდი ხანია მიდის საუბარი ევროთასების რეორგანიზაციის შესახებ, სადაც, ქართულმა თუნდაც ერთმა კლუბმა შესაძლოა „ემლინ ჩელენჯ კაპის“ გათამაშებაში იასპარეზოს...**

- დიახ, ჩვენ დიდი ხანია საკუთარ წვენში ვიხარშებით. არადა, საერთაშორისო თამაშების გამოცდილება ქართულ გუნდებს და შესაბამისად, მორაგბეებსაც ძალზედ წაადგებათ. სამწუხაროდ, ევროთასებზე ქართული გუნდები 2015 წლამდე ვერ ითამაშებენ. ამის ალტერნატივა არის ახალი ტურნირი, რომელშიც სავარაუდოდ საქართველოს, რუსეთის, უკრაინისა და რუმინეთის კლუბები ისაპარეზებენ. ინიციატივა რუსეთის რაგბის კავშირმა გამოიჩინა და სპონსორსაც თვითონ მოიძიებს.

ყველა ამ ქვეყნის რაგბის კავშირებს უკვე გავუგზავნეთ ჩვენი მოსაზრება შეჯიბრების გამართვის ფორმატზე და ამჟამად მათგან პასუხს ველოდებით.

ამასთან ერთად ვცდილობთ, საქართველოში მოვიწვიოთ უცხოური კლუბები, რათა უმაღლესი ლიგის ათივე გუნდს ჰქონდეს საშუალება საერთაშორისო დონეზე თამაშის გამოცდილება მიიღონ. საბედნიეროდ, ინფრასტრუქტურა სამომავლოდ ამის საშუალებას მოგვცემს. 2013 წელს მწყობრში ჩადგება რუსთავის, მარტყოფისა და დიდი დიღმის სარაგბო კომპლექსები. დამეთანხმებით, ეს რაგბის განვითარებისთვის სერიოზული ბიძგი იქნება.

**- ქართული რაგბის ერთ-ერთი ყველაზე მწვავე პრობლემა კვალიფიციური მსაჯების მცირე რაოდენობაა. რა კონკრეტული ნაბიჯები იქნება გადადგმული ამ სფეროში მდგომარეობის გამოსწორების მიზნით?**

- 9-10 იანვარს ირლანდიაში მივდივართ, სადაც IRB-სა და ირლანდიის რაგბის კავშირის ხელმძღვანელებს შევხვდებით. გვინდა ვთხოვოთ, რომ გამოგვიგზავნონ რამდენიმე მსაჯი, რომლებიც მატჩების მომსახურებასთან ერთად ახალგზარდა ქართველი არბიტრების აღზრდით იქნებიან დაკავებულნი. ასეთივე თხოვნით ახალი ზელანდიის რაგბის კავშირსაც მივმართეთ. ისინი ჯერ კიდევ ფიქრობენ, ჩვენ კი ძალიან გვეჩქარება. საქართველოს ჩემპიონატის მეორე წრის მატჩებს ეს მსაჯები უკვე უნდა სჯიდნენ.

ჩვენ გვესმის, რომ ასეთი პროგრამის განხორციელება სერიოზულ ფინანსებთანაა დაკავშირებული, რომლის გაღების საშუალებაც არ გაგვაჩნია. ამიტომ IRB-სა და ირლანდიის რაგბის კავშირს ვთხოვთ, რომ მათი მხრიდან ეს იყოს ერთგვარი მხარდაჭერის, დახმარების პროგრამა. ვნახოთ, რა გამოვა.

**- როგორ წარიმართება მუშაობა ახალი წლიდან მოზარდ თაობასთან?**

- უამრავი პრობლემის მიუხედავად, ამ მიმართულებით სერიოზული წინსვლა გვაქვს. უწინარესად უნდა აღვნიშნო, რომ შესანიშნავად მუშაობს რაგბის აკადემია. ახლახან რიჩი დიქსონმა გამართა მწვრთნელთა III დონის სემინარი, რომელიც აკადემიაში რეგულარულად ტარდება.

ძალიან კარგი ინიციატივა იყო აკადემის ბაზაზე 9, 10 და 15 ნომრების სამდღიანი შეკრების გამართვა, რომელსაც ეროვნული ნაკრების თავკაცი რიჩი დიქსონი ხელმძღვანელობდა. სიახლე საკმაოდ ნაყოფიერი გამოდგა და გადაწყდა, რომ მსგავსი წვრთნები ყველა პოზიციის მოთამაშეებისთვის რეგულარულად გაიმართება. ცხადია, ეს მისასალმებელია, რადგან მორაგბეებს წარმოდგენა ექმნებათ, თუ რა მოთხოვნებია საიმისოდ, რათა ნაკრებში მოხვდნენ.

**- მოდით, ეროვნულ ნაკრებზეც ვთქვათ. თებერვალში „ბორჯღალოსნები“ ერთა თასის გათამაშებაში ჩაებმებიან, რომელიც 2015 წლის მსოფლიოს თასის შესარჩევი ტურინირიცაა...**

- ძალიან მძიმე ერთა თასის გათამაშება გველის. კონკურენცია სერიოზული იქნება. ყველა ჩვენი მეტოქე ნელ-ნელა უმატებს, ვითარდება. მათ წარსულის შეცდომები გაითვალისწინეს და სტრატეგია შეცვალეს. ფულსაც ძალიან ბევრს ხარჯავენ. თუმცა ჩვენგან განსხვავებით რატომღაც გეზი უცხოელების ნატურალიზაციაზე აიღეს. ესპანეთსა და პორტუგალიას რუმინეთმა და რუსეთმაც მიბაძა. ბელგიის ნაკრებს კი თამამად შეიძლება ეწოდოს საფრანგეთის ერთ-ერთი ნაკრები.

ძალიან ფრთხილად უნდა ვიყოთ. იოლი თამაში არავისთან გვექნება. წლეულს ქვედა დივიზიონიდან ამოსული ბელგიის ნაკრებიც არ იქნება ხელწამოსაკრავი. საკმაოდ კარგი გუნდია და არაფერი აქვს საერთო გერმანიისა და უკრაინის ეროვნულ ნაკრებებთან.

ამასთან ერთად, ჩვენს ნაკრებში თაობათა ცვლის პროცესი მიმდინარეობს. ერთა თასზე რამდენიმე ახალგაზრდა მორაგბე გამოჩნდება, თუმცა ძირითადი ტვირთი მხრებზე მაინც გამოცდილ მოთამაშეებს დააწვებათ. ერთი სიტყვით, ჩვენი მიზანია ერთა თასის მოგება და 2015 წლის მსოფლიოს თასის საგზურის მოპოვება. სხვა შედეგი არ განიხილება. თანაც აუცილებელია პირველი ადგილი დავიკავოთ, რათა მსოფლიოს თასზე C ჯგუფში (ახალი ზელანდია, არგენტინა, ტონგა და აფრიკის შესარჩევი ტურნირის გამარჯვებული) მოვხვდეთ, რადგან ეს ჯგუფი სხვებთან შედარებით ჩვენთვის ყველაზე მისაღებია.

**- მომავალ წელს საქართველოს ნაკრებს საკმაოდ სერიოზული ტესტ მატჩები ელის...**

- ერთა თასის შემდეგ ივნისში ძალიან რთული მატჩი გველის არგენტინაში. ამ ქვეყნის რაგბის კავშირმა ჩვენი ნაკრები სპეციალურად დაპატიჟა და ეს ჩვენთვის დიდი პატივია. ამიტომ ყველანაირად უნდა ვეცადოთ, რომ იქ მაქსიმალურად ოპტიმალური შემადგენლობა წავიყვანოთ. მით უმეტეს, რომ C ჯგუფში, რომელშიც მოხვედრა გვინდა, არგენტინის ნაკრებიცაა.

მანამდე კი, ივნისის დასაწყისში თბილისში პირველად ჩატარდება საერთაშორისო ტურნირი, რომელიც ტრადიციული გახდება. მასში მონაწილეობას მიიღებენ წამყვანი სარაგბო ქვეყნების არგენტინის, ირლანდიის, სამხრეთ აფრიკისა და იტალიის A ნაკრებებიდან რომელიმე ორი.

ამ შეჯიბრებაში ჩვენი გუნდი ეროვნული ნაკრების სტატუსით ითამაშებს, თუმცა რეალურად A ნაკრები იქნება. ამაზე შეგნებულად მივდივართ, რადგან გვინდა, რაც შეიძლება მეტ ახალგაზრდა მორაგბეს მივცეთ თავის გამოჩენის საშუალება. საქართველოს ეროვნული გუნდის პრობლემა მოკლე სათადარიგოთა სკამია და ამიტომ სწრაფად უნდა გამოიკვეთოს იმ მოთამაშეთა ჯგუფი, რომელიც ამ ხარვეზს გამოასწორებს.

ამის გარდა, ტესტ მატჩები გვექნება ნოემბერშიც. უკვე გადაწყვეტილია, რომ თბილისში კანადისა და ამერიკის შეერთებული შტატების ნაკრებები გვეწვევიან. იანვარში IRB-ში სტუმრობისას ვეცდებით მესამე მატჩის გამართვის უფლებაც მივიღოთ. მეტოქედ გვინდა, რომ ტონგას ნაკრები იყოს. ან რომელიმე კუნძულელი, რომლის თამაშის მანერაც ტონგოელთა სტილს ჰგავს.

**- წლეულს საქართველოს ნაკრები მილტონ ჰეიგის ასისტენტმა კრის გიბსმა დატოვა. ხომ არ არის უკვე გარკვეული მისი შემცვლელის ვინაობა?**

- კრის გიბსის შემცვლელი რამდენად შეიძლება ეწოდოს არ ვიცი, მაგრამ მოლაპარაკებას ტანა უმაგასთან ვაწარმოებთ. ჯერჯერობით შეთანხმება მიღწეული არ გვაქვს. თუ დავითანხმეთ, მაშინ ის 2013 და 2014 წლებში საქართველოში სამჯერ ჩამოვა: ერთა თასის მსვლელობისას, ივნისისა და ნოემბრის ტესტებზე. 2015 წელს კი, მთელი წელიწადის განმავლობაში გუნდთან ერთად უნდა იყოს.

**- დიდი მადლობა ამომწურავი პასუხებისთვის და გისურვებთ წარმატებას ახალ 2013 წელს.**

- მინდა ვისარგებლო და თქვენი გაზეთის მეშვეობით მადლობა გადავუხადო ყველა მორაგბეს, მწვრთნელს, მსაჯს, რაგბის კავშირის თანამშრომლებს და ჩვენს ქომაგებს, რომლებიც ერთგულად გვიდგანან მხარში. მინდა ყველას მივულოცო დამდეგი ახალი წელი და დავპირდე, ყველაფერს ვილონებთ, რომ მომავალშიც არაერთხელ მივანიჭოთ სიხარული.

**ბესიკ ჯანგავაძე**



ტანა უმაგა
შესაძლოა დაბრუნდეს

## უცხოური სპორტი

კალათბურთი. NBA რეგულარული ჩემპიონატი

# ფინალის რევანში



კობიმ 34 ქულა დააგროვა

## კალიფორნიელები იგებენ

"ლეიკერსისა" და "ნიუ იორკის" მატჩში საყაიმო ანგარიშით დასრულდა **კობი ბრაიანტისა** და **კარმელო ენტონის** დუელი - მათ 34-34 ქულა დააგროვეს და შეტევის ეფექტურობაც თითქმის ერთნაირი ჰქონდათ. ამიტომაც, მატჩის ბედი იმაზე იყო დამოკიდებული, როგორ ითამაშებდნენ სხვა კალათბურთელები. ამ მხრივ, პირველ რიგში უნდა გამოვყოთ **მეტა უორლდ პისი.** მიუხედავად იმისა, რომ მას ენტონის მეურვეობა ჰქონდა დავალებული, ის შეტევისთვისაც იცლიდა და მარტო მეორე მეოთხედში 16 ქულა დააგროვა! სამწუხაროა, რომ უორლდ პისმა მატჩის მიყვანა ბოლომდე ვერ შეძლო, რადგან ექვსი პერსონალურის გამო ვადაზე ადრე დატოვა მოედანი.

სირენამდე წუთით ადრე, **ჯეი არ სმიტის** სამქულიანით "ნიუ იორკმა" ორ ქულამდე შეამცირა სხვაობა, მაგრამ **ვუდსონის** შეგირდებს არ ეწერათ ამ მატჩის მოგება საკუთარი სულელური შეცდომების გამო. **გასოლის** ზუსტი საჯარიმოს შემდეგ, "ნიქსს" აუცილებლად სჭირდებოდა ზუსტი შორეული ტყორცნა, მაგრამ სმიტმა ამჯერად ვერ ჩააგდო. საპასუხო შეტევაში კი ნიუიორკელებმა განსაკუთრებული ყურადღება ბრაიანტს მიაქციეს და საერთოდ დაავიწყდათ გასოლი. 99:94 და სტუმრებს მხოლოდ 12 წამი რჩებოდათ სიტუაციის გამოსასწორებლად. მაგრამ ტაიმაუტის შემდეგ, **კიდმა** ბურთის შემოტანისის შეცდომა დაუშვა და ამით ყველაფერი დამთავრდა.

■ ■ ■

კვლავაც შეუჩერებელია "ლოს ანჯელეს კლიპერსი", რომლის მორიგი მსხვერპლი გახდა "დენვერი". ამ უკანასკნელმა მხოლოდ პირველ მეოთხედში შეძლო წინააღმდეგობის გაწევა. მეორე მეოთხედში კი **ბარნსმა** 12 და **კროუფორდმა** ცხრა ქულით პრაქტიკულად საბოლოოდ დაასამარეს სტუმრების იმედები.

საბოლოოდ, დიდი შესვენებისთვის **დელ ნეგროს** შეგირდებს 67 ქულა ჰქონდათ მოგროვებული და სოლიდური უპირატესობით – 19 ქულით იყვნენ წინ. შესაბამისად, კალიფორნიელებს არ გასჭირვებიათ ამ რეგულარულში ზედიზედ მე-14 გამარჯვების მოპოვება.

| ლეიკერსი-ნიუ იორკი | 100:94 |
|---|---|

**25:23, 26:26, 26:29, 23:16**

**ლ:** ბრაიანტი (34+5 მოხსნა), უორლდ პისი (20+7 მოხსნა), ნეში (16+6 მოხსნა+11 პასი), ჰოვარდი (14+12 მოხსნა), გასოლი (13+8 მოხსნა+6 პასი).

**ნ-ი:** ენტონი (34+7 მოხსნა), სმიტი (25+5 მოხსნა), ფელტონი (10+6 პასი).

| კლიპერსი-დენვერი | 112:100 |
|---|---|

**25:26, 42:22, 26:28, 19:24**

**კ:** კროუფორდი (22), ბარნსი (20+8 მოხსნა+3 ჩაჭრა), პოლი (14+8 პასი+3 ჩაჭრა), გრიფინი (13+6 მოხსნა+6 პასი), ბლედსოუ (12), გრინი (11), ოდომი (6+10 მოხსნა)

**დ:** კუფოსი (16+10 მოხსნა), ჯ. ჰემილტონი (16), ლოუსონი (15+5 პასი), მილერი (12+6 პასი).

რეგულარული ჩემპიონატის კალენდრის შემდგენლებმა, ტრადიციულად, საშობაო დღეს საინტერესო მატჩები შემოგვთავაზეს, რომელთაგანაც ცენტრალური იყო მატჩი მაიამიში - ჩემპიონი ფინალისტ "ოკლაჰომას" ილებდა. შეხვედრამ გაამართლა მოლოდინი - ხუთი ტექნიკური ჯარიმა, 57 საჯარიმო ტყორცნა (აქედან 38 სტუმრებმა ისროლეს)... ეს მაჩვენებლები კარგად მეტყველებს იმ დაძაბულობაზე, რომელიც მთელი მატჩის განმავლობაში მოედანზე სუფევდა. პირველი ნახევარი ჩაუვარდა "ოკლაჰომას" ლიდერ **კევინ დურანტს**, რომელმაც ძალიან მალე მიიღო ორი პერსონალური. "ჰიტმა" ისარგებლა კევინის მოედანზე არყოფნით და აქტიურად შეუტია, თანაც დაცვა არ ავიწყდებოდა. ასე რომ, კვლავ ვიხილეთ ჩემპიონის შესრულებით დაბალანსებული კალათბურთი. დურანტის გარეშე ფლორიდელთა დაცვის გარღვევას ვერ ახერხებდა **უესტბრუკი.** მხოლოდ **მარტინს** წაუვიდა თამაში, რასაც მხარი აუბა მოედანზე დაბრუნებულმა დურანტმა.

"მაიამი" დამაჯერებელ სტარტს უნდა უმადლოდეს **მარიო ჩელმერსს**, რომელიც ძალიან ნაყოფიერი იყო არა მხოლოდ საწყის მეოთხედში, არამედ ბოლო 12-წუთეულშიც და საბოლოოდ, 20 ქულა დააგროვა.

თუმცა **ბრუქსის** შეგირდებს ყველაფერი ცუდად არ ჰქონდათ. "მაიამის" 13-ქულიანი უპირატესობა სტუმრებმა მალე გააბათილეს - "თანდერისთვის" ასეთი ჩამორჩენა პრობლემა არ არის. "ოკლაჰომას" ყველა შემსრულებელს ძალიან კარგი განწყობა ჰქონდა. დურანტმა სასტარტო პრობლემების მიუხედავად 33 ქულა მოიპოვა, უესტბრუკი არ ივიწყებდა თავის მოვალეობებს და 11 შედეგიანი პასი გააკეთა. შესაბამისად, მეოთხე მეოთხედში "ოკლაჰომას" წარმატების რეალური შანსი გაუჩნდა. დურანტის ხუთი ქულის წყალობით, სირენამდე 15 წამით ადრე სტუმრები სამ ქულას აგებდნენ. „თანდერის" ლიდერმა ანგარიშის გათანაბრება მაინც ვერ შეძლო, მაგრამ მოხსნა უესტბრუკმა მოიპოვა, რომლის ტყორცნამაც ასევე მიზანს ვერ მიაღწია - თუმცა მას ამაში აქტიურად უშლიდა ხელს **უეიდი.** რთული სათქმელია, იყო თუ არა იქ წესის დარღვევა, თუმცა უესტბრუკმა იკამათა და ტექნიკური ჯარიმა მიიღო, რაც ავტომატურად "ოკლაჰომას" წაგებას ნიშნავდა, რადგან იმ დღეს "მაიამიმ" საჯარიმოს ხაზიდან 19-დან 19 ჩააგდო.

■ ■ ■

"ბოსტონისა" და "ბრუკლინის" დუელში მოულოდნელად სნაიპერის როლი **რაჟონ რონდომ** მოირგო, მაგრამ შედეგიანი გადაცემების მხრივ მოიკოჭლებდა - მხოლოდ 5 პასი მიითვალა. თუმცა ეს არ ყოფილა "სელტიქსისთვის" პრობლემა, რადგან თამაშის ორგანიზების ფუნქცია **პოლ პირსმა** იტვირთა, რომელსაც სროლა არ მისდიოდა, სამაგიეროდ, ათი პასი ჩაიწერა აქტივში.

თუმცა ბოსტონელთა წარმატების ერთ-ერთი მთავარი შემოქმედი ახალბედა **ჯარედ სალინჯერი** გახდა, რომელმაც მოედანზე 33 წუთი გაატარა და ამ დროის განმავლობაში 16 ქულა დააგროვა. ეს მისთვის ჯერჯერობით კარიერის რეკორდი გახლავთ. თანაც დებიუტანტი, ასე თუ ისე, უმკლავდებოდა **ბრუკ ლოპესის** მეურვეობას. "ნეტსის" მხრიდან სხვა სერიოზული საფრთხე არ იგრძნობოდა: **დერონ უილიამსმა** მხოლოდ შვიდჯერ ესროლა, **ჯო ჯონსონმა** თამაშიდან ათი ტყორცნა ააცილა (14-დან), სათადარიგოები ძალიან ცუდად გამოიყურებოდნენ. საბოლოოდ, მასპინძლებმა ულიმღამო თამაშით მხოლოდ 76 ქულა დააგროვეს.

გამორჩეული იყო ეს შეხვედრა **კევინ გარნეტისთვის** - ახლა, მის ანგარიშზეა 1282 შეხვედრა და ამ მაჩვენებლით ის ყველა დროის სიაში გაუთანაბრდა მე-15 ადგილზე მყოფ **ჩარლზ ოუკლის.**

■ ■ ■

სხვა მატჩებთან შედარებით, "ჰიუსტონისა" და "ჩიკაგოს" შეხვედრის აფიშა დიდად გამორჩეული არ ყოფილა, თუმცა საინტერესო იყო ლიგის ერთ-ერთი საუკეთესო შემტევი გუნდის დაპირისპირება ერთ-ერთი საუკეთესო დაცვითი კოლექტივის წინააღმდეგ. ამჯერად, შეტევამ დაცვას აჯობა. ჩიკაგოში "რაკეტებმა" 120 ქულა დააგროვეს, ამასთან, განსაკუთრებით მონდომებული იყო ყოფილი "ხარი" **ომერ აშიქი.** დამატებითი სტიმულის ხარჯზე, თურქმა ცენტრმა სეზონში საუკეთესო მატჩი ჩაატარა - დააგროვა 20 ქულა, 18 მოხსნა და სამი დაფარება. ასეთი სტატისტიკა "ჰიუსტონის" არც ერთ კალათბურთელს არ ჰქონია 2005 წლის შემდეგ (ბოლოს ეს გააკეთა **იაო მინმა**). შედარებისთვის, "ჩიკაგოს" მრისხანე ტრიომ **ნოას, ბუზერისა** და **გიბსონის** შემადგენლობით ერთად მხოლოდ 16 მოხსნა დააგროვა. იმის გათვალისწინებით, რომ "როკეტსის" ერთბაშად რვა (!) კალათბურთელმა ჩააგდო ტყორცნების ნახევარზე მეტი, ხოლო **ჯერემი ლინმა** მორიგი ორმაგი დუბლი ჩაიწერა აქტივში, **ტიბოდოს** შეგირდებს თამაშის მოგების შანსი პრაქტიკულად არ ჰქონია.

| ბრუკლინი-ბოსტონი | 76:93 |
|---|---|

**24:22, 18:34, 16:17, 18:20**

**ბრუკ:** უოლასი (15+6 მოხსნა), ლოპესი (15+8 მოხსნა), ჯონსონი (12), უილიამსი (10+6 პასი).

**ბოს:** რონდო (19+6 მოხსნა+5 პასი+3 ჩაჭრა), სალინჯერი (16+7 მოხსნა), გრინი (15), ტერი (11), პირსი (8+10 პასი+5 მოხსნა), გარნეტი (8+10 მოხსნა).

| მაიამი-ოკლაჰომა | 103:97 |
|---|---|

**27:24, 27:24, 20:24, 29:25**

**მ:** ჯეიმსი (29+8 მოხსნა+9 პასი), უეიდი (21+5 მოხსნა), ჩელმერსი (20), ბოში (16+6 მოხსნა).

**ო:** დურანტი (33+7 მოხსნა), უესტბრუკი (21+11 მოხსნა), იბაკა (15+6 მოხსნა), მარტინი (15).

| ჩიკაგო-ჰიუსტონი | 97:120 |
|---|---|

**22:27, 19:31, 27:36, 29:26**

**ჩ:** რობინსონი (27), ბელინელი (15), დენგი (14+5 მოხსნა).

**ჰ:** ჰარდენი (26+5 მოხსნა+6 პასი), პარსონსი (23+5 მოხსნა), აშიქი (20+18 მოხსნა+3 დაფარება), ლინი (20+11 პასი), მორისი (10+5 მოხსნა).

| აღმოსავლეთი | |
|---|---|
| 1. მაიამი | 19/6* |
| 2. ნიუ იორკი | 20/8* |
| 3. ატლანტა | 16/9 |
| 4. ინდიანა | 16/12* |
| 5. ჩიკაგო | 15/12 |
| 6. მილუოკი | 14/12 |
| 7. ბრუკლინი | 14/13 |
| 8. ბოსტონი | 14/13 |
| 9. ფილადელფია | 13/15 |
| 10. ორლანდო | 12/15 |
| 11. ტორონტო | 9/19 |
| 12. დეტროიტი | 9/21 |
| 13. შარლოტი | 7/20 |
| 14. კლივლენდი | 6/23 |
| 15. ვაშინგტონი | 3/22 |

| დასავლეთი | |
|---|---|
| 1. კლიპერსი | 22/6* |
| 2. ოკლაჰომა | 21/6* |
| 3. სან ანტონიო | 21/8* |
| 4. მემფისი | 18/7 |
| 5. გ. სტეიტი | 18/10 |
| 6. ჰიუსტონი | 15/12 |
| 7. მინესოტა | 13/12 |
| 8. დენვერი | 15/14 |
| 9. იუტა | 15/14 |
| 10. ლეიკერსი | 14/14 |
| 11. პორტლენდი | 13/13 |
| 12. დალასი | 12/16 |
| 13. ფინიქსი | 11/17 |
| 14. საკრამენტო | 9/18 |
| 15. ნიუ ორლეანი | 5/22 |

** - დივიზიონის ლიდერი*

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**



მაიამი-ოკლაჰომა

## ამბები

### ლებრონი: პირველი ჯარიმა 8 დეკემბრის შემდეგ

"ოკლაჰომასთან" მატჩში "მაიამი ჰიტის" ფორვარდმა **ლებრონ ჯეიმსმა** პირველი პერსონალური მიიღო ბოლო 254 წუთის განმალობაში. ფლორიდელთა ლიდერი მაშინ დასაჯეს, როცა წარუმატებლად სცადა "ოკლაჰომას" ფორვარდ **სერჟ იბაკას** დაფარება.

წინა ექვს მატჩში მსაჯებს ერთხელაც არ დაუსჯიათ ჯეიმსი პერსონალურით. "ოკლაჰომასთან" მატჩამდე, ბოლოს ლებრონს ჯარიმა 8 დეკემბერს, "ნიუ ორლეანთან" შეხვედრაში დაუფიქსირეს.

### მილერი ათიათასიანი გახდა

იმავე "ოკლაჰომასთან" შეხვედრაში "მაიამის" მცველმა **მაიკ მილერმა** კარიერაში მე-10000 ქულა დააგროვა. შესაბამისად, მილერი გახდა 48-ე მოქმედი კალათბურთელი, ვის აქტივშიც მინიმუმ 10 ათასი ქულაა.

სულ ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის ისტორიაში ეს ზღვარი 313 მოთამაშემ გადალახა. მათგან ექვსი "მაიამის" რიგებში თამაშობს. მილერის გარდა, ესენი არიან: **რეი ალენი, ლებრონ ჯეიმსი, დუეინ უეიდი, რაშარდ ლუისი** და **კრის ბოში.**

### უეიდი სროლაზე იმუშავებს

"მაიამი ჰიტის" ერთ-ერთმა ლიდერმა **დუეინ უეიდმა** დაიქირავა პერსონალური მწვრთნელი, რათა ტყორცნის გაუმჯობესებაზე იმუშაოს.

შეგახსენებთ, რომ სროლის ტექნიკაზე მუშაობას უეიდი ჯერ კიდევ სეზონის წინ აპირებდა, მაგრამ მის გეგმებს ხელი შეუშალა მუხლზე ოპერაციამ და ხანგრძლივმა აღდგენითმა კურსმა. ამიტომაც, მცველი ცდილობს გამონახოს დრო იმისთვის, რომ ინდივიდუალური ვარჯიშები 2012-13 წლების სეზონის მსვლელობისას ჩაატაროს.

ყველაზე საინტერესო ის არის, რომ მიმდინარე რეგულარულ ჩემპიონატში უეიდი თავის კარიერაში თამაშიდან ტყორცნის საუკეთესო პროცენტს (51.5) აფიქსირებს.

### ბობკესტმა მალენსი დაკარგა

"შარლოტ ბობკეტსის" ფორვარდი **ბაირონ მალენსი** მარცხენა ფეხის ტრავმის გამო რამდენიმე კვირით გამოეთიშა რეგულარულ ჩემპიონატს. ბრიტანელმა კალათბურთელმა დაზიანება შაბათს, "დენვერთან" მატჩის დროს მიიღო.

მიმდინარე სეზონში მალენსი "ბობკეტსის" ერთ-ერთი ლიდერია - მის ანგარიშზე 27 მატჩში 11.6 ქულა და 7.8 მოხსნა მოდის.

### ბერძნებს იტალიელი გაწვრთნის

საბერძნეთის ნაკრების ახალი მთავარი მწვრთნელი გახდა იტალიის „კანტუს" დამრიგებელი **ანდრეა ტრინჩიერი.** უახლოეს დღეებში იტალიელი სპეციალისტი ორწლიან კონტრაქტს გააფორმებს საბერძნეთის კალათბურთის ფედერაციასთან.

ბერძნების ეროვნული გუნდის მთავარი მწვრთნელის პოსტზე ასევე პრეტენზიას აცხადებდა „ჟალგირისის" ამჟამინდელი დამრიგებელი **ჟოან პლასა.**

## ჰოკეი




# ორი მილიარდი იკარგება

კვლავაც გაურკვეველია ჰოკეის ეროვნულ ლიგაში 2012-13 წლების სეზონის ბედი. სამაგიეროდ, ექსპერტებმა დაითვალეს, რომ თუ წელს NHL-ში რეგულარული სეზონი არ გაიმართება, ლიგა ჯამში 2.75 მილიარდ დოლარს იზარალებს. ამ თანხიდან 2.2 მილიარდი ლიგის ძირითად შემოსავალს წარმოადგენს, 330 მილიონი კი - ეს არის კლუბების მფლობელთა კომპენსაცია მოთამაშეებისთვის. ფინანსების თანაბრად განაწილების შესახებ მიღებული გადაწყვეტილების სანაცვლოდ.

არც ისე მომხიბვლელი ჩანს სიტუაცია სატელევიზიო პარტნიორებთან მიმართებაში: ამ მომენტისთვის ტელეკომპანია NBC-მ ლიგას უნდა გადაუხადოს 200 მილიონი დოლარი იმ შემთხვევაშიც კი, თუ სეზონი არ გაიმართება. მაგრამ ამ კომპანიასთან გაფორმებული 10-წლიანი ხელშეკრულების გასვლის შემდეგ, NHL იძულებული იქნება უფასოდ მისცეს NBC-ს კიდევ ერთი სეზონის ტრანსლირების უფლება, არადა, ეს სეზონი დღევანდელ 200 მილიონზე გაცილებით ძვირი ეღირება.

*"ცხადია, რომ იანვრის პირველი ათი დღე გადაწყვეტს სეზონის ბედს – ის გაიმართება ან საბოლოოდ გაუქმდება. არჩევანი ასეთია: 48 მატჩი ან მეორედ ბოლო რვა წლის განმავლობაში დაკარგული სეზონი. თუ ჩემპიონატი არ გაიმართება, 2013 წელს დავინახავთ, რომ შრომითი დავა ახალი ძალით გაგრძელდება და ამ ისტორიის დასასრული ჯერ კიდევ შორს იქნება"*, - მიაჩნია ESPN-ის მიმომხილველს **პიერ ლებრიუნი**.

სხვათა შორის, გუშინ შესრულდა 100 დღე, რაც ჰოკეის ეროვნულ ლიგაში ლოკაუტი გრძელდება.

## ამბები

**ჩოგბურთი**

### ნადალს ალმაგრო შეცვლის

აბუ დაბის ტურნირზე მსოფლიოს მეოთხე ჩოგანს, ესპანელ **რაფაელ ნადალს** მისი თანამემამულე, რეიტინგის მე-11 ნომერი **ნიკოლას ალმაგრო** შეცვლის. შეჯიბრება დღეს აიღებს სტარტს და 29 დეკემბრამდე გაგრძელდება.

შეგახსენებთ, რომ ნადალი სწორედ აბუ დაბის ტურნირზე უნდა დაბრუნებულიყო კორტზე, მაგრამ ნაწლავური ინფექციის გამო უარი თქვა საამიროებში ჩასვლაზე.

ალმაგრო ნახევარფინალიდან ჩაებმება ბრძოლაში და ამ ეტაპზე შეხვდება ბრიტანელ **ენდი მიურეისა** და სერბ **იანკო ტიპსარევიჩს** შორის გამარჯვებულს.

**ბეისბოლი**

### ყოფილი ვარსკვლავი ციხეში მოხვდა

ცნობილი ამერიკელი ბეისბოლისტი, "ატლანტასა" და "ნიუ იორკ იანკიზის" ყოფილი მოთამაშე **ანდრუ ჯონსი** ატლანტას შტატში დააპატიმრეს. პოლიციაში დარეკა მოთამაშის ცოლმა და მეუღლე ცემაში დაადანაშაულა. ბეისბოლისტი დაახლოებით შვიდი საათი დაკავებული იყო, შემდეგ კი 2400 დოლარის გადახდით თავდებში გაუშვეს შინ.

ჯონსს ხუთჯერ აქვს მიღებული მონაწილეობა MLB-ის ლიგის "ყველა ვარსკვლავის მატჩში". თავისი ბოლო სეზონი მან "იანკიზის" შემადგენლობაში გაატარა, რის შემდეგაც დეკემბრის დასაწყისში მოაწერა ხელი ერთწლიან კონტრაქტს ერთ-ერთ იაპონურ კლუბთან.

**ოლიმპიზმი**

### ბრიტანეთმა ოლიმპიადა მოიწონა

ბრიტანელთა 78 პროცენტი მიიჩნევს, რომ 2012 წლის ოლიმპიადის ჩატარება ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი იყო ქვეყნის მოსახლეობის განწყობის ასამაღლებლად.

გამოკითხულთა ოცმა პროცენტმა აღნიშნა, რომ თამაშები იყო ძვირადღირებული და სახიფათო სიამოვნება ცხოვრებისეული პრობლემებიდან ყურადღების გადასატანად. სხვათა შორის, ასეთი გამოკითხვა თამაშების მსვლელობის დროსაც ჩატარდა და მაშინ 23 პროცენტით მეტი იყო იმათი რიცხვი, ვინც უარყოფითად აფასებდა ოლიმპიადის გამართვას.

გამოკითხვა 19-დან 23 დეკემბრამდე გაიმართა და მასში შემთხვევით შერჩეულმა 1002-მა ადამიანმა მიიღო მონაწილეობა.

გვერდი მოამზადა
გია **თვალაბეიშვილმა**

## ცხელი ხაზი

**ფეხბურთი**

| ინგლისი | |
|---|---|
| **კონფერენსი** | |
| დარტფორდი-ებსფლიტი | 3:1 |
| ფორესტ გრინი-ნიუპორტი | 1:2 |
| ლინკოლნი-გრიმსბი | 1:4 |
| ნანიტონი-ტამუორტი | 2:1 |
| რექსჰემი-ტელფორდი | 4:1 |
| ბაროუ-გეიტშიდი | 0:2 |
| ბრენტრი-კემბრიჯი | 0:3 |
| ჰერეფორდი-კიდერმინსტერი | 0:1 |
| ლუტონი-უოკინგი | 3:1 |
| მენსფილდი-ალფრეტონი | 1:2 |
| საუთპორტი-მაკლსფილდი | 3:2 |
| სტოკპორტი-ჰაიდი | 0:2 |
| **იტალია** | |
| **სერია B** | |
| ასკოლი-ჩიტადელა | 4:1 |
| ბარი-გროსეტო | 1:0 |
| ემპოლი-ვერონა | 1:1 |
| იუვე სტაბია-კროტონე | 3:1 |
| ლივორნო-სასუოლო | 3:2 |
| მოდენა-სპეცია | 1:0 |
| პადოვა-ტერნანა | 0:0 |
| პრო ვერჩელი-ჩეზენა | 1:3 |
| რეჯინა-ვიჩენცა | 1:0 |
| ლანჩანო-ნოვარა | 1:0 |
| ვარეზე-ბრეშია | გადაიდო |
| **ბელგია** | |
| შარლერუა-მონსი | 1:2 |
| მეხელენი-გენტი | 1:0 |
| ლოკერენი-სერკლი | 3:0 |
| ბევერენი-გენკი | 1:1 |
| ვარეგემი-ჰევერლე | 2:1 |
| ბრიუგე-კორტრიიკი | 0:0 |
| **შოტლანდია** | |
| დანდი იუნ-სტ. ჯონსტონი | 1:1 |
| ჰიბერნიანი-როსი | 0:1 |
| ინვერნესი-სტ. მირენი | 2:2 |
| კილმარნოკი-ჰართსი | 1:0 |
| მოზერველი-აბერდინი | 4:1 |
| დანდი-სელტიკი | 0:2 |
| **I დივიზიონი** | |
| დანფერმლაინი-ფალკირკი | 0:1 |
| ჰემილტონი-ეირდრი | 3:0 |
| პარტიკი-მორტონი | 1:2 |
| **II დივიზიონი** | |
| ბრეჩინი-არბროა | 3:2 |
| ალბიონი-ეირი | 2:0 |
| ქუინი-სტრანრარი | 4:1 |
| **III დივიზიონი** | |
| რეინჯერსი-კლაიდი | 3:0 |
| **უელსი** | |
| ებერისტვიტი-ნიუთაუნი | 0:2 |
| აფან ლიდო-პორტ ტელბოტი | 0:3 |
| ეირბასი-ქონეჰსი | 2:2 |
| კარმარტენი-ლანელი | 1:0 |
| ტნს-ბალა | 1:0 |
| **ჩრ. ირლანდია** | |
| ბალიმენა-კოლრეინი | 0:2 |
| კლიფტონვილი-კრუზეიდერსი | 1:0 |
| დუნგანონი-ბალინამალარდი | 0:1 |
| ლინფილდი-გლენტორანი | 2:1 |
| ლისბურნი-დონეგალი | 3:3 |
| პორტდაუნი-გლენავონი | 2:0 |

| ისრაელის თასი | |
|---|---|
| **1/2 ფინალი** | |
| [illegible] | 2:2 პენ. 3:4 |
| ჰაპოელი (ჰ)-მაკაბი (ნ) | 1:0 |
| **[illegible]** | |
| ადელაიდა-ბრისბენი | 0:1 |

**კალათბურთი**

| გერმანია | |
|---|---|
| ულმი-ტრირი | 73:58 |
| სკაილაინერსი-ბაიროიტი | 76:59 |
| ბაიერნი-ბრემერჰავენი | 104:71 |
| მიტელდოიჩე-გისენი | 93:88 (ო) |
| **საფრანგეთი** | |
| სტრასბური-ნანტი | 87:68 |
| ლე მანი-შოლე | 79:55 |
| ჰავრი-შალონი | 52:68 |
| გრაველენი-ვილერბანი | 76:88 |
| დიჟონი-პუატიე | 72:59 |
| ლიმოჟი-ორლეანი | 75:64 |
| ნანსი-პარიზი | 89:84 |
| როანი-ბულაზაკი | 77:51 |

**ჰოკეი**

| კჰლ | |
|---|---|
| ავანგარდი-ლოკომოტივი | 4:2 |
| ავტომობილისტი-ამური | 3:4 (ბ) |
| ბარისი-ატლანტი | 5:4 (ბ) |
| იუგრა-ტორპედო | 4:3 |
| მეტალურგი (მ)-სიბირი | 3:5 |
| ტრაქტორი-მეტალურგი (ნ) | 3:1 |
| დინამო (მ)-სლოვანი | 2:1 (ბ) |
| სკა-ცსკა | 1:2 (ო) |
| **ავსტრია** | |
| ალბა-ოლიმპია | 1:2 |
| გრაცი-ვილახი | 5:3 |
| დორნბირნი-ინსბრუკი | 4:6 |
| ზნოიმო-ლინცი | 5:2 |
| ზაგრები-ვენა | 4:0 |
| კლაგენფიურტი-ზალცბურგი | 4:3 |
| **გერმანია** | |
| აისბარენი-ვოლფსბურგი | 5:4 (ო) |
| აუგსბურგი-მიუნხენი | 2:6 |
| ჰანოვერი-ჰამბურგი | 0:4 |
| ინგოლშტადტი-შტრაუბინგი | 4:5 (ო) |
| იზერლონი-ნიურნბერგი | 5:2 |
| დიუსელდორფი-კრეფელდი | 2:5 |
| **ჩეხეთი** | |
| ჟლინი-ხომუტოვი | 5:2 |
| ტრშინეცი-ლიბერეცი | 6:5 (ბ) |
| პლზენი-სპარტა | 2:1 |
| კარლოვი ვარი-პარდუბიცე | 2:1 |
| ლიტვინოვი-ბრნო | 5:2 |
| **შვედეთი** | |
| მოდო-აიკ | 2:0 |
| ტიმრა-შელეფტეო | 2:4 |
| როგლე-ფრიოლუნდა | 1:2 (ბ) |
| ვექსიო-ლულეო | 1:4 |
| ფერიესტადი-ლინჩოპინგი | 1:4 |
| ჰვ71-ბრინასი | 2:1 (ო) |
| **მს. ჩემპიონატი** | |
| **UNDER 20** | |
| ლატვია-ფინეთი | 1:5 |
| ჩეხეთი-შვედეთი | 1:4 |
| გერმანია-კანადა | 3:9 |
| სლოვაკეთი-რუსეთი | 2:3 (ო) |

## კალათბურთი. ევროლიგა. TOP16. კალენდარი

**E ჯგუფი**

**I ტური**

**27 დეკემბერი**
ალბა-რეალი
უნიკახა-ბამბერგი

**28 დეკემბერი**
ცსკა-ეფესი
პანათინაიკოსი-ჟალგირისი

**II ტური**

**3 იანვარი**
ბამბერგი-რეალი
ეფესი-პანათინაიკოსი

**4 იანვარი**
ალბა-ცსკა
ჟალგირისი-უნიკახა

**III ტური**

**10 იანვარი**
ცსკა-ბამბერგი
პანათინაიკოსი-უნიკახა

**11 იანვარი**
ეფესი-ალბა
რეალი-ჟალგირისი

**IV ტური**

**16 იანვარი**
ალბა-პანათინაიკოსი

**17 იანვარი**
ბამბერგი-ეფესი
ჟალგირისი-ცსკა
უნიკახა-რეალი

**V ტური**

**24 იანვარი**
ალბა-ბამბერგი

**25 იანვარი**
ცსკა-უნიკახა
ეფესი-ჟალგირისი
პანათინაიკოსი-რეალი

**VI ტური**

**31 იანვარი**
ჟალგირისი-ალბა
რეალი-ცსკა

**1 თებერვალი**
უნიკახა-ეფესი
პანათინაიკოსი-ბამბერგი

**VII ტური**

**14 თებერვალი**
ცსკა-პანათინაიკოსი
ალბა-უნიკახა

**15 თებერვალი**
ეფესი-რეალი
ბამბერგი-ჟალგირისი

**VIII ტური**

**21 თებერვალი**
ბამბერგი-უნიკახა
ჟალგირისი-პანათინაიკოსი

**22 თებერვალი**
ეფესი-ცსკა
რეალი-ალბა

**IX ტური**

**28 თებერვალი**
რეალი-ბამბერგი

**1 მარტი**
ცსკა-ალბა
უნიკახა-ჟალგირისი
პანათინაიკოსი-ეფესი

**X ტური**

**6 მარტი**
ალბა-ეფესი
ბამბერგი-ცსკა

**7 მარტი**
ჟალგირისი-რეალი
უნიკახა-პანათინაიკოსი

**XI ტური**

**14 მარტი**
ეფესი-ბამბერგი

**15 მარტი**
ცსკა-ჟალგირისი
პანათინაიკოსი-ალბა
რეალი-უნიკახა

**XII ტური**

**21 მარტი**
ჟალგირისი-ეფესი
რეალი-პანათინაიკოსი
ბამბერგი-ალბა
უნიკახა-ცსკა

**XIII ტური**

**28 მარტი**
ცსკა-რეალი
ალბა-ჟალგირისი

**29 მარტი**
ეფესი-უნიკახა
ბამბერგი-პანათინაიკოსი

**XIV ტური**

**4 აპრილი**
ჟალგირისი-ბამბერგი
უნიკახა-ალბა
პანათინაიკოსი-ცსკა
რეალი-ეფესი

**F ჯგუფი**

**I ტური**

**27 დეკემბერი**
ბეშიქთაში-ხიმკი
კახა ლაბორალი-ოლიმპიაკოსი
მონტეპასკი-მაკაბი

**28 დეკემბერი**
ბარსელონა-ფენერბაჰჩე

**II ტური**

**3 იანვარი**
ხიმკი-ბარსელონა
მაკაბი-კახა ლაბორალი

**4 იანვარი**
ფენერბაჰჩე-მონტეპასკი
ოლიმპიაკოსი-ბეშიქთაში

**III ტური**

**10 იანვარი**
მაკაბი-ფენერბაჰჩე
კახა ლაბორალი-ბეშიქთაში

**11 იანვარი**
მონტეპასკი-ხიმკი
ბარსელონა-ოლიმპიაკოსი

**IV ტური**

**17 იანვარი**
ბეშიქთაში-ბარსელონა

**18 იანვარი**
ხიმკი-მაკაბი
ფენერბაჰჩე-კახა ლაბორალი
ოლიმპიაკოსი-მონტეპასკი

**V ტური**

**24 იანვარი**
ფენერბაჰჩე-ხიმკი
კახა ლაბორალი-ბარსელონა
მაკაბი-ოლიმპიაკოსი

**25 იანვარი**
მონტეპასკი-ბეშიქთაში

**VI ტური**

**31 იანვარი**
ბეშიქთაში-მაკაბი
ოლიმპიაკოსი-ფენერბაჰჩე
ბარსელონა-მონტეპასკი

**1 თებერვალი**
კახა ლაბორალი-ხიმკი

**VII ტური**

**14 თებერვალი**
მაკაბი-ბარსელონა
ფენერბაჰჩე-ბეშიქთაში

**15 თებერვალი**
ხიმკი-ოლიმპიაკოსი
მონტეპასკი-კახა ლაბორალი

**VIII ტური**

**21 თებერვალი**
ფენერბაჰჩე-ბარსელონა
მაკაბი-მონტეპასკი

**22 თებერვალი**
ხიმკი-ბეშიქთაში
ოლიმპიაკოსი-კახა ლაბორალი

**IX ტური**

**28 თებერვალი**
ბეშიქთაში-ოლიმპიაკოსი
კახა ლაბორალი-მაკაბი
მონტეპასკი-ფენერბაჰჩე
ბარსელონა-ხიმკი

**X ტური**

**7 მარტი**
ფენერბაჰჩე-მაკაბი
ოლიმპიაკოსი-ბარსელონა

**8 მარტი**
ხიმკი-მონტეპასკი
ბეშიქთაში-კახა ლაბორალი

**XI ტური**

**14 მარტი**
მაკაბი-ხიმკი
მონტეპასკი-ოლიმპიაკოსი
კახა ლაბორალი-ფენერბაჰჩე

**15 მარტი**
ბარსელონა-ბეშიქთაში

**XII ტური**

**21 მარტი**
ბარსელონა-კახა ლაბორალი

**22 მარტი**
ხიმკი-ფენერბაჰჩე
ბეშიქთაში-მონტეპასკი
ოლიმპიაკოსი-მაკაბი

**XIII ტური**

**28 მარტი**
ფენერბაჰჩე-ოლიმპიაკოსი
მაკაბი-ბეშიქთაში

**29 მარტი**
ხიმკი-კახა ლაბორალი
მონტეპასკი-ბარსელონა

**XIV ტური**

**4 აპრილი**
ოლიმპიაკოსი-ხიმკი
კახა ლაბორალი-მონტეპასკი
ბარსელონა-მაკაბი
ბეშიქთაში-ფენერბაჰჩე

## TV პროგრამა

**27 დეკემბერი. ხუთშაბათი**

**GMG-ფეხბურთი**

**10:00** ინგლისის ჩემპიონატი. XIX ტური. სტოკი-ლივერპული.
**12:00** ევროპის ლიგა. ჯგუფური ეტაპი. ლაციო-მარიბორი.
**14:00** ინგლისის ჩემპიონატი. XIX ტური. სანდერლენდი-მანჩესტერ სიტი.
**16:00** ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. ზენიტი-მილანი.
**18:00** ინგლისის ჩემპიონატი. XIX ტური. ასტონ ვილა-ტოტენჰემი.
**20:00** გერმანიის ჩემპიონატი. I წრის შემაჯამებელი. შალკე.
**21:30** ყოველკვირეული ტელეჟურნალი - FOOTBALL MONDIAL.
**22:00** ინგლისის ჩემპიონატი. XIX ტური. ნორვიჩი-ჩელსი.
**00:00** ინგლისის ჩემპიონატი. XIX ტური. მანჩესტერ იუნ-ნიუკასლი.

**GMG-სპორტი 1**

**10:00** ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. ვალენსია-ლილი.
**12:00** კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი. ლეიკერსი-ნიუ იორკი.
**14:00** მსოფლიო კალათბურთის ლეგენდები. სან ანტონიო სპურსი. II ნაწილი.
**15:00** ფეხბურთი. არგენტინის ჩემპიონატი. ველეს სარსფილდი-რივერ პლეიტი.
**17:00** რაგბი. ექვსი ერის თასი. საფრანგეთი-ინგლისი.
**19:00** ყოველკვირეული ტელეჟურნალი - FOOTBALL MONDIAL.
**19:30** ფეხბურთი. ბრაზილიის ჩემპიონატი. ფლუმინენსე-გრემიო.
**21:30** მსოფლიო ფეხბურთის ლიდერები. ევრო 1992.
**22:30** NBA ACTION.
**23:45** კალათბურთი. ევროლიგა. TOP 16. I ტური. მონტეპასკი-მაკაბი (LIVE).

**GMG-სპორტი 2**

**10:00** ჩოგბურთი. ფედერაციის თასი. ფინალი. ჩეხეთი-სერბეთი.
**12:10** ჩოგბურთი. ფედერაციის თასი. ფინალი. ჩეხეთი-სერბეთი.
**14:00** ჩოგბურთი. ფედერაციის თასი. მიმოხილვა.
**15:00** რაგბი. ოთხი ერის თასი. ახალი ზელანდია-სამხრეთ აფრიკა.
**17:00** ჩოგბურთი. საჩვენებელი ტურნირი. აბუ დაბი. საემიროები (LIVE).
**21:00** კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი. მაიამი-დენვერი.
**23:00** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მემფისი. აშშ.

## ამინდის პროგნოზი

| | | | |
|---|---|---|---|
| თბილისი | -5 | 4 | (უნალექოდ) |
| ქუთაისი | 3 | 17 | (მზე) |
| ბათუმი | 3 | 17 | (მზე) |
| ფოთი | 6 | 18 | (მზე) |
| ზუგდიდი | 0 | 16 | (მზე) |
| გორი | -6 | 8 | (მზე) |
| თელავი | -6 | 5 | (მცირე თოვლი) |
| სიღნაღი | -4 | 3 | (თოვლი) |
| ბაკურიანი | -16 | 3 | (მზე) |
| ბორჯომი | -10 | 6 | (მზე) |
| მესტია | -12 | 4 | (მზე) |

## ვალუტის კურსი

| | |
|---|---|
| 1 ევრო | 2.1939 |
| 1 ამერიკული დოლარი | 1.6599 |
| 1 ბრიტანული ფუნტი | 2.6802 |
| 100 რუსული რუბლი | 5.4219 |

● გამოკითხვა

# ფეტელი საუკეთესო ევროპელია


სებასტიან ფეტელი

გუშინ, პოლონურმა საინფორმაციო სააგენტომ Polska Agencja Prasowa-მ გამოაქვეყნა ტრადიციული გამოკითხვის შედეგები. პოლონელებმა 55-ედ გამოავლინეს ევროპის საუკეთესო სპორტსმენი. ამისთვის მათ გამოკითხეს ევროპული სააგენტოების 26 ჟურნალისტი. გამარჯვებული გახდა „რედ ბულის“ გერმანელი პილოტი **სებასტიან ფეტელი**, რომელიც წელს მესამედ გახდა ფორმულა 1-ის ჩემპიონი.

ფეტელმა 137 ქულა დააგროვა და შვიდით გაუსწრო მეორე ადგილზე გასულ ბრიტანელ ველომრბოლს **ბრედლი უიგინსს**, რომელმაც 2012 წელს ტურ დე ფრანსი და ლონდონის ოლიმპიადა მოიგო. 126 ქულით მესამეზე აღმოჩნდა 5 და 10 ათას მეტრზე სირბილში ლონდონის თამაშების ჩემპიონი, ბრიტანელი **მოჰამედ ფარა**.

■ ■ ■

ამერიკული საინფორმაციო სააგენტო AP ტრადიციულად ავლენს წლის საუკეთესო სპორტსმენს და გამონაკლისი არც 2012 წელი ყოფილა. თავდაპირველად, ამ სააგენტოს ჟურნალისტებმა გამოავლინეს ქალებს შორის ლაურეატი. ეს გახლავთ 16 წლის ამერიკელი **გაბრიელა დუგლასი**, რომელმაც ლონდონის ოლიმპიურ თამაშებზე ოქროს მედალი მოიგო ინდივიდუალურ მრავალჭიდში, გარდა ამისა, პირველი ადგილი დაიკავა ერთ-ერთ სახეობაში.

გამოკითხვაში მეორე ადგილზე გავიდა ცურვაში ოთხგზის ოლიმპიური ჩემპიონი, ამერიკელი **მელისა ფრანკლინი**, ხოლო მესამეზეა ასევე აშშ-ის წარმომადგენელი, ჩოგბურთელი **სერენა უილიამსი**.

● კრივი

# დონერი წლის მოკრივეა

ტელეკომპანია ESPN-მა პირველ ნახევრადმჩატე წონაში WBO-ის ჩემპიონი, 30 წლის ფილიპინელი **ნონიტო დონერი** წლის მოკრივედ დაასახელა. შეგახსენებთ, რომ ბოლო ბრძოლაში აზიელმა ნოკაუტით დაამარცხა ოთხ წონით კატეგორიაში ყოფილი ჩემპიონი, 33 წლის მექსიკელი **ხორხე არსე**.

დონერმა 2012 წელს ოთხი ბრძოლა ჩაატარა და ოთხივეში გაიმარჯვა. თებერვალში მან დაამარცხა **ვილფრედო ვასკესი**, ივლისში - **ჯეფრი მატებული**, ოქტომბერში - **ტოშიაკი ნიშიოკა** და დეკემბერში - არსე.

■ ■ ■

პრომოუტერული კომპანია Golden Boy Promotions-ის პრეზიდენტმა **ოსკარ დე ჰოიამ** განაცხადა, რომ ფილიპინელი **მენი პაკიაოსთვის** პრაქტიკულად შეუძლებელი იქნება ოპტიმალური ფორმის აღდგენა იმ ნოკაუტის შემდეგ, რომელიც მან **ხუან მანუელ მარკესთან** ბრძოლაში მიიღო.

*“დაბრუნება ძალიან რთული იქნება,* - ამბობს დე ლა ჰოია, რომელმაც 2008 წელს, სწორედ პაკიაოსთან წაგების შემდეგ დაასრულა კარიერა. *- ეს მილიონი დოლარის საკითხი იქნება. ყოველთვის იარსებებს ფსიქოლოგიური მომენტი: “გავუძლებ თუ არა?” ისტორია გვიჩვენებს, რომ დაბრუნება შეუძლებელია”.*


ნონიტო დონერი

● ჩოგბურთი

# ATP: 2012 წელი ციფრებში

პროფესიონალ ჩოგბურთელთა ასოციაციამ თავის ვებგვერდზე წარმოადგინა გასული სეზონის საგულისხმო ფაქტები...

ყველაზე ხანგრძლივი ფინალები (გეიმები):

**ავსტრალიის ღია:** 55 გეიმი (ნოვაკ ჯოკოვიჩი-რაფაელ ნადალი 5:7, 6:4, 6:2, 6:7, 7:5)

**ჩენაი:** 39 გეიმი (მილოშ რაონიჩი-იანკო ტიპსარევიჩი 6:7, 7:6, 7:6)

ყველაზე ხანგრძლივი ფინალები (დრო):

**ავსტრალიის ღია:** 5 სთ. 53 წთ (ნოვაკ ჯოკოვიჩი-რაფაელ ნადალი 5:7, 6:4, 6:2, 6:7, 7:5)

**აშშ-ის ღია:** 4 სთ. 47 წთ (ენდი მიურეი-ნოვაკ ჯოკოვიჩი 7:6, 7:5, 2:6, 3:6, 6:2)

**როლან გაროსი:** 3 სთ. 49 წთ (რაფაელ ნადალი-ნოვაკ ჯოკოვიჩი 6:4, 6:3, 2:6, 7:5)


ნოვაკ ჯოკოვიჩი

**შანხაი:** 3 სთ. 21 წთ (ნოვაკ ჯოკოვიჩი-ენდი მიურეი 5:7, 7:6, 6:3)

**ჩენაი:** 3 სთ. 14 წთ (მილოშ რაონიჩი-იანკო ტიპსარევიჩი 6:7, 7:6, 7:6)

**კუალა ლუმპური:** 3 სთ. 1 წთ (ხუან მონაკო-ჟულიენ ბენეტო 7:5, 4:6, 6:3)

**ვინია დელ მარი:** 2 სთ. 46 წთ (ხუან მონაკო-კარლოს ბერლოკი 6:3, 6:7,6:1)

ბოლოჯერ:

- პირველმა და მეორე ჩოგანმა ფინალში ერთმანეთის წინაამდეგ ითამაშეს: ნოვაკ ჯოკოვიჩმა და როჯერ ფედერერმა შემაჯამებელ ტურნირზე (საერთო ჯამში 12-ჯერ 2012 წელს და 11-ჯერ 2011 წელს);
- ჩოგბურთელმა მოიგო ტურნირი ისე, რომ არც ერთი გეიმი არ წაუგია თავის მოწოდებაზე: როჯერ ფედერერი (47 გეიმი) - ცინცინატი, მილოშ რაონიჩი (48 გეიმი) - ჩენაი;
- ორივე ფინალისტი - ცაცია: რაფაელ ნადალი-ფერნანდო ვერდასკო (2010 წელს მონტე კარლოში);
- ტოპ-ასეულის მიღმა მყოფი ჩოგბურთელი გავიდა ფინალში: რიკარდას ბერანკისი (141-ე ჩოგანი) - ლოს ანჯელესი;
- არაგანთესილი მოთამაშე გახდა ჩემპიონი: ტომაშ ბელუჩი, გშტაადი (სულ ოთხი შემთხვევა 2012 წელი);
- მოთამაშემ მოიგო ტიტული მატჩბოლის მოგერიების შემდეგ: ნოვაკ ჯოკოვიჩი, მოიგერია ხუთი მატჩბოლი ენდი მიურეისთან შანხაის ფინალში;
- მოთამაშემ მოიპოვა ტიტული ერთეულებსა და წყვილთა თანრიგში: მიხაილ იუჟნი, ზაგრები;
- მოთამაშემ გაიარა კვალიფიკაცია და გავიდა ფინალში: იერჟი იანოვიჩი, პარიზი;
- ყველაზე გრძელი ტაი-ბრეიკი: დელრეი ბიჩი, I რაუნდი, ჯონ ისნერი-ჯესი ლევაინი 6:4, 7:6(17:15).

გვერდი მოამზადა
გია **თვალაბეიშვილმა**

# საქართველოს 2012 წლის რჩეული სპორტსმენი

წლის საუკეთესო სპორტსმენის გამოსავლენად ვაგრძელებთ მკითხველთა ვერსიით ყოველწლიურ ტრადიციულ გამოკითხვას

*/კანდიდატების სია შედგენილია ანბანის მიხედვით/*

- ☐ **ალექსანდრე ამისულაშვილი** - ფეხბურთი: პოპულარობის ინდექსით
- ☐ **ბექა ბაზაძე** - ფარიკაობა: ევროპა-III
- ☐ **გიორგი ბაინდუროვი** - სამბო: მსოფლიო-I
- ☐ **ნუკრი ბერაია** - სამბო: მსოფლიო-III
- ☐ **ბესო ბერულავა** - სამბო: ევროპა-II; მსოფლიო-III
- ☐ **შალვა გაჩეჩილაძე** - ცხენოსნობა: საქართველოს 2012 წლის საუკეთესო მხედარი
- ☐ **ელენე გედევანიშვილი** - ფიგურული ციგურაობა: ევროპა-III
- ☐ **გიორგი გოგშელიძე** - თავ\ჭიდაობა: ოლიმპიური თამაშები-III
- ☐ **მამუკა გორგოძე** - რაგბი: ერთა თასის მფლობელი
- ☐ **ბესარიონ გუჩაშვილი** - თავ\ჭიდაობა: ევროპა-II
- ☐ **მალხაზ ზარქუა** - თავ\ჭიდაობა: ევროპა-III
- ☐ **ირაკლი თურმანიძე** - ძალოსნობა: ევროპა-III
- ☐ **ჯაბა კანკავა** - ფეხბურთი: პოპულარობის ინდექსით
- ☐ **გურამ კაშია** - ფეხბურთი: პოპულარობის ინდექსით
- ☐ **გენადი კვიკვინია** - მკლავჭიდი: ევროპა-II: მსოფლიო-I
- ☐ **მერაბ კვირიკაშვილი** - რაგბი: ერთა თასის მფლობელი
- ☐ **უშანგი კუზანაშვილი** - სამბო: ევროპა-I
- ☐ **ნიკოლოზ კუცია** - სამბო: მსოფლიო-III
- ☐ **რევაზ ლაშხი** - ბ\რ ჭიდაობა: ოლიმპიადა-II
- ☐ **ირინე ლეონიძე** - სამბო: ევროპა II; მსოფლიო-III
- ☐ **ვარლამ ლიპარტელიანი** - ძიუდო: ევროპა-I
- ☐ **გიორგი ლორია** - ფეხბურთი: პოპულარობის ინდექსით
- ☐ **დავით მაკარიძე** - პროფ. კრივი: WBU-ს ვერსიით მს. ჩემპიონი
- ☐ **მანუჩარ მარკოიშვილი** - კალათბ.: მოიპოვა ევრობასკეტის საგზური
- ☐ **დავით მარსაგიშვილი** - თ\ჭიდაობა: ევროპა-I; ოლიმპიადა-III
- ☐ **ნოდარ მეტრეველი** - სამბო: ევროპა-I
- ☐ **დავით მოძმანაშვილი** - თავ\ჭიდაობა: ოლიმპიადა-II; ევროპა-III
- ☐ **ლევან ნახუცრიშვილი** - სამბო: ევროპა-II
- ☐ **ადამ ოქრუაშვილი** - ქართული ჭიდაობა: საქართველოს ფალავანი
- ☐ **მირიან პავლიაშვილი** - სამბო: ევროპა-III
- ☐ **ამირან პაპინაშვილი** - ძიუდო: ევროპა-III
- ☐ **ლომერ ჟორჟოლიანი** - სამბო: მსოფლიო-II
- ☐ **ნინო სალუქვაძე** - ტყვ. სროლა: ოლიმპადის შვიდგზის მონაწილე
- ☐ **ვიქტორ სანიკიძე** - კალათბურთი: მოიპოვა ევრობასკეტის საგზური
- ☐ **ანა ტატიშვილი** - ჩოგბურთი: საქართველოს 2012 წლის საუკეთესო ჩოგბურთელი
- ☐ **ზაზა ფაჩულია** - კალათბურთი: მოიპოვა ევრობასკეტის საგზური
- ☐ **ავთანდილ ცერცვაძე** - სუმო: ევროპა-II (2)
- ☐ **რაულ ცირეკიძე** - ძალოსნობა: ევროპა-I
- ☐ **მანუჩარ ცხადაია** - ბ\რ ჭიდაობა: ევროპა-II; ოლიმპიადა-III
- ☐ **ლაშა შავდათუაშვილი** - ძიუდო: ევროპა-III; ოლიმპიადა-I
- ☐ **შორენა შარაძე** - სამბო: ევროპა-III
- ☐ **მერაბ შარიქაძე** - რაგბი: ერთა თასის მფლობელი
- ☐ **გენადი ჩირგაძე** - სამბო: ევროპა-II
- ☐ **ვლადიმერ ხინჩეგაშვილი** - თ\ჭიდაობა: ოლიმპიადა-II
- ☐ **დავით ხუციშვილი** - თ\ჭიდაობა: ევროპა-II
- ☐ **თეიმურაზ ჯულელი** (გაგამარუ) სუმო: იმპერატორის თასი-II

*გამოკითხვაში მონაწილემ უნდა მიუთითოს მხოლოდ ერთი სპორტსმენი. ორი ან მეტი ნომინანტის გამორჩევის შემთხვევაში, ანკეტა ბათილად გამოცხადდება*

მკითხველის სახელი, გვარი ..............................

**შენიშვნა:** *სიაში მოხვდნენ სპორტსმენები, ვინც დიდებში, ანდა პარალელურად ახალგაზრდებში 2012 წელს თავი გამოიჩინეს საერთაშორისო სპორტულ სარბიელზე, აგრეთვე სპორტის სათამაშო სახეობებიდან პოპულარობის ინდექსით.*

*თქვენი რჩეული სპორტსმენი შეიტანეთ ჩვენს მიერ შემოთავაზებულ ანკეტაში და გამოგზავნეთ რედაქციაში, ან დააფიქსირეთ სპორტულ საიტზე www.sportall.ge ან გვაცნობეთ ტელეფონით ნომრებზე: 219 60 13; 219 60 53 (10-დან 21 საათამდე, კვირის გარდა).*


დამფუძნებელი და გამომცემელი შპს გამომცემლობა ლელო

ISSN 2233-3627

გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი **თენგიზ გაჩეჩილაძე**

მთავარი რედაქტორის პირველი მოადგილე **გია თვალაბეიშვილი**; მოადგილეები: **ნიკოლოზ ნეფარიძე, გია ტუხაშვილი**; მხატვრული რედაქტორი: **ვაჟა სიმონიშვილი**
ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი **მიხეილ ჯაში**; ფოტო: **ალექსანდრე კოტორაშვილი**. ნომრის პასუხისმგებელი რედაქტორი: **გია ტუხაშვილი**

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს“ მთავარი რედაქტორები: მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).

*პალიტრა მედიის ცხელი ხაზი: 2383-384. ელფოსტა: leloltd@gmail.com; lelo@palitra.ge* ხელმოწერილია დასაბეჭდად: 02:25

მისამართი: **იოსებიძის, 49.** ტელეფონები: 242 32 73, 599 55 48 97 (მთ. რედაქტორი); ფაქსი: +995. 232 38 08 63; ინდექსი 66435 INDEX. რეკლამა: 237 78 07


რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა გეჭდვით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

საბანკო რეკვიზიტები: შპს „გამომცემლობა ლელო“, 205262062. ბანკი „ქართუ“ CRTUGE22 ა\ა GE19CR0120007000043608